

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

Journal of Creative Union of Composers of Georgia

მუსიკა

MUSIKA

3 (21)
2014



ოთარ თაქთაქიშვილი

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

3 (21)•2014

ფესტივალი
მზია ჯაფარიძე. **აღდგომიდან ამაღლებამდე** 2

ეპოქალური სახეები
თაქთაქიშვილი
თემურ გუგუშვილი, რევაზ ტაკიძე, შავლეგ შილაკაძე, სვეტლანა ქეცბა 12

საქართველო და მსოფლიო
ნარგიზა გარდაფხაძე
საქართველო- ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილე 20

შემოქმედებითი გარდასახვანი
მანანა კორძაია
ვახტანგ მაჭავარიანი ახალ ამპლუაში 25

თვალსაზრისი
ანზორ შომახია. **„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“** 28

ინტერვიუ ხელოვანთან
თეა ყიფიანი. **SEMPRE** 35

ეპოქალური სახეები
მანანა კორძაია. **„აძედანა და შენამდე“** 40

ანონსი
საქართველოს საგუნდო საზოგადოება 43

ფოლკლორი
ქეთევან ბაიაშვილი. **ანსამბლი „ძირიანი“** 44

წლებიs გადასახედიდან
როდამ ჯანდიერი. **ჩემი ცხოვრების ფურცლები** 47

მეცნიერება
შიო აბრახამია
ფშაური სასიმღერო ფოლკლორი პროფესიულ საგუნდო მუსიკაში 53

ქრონიკა
„მსოფლიო ორკესტრის“ ქართველი წარმომადგენელი 57

გახსენება
ნოდარ მამისაშვილი. **აჭღერებული სიკეთე** 59

რეპლიკა
მზია ჯაფარიძე. **SOS! ოთხი ახალი ოპერა** 61

მატიანე
ლევან მიზანდარი
გრმა დირიჟორი და უცნობი ქართული სამხედრო მუსიკა 65

კვალი
თინათინ მღვდლიაშვილი
მედეა ფანიაშვილი — ქართული მუსიკის დედოფალი 71

პორტრეტი
ნესტან მესხი. **კლავიატურაზე დაცემული ჩრდილი** 74

ჯაზი
თენგიზ ჯაიანი. **კონსტანტინე პეპნერი** 77

WWW 80

Summary 82

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე
დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 295 41 64; ფაქსი.: (+995 32) 296 86 78

„იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების ყოველ მოქმედებას აქვს აზრად, უჩვენოს ადამიანს გზა სიკეთისა, აცოდინოს სახსარი ღვთისნიერის ცხოვრებისა, მისცეს საშუალება ბიწიერებათა ძლევისა, შეაყვაროს ცოდვილი, ჩაახედოს გალაღებული თავის გულში, გაამხნეოს მაშვრალი, ნუგეში სცეს დაჩაგრულს და სხვ. სწორედ ამის გამო არიან სასიხარულო, სანუგეშო და სანატრელი იმისთანა დღესასწაულნი“...

კათოლიკოს–პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე)

აღდგომიდან ამაღლებამდე

მგია ჯაფარიძე

აღდგომიდან–ამაღლებამდე მართლაც განსაკუთრებული ხანაა მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. ყოველი მართლმადიდებელი მორწმუნე განსაკუთრებულ ზეაწეულ სულიერ მდგომარეობაშია. ჩვენი პატრიარქის ლოცვითა და კურთხევით, ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ საორგანიზაციო ჯგუფის უანგარო და თავდადებული შრომის წყალობით, რელიგიური ზეიმისა და სულიერი განწმენდის პერიოდი საქართველოსთვის მშვენიერებასთან ზიარების ხანადაც იქცა – უკვე ცხრა წელია აღდგომის წმინდა დღესასწაულისთანავე იწყება მუსიკალური ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“; მუსიკა ღმერთთან მიახლოების უძლიერესი

ალექსანდრე კორსანტია

ფესტივალი სტუმრად ყვარელში
ნეკრესის ეპარქიის წინამძღოლი მეუფე სერგი ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებთან ერთად

საშუალება რომ იყო, ამას ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები ამბობდნენ და მიაჩნდათ, რომ „მუსიკით ადამიანი ღმერთს ესაუბრება“...

ცხადია, ამ ცხრა წლის მანძილზე ყველა ფესტივალი სხვადასხვა შინაარსისა და დატვირთვის იყო, თუმცა არის რამოდენიმე მახასიათებელი, რომელიც ყველა ამ ფესტივალს აერთიანებს და გამოარჩევს საქართველოში მომრავლებული სხვა ფესტივალებისაგან. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის გამორჩეული მუსიკალური ფორუმია, რომელშიც ქართულ პროფესიულ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. მეორე, რითაც ეს ფესტივალი გამოირჩევა, ესაა ქართველი მუსიკალური კულტურის მოღვაწეების — შემსრულებლებისა თუ კომპოზიტორების ხსოვნის საღამოები და მესამე — კონცერტებზე დასწრება ხელმისაწვდომია მუსიკოსებისათვის. მიმაჩნია, რომ სწორედ ეს სამი ფაქტორი ზრდის ამ ფესტივალის ეროვნულ მნიშვნელობასა და ამართლებს დასახულ მიზანს. ბუნებრივია, ფესტივალის ყველა კონცერტი თანაბარი ხარისხისა და დონის ვერ იქნება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა ფესტივალი გამორჩეული, დასამახსოვრებელი მუსიკალური საღამოების გარეშე. გამონაკლისი არც წლევანდელი ფესტივალი იყო.

როგორც ყოველთვის, წელსაც ფესტივალს საერთაშორისო მასშტაბის არაერთი მუსიკოსი ეწვია, მათ ტრადიციულად პარტნიორობას „საქართველოს სიმფონიეტა“ და ევგ. მიქელაძის სახ. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი უწევდა.

ფესტივალი 25 აპრილს სიმფონიური მუსიკის საღამოთი გაიხსნა. შესრულდა მენდელსონის e-moll სავიოლინო კონცერტი და ბეთჰოვენის №2 D dur სიმფონია (სოლისტი და დირიჟორი იყო სრულიად რუსეთისა და ვენიავსკის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტმა-

„საქართველოს სიმფონიეტა“

ისტერი, მრავალი პრესტიჟული ფესტივალის მონაწილე ილია კონოვალოვი). მენდელსონის რომანტიკულ-ლირიკული, პოეტური სამყარო მეორე განყოფილებაში შეცვალა ბეთჰოვენის ადრეული პერიოდის ერთ-ერთმა უკანასკნელმა ნაწარმოებმა, ოპტიმისტური, სიცოცხლისდამამკვიდრებელი განწყობებით აღსავსე II სიმფონიამ, რომელიც არცთუ ბევრჯერ მოგვისმენია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შესრულებაში ნაკლებად იგრძნობოდა ის ბეთჰოვენისეული იუმორი, უწინარესად სკერცოში, რომელმაც თავის დროზე აღაშფოთა კიდეც ბევრი თანამედროვე კრიტიკოსი.

27 აპრილი ქართულ მუსიკას დაეთმო — გაიმართა მერი დავითაშვილის ხსოვნის საღამო, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც კომპოზიტორის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ქ-ნი მერი თვითონაც ჩართული ყოფილა ამ კონცერტის მომზადებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დღეს ვეღარ მოესწრო. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძე, რომელმაც ისაუბრა მერი დავითაშვილის შემოქმედებაზე და მას „ქართული მუსიკის დედოფალი“ უწოდა. კონცერტზე აჟღერდა მერი დავითაშვილის სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები: პოემა ვიოლინოსა და ორკესტრისათვის (სოლისტი გიორგი თაგაური), ცეკვა „ქართული“ და „ხორუმი“ ოპერიდან „ქაჯანა“, საორკესტრო სიუიტა ბალეტიდან „მზის ქორწილი“, არია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, „ფანტაზია“ ფ-ნოსა და ორკესტრისათვის (სოლისტი შორენა ცინცაბაძე), ევგ. მიქელაძის სახ. საქ. სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა რევაზ ჯავახიშვილი; აჟღერდა ავრეთვე არია ვიოლინოსა და ფ-ნოსთვის (სოლისტი ქეთევან თავშავაძე), ნომრები ვოკალური ციკლიდან „ძველი თბილისის ჩანახატები“ (სოლისტი გივი დოლიძე), „ხორუმი“ ფ-ნოსათვის (სო-

ლისტი თამარ ბერაია), სამი რომანსი სოპრანოსათვის (სოლისტი სალომე ჯიქია) და სხვ. I განყოფილება გახსნა ქალთა ანსამბლმა „ბედიანი“ (ხელმძღვანელი თამარ გურაშვილი), ხოლო ეს განყოფილება დასრულდა კომპოზიტორ გიორგი შავერზაშვილის საფორტეპიანო ნაწარმოებით „მიძღვნა“. მერი დავითაშვილის შემოქმედების თემატური მასალითა და ჯაზური ელემენტებით გაჯერებული ამ ნაწარმოების ავტორისეულმა, იმპროვიზაციულმა შესრულებამ მსმენელთა მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. მერი დავითაშვილის ქართული ჰანგებითა და ეროვნული სულით აღსავსე მუსიკალური ქმნილებები დიდი ხანია არ აჟღერებულა. ცხადია, დარბაზი ამ კონცერტს დიდი სიყვარულითა და ერთგვარი ნოსტალგიით შეხვდა.

ფესტივალის განსაკუთრებული ფურცლებია ტრადიციული გასვლითი კონცერტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, რაც ამ ფესტივალის კიდევ ერთი ღირსებაა. ამჯერად, 4 მაისს, ფესტივალი პირველად ესტუმრა ყვარელს. გასვლითი კონცერტები ეპარქიების მხარდაჭერით ტარდება. ფესტივალს დიდი გულუხვობითა და სათნოებით, სიყვარულით უმასპინძლა ნეკრესის ეპარქიის წინამძღოლმა მეუფე სერგიმ.

კონცერტი ყვარელის კულტურის სახლში გაიმართა. I განყოფილება მთლიანად ქალთა ანსამბლ „ბედიანს“ დაეთმო. შეასრულეს ხალხური სიმღერები, საგალობლები. „ნანებისა“ და „ბატონებოს“ სხვადასხვა ვარიანტებთან ერთად შეასრულეს რევაზ ლაღიძის „ჩემო კარგო ქვეყანა“ და სხვ. პირველი განყოფილება, ვფიქრობ, მაინც ძალიან ხანგრძლივი, ტემბრულადაც (მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სიმღერაში მამაკაცთა ხმებიც ჩაერთო) და დინამიკურადაც ერთგვაროვანი გამოვიდა. მეორე განყოფილება კი „საქართველოს სიმფონიეტამ“ განაგრძო. შესრულდა მოცარტის ვალტორნის კონცერტი, ტრანსპონირებული საყვირისათვის, ალ. მაჭავარიანის „მზეთამზის სახეო“ გადამუშავებული ფლუგელჰორნისათვის, გრიგის კვარტეტი თხზ.27, გადამუშავებული კამერული ორკესტრისათვის. ჩვენს წინაშე წარსდგა ძალიან საინტერესო ქართველი შემსრულებელი პაატა ბერიძე (საყვირი/ფლუგელჰორნი), რომელიც 2013 წელს საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისათვის ლაურეატის დიპლომით დაჯილდოვდა და

პაატა გერიძე

გერმანული საყვირის დამამზადებელი ფირმის „შილერის“ სახე გახდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკოსი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. პირველად შესრულდა პატრიარქის, ილია II-ის „Ave Maria“ გადამუშავებული კამერული ორკესტრისათვის, ასევე სულხან ცინცაძის „ინდი-მინდი“, „ლალე“, „მწყემსური“. არ შეიძლება არ აღინიშნოს, ძირითადად ახალგაზრდა შემსრულებლებით დაკომპლექტებული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“, რომელიც ძალიან აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, ჩართულია არაერთ ფესტივალში და დღითი-დღე სრულყოფს საორკესტრო ტექნიკას, ჟღერადობის ბალანსს და ნაწარმოებთა საინტერესო ინტერპრეტაციას სთავაზობს მსმენელს.

კონცერტის ბოლოს მსმენელები, კონცერტის მონაწილეები შეიკრიბნენ ფოიეში, სადაც ანსამბლმა „ბედიანი“ კიდევ ერთხელ შეასრულა ნანა ბალახაშვილის „დედაშვილობის ზღაპარი“, რომელიც ანსამბლის ხელ-

მძღვანელმა თამარ გურაშვილმა, მიუძღვნა დედას, სათნოებითა და სიკეთით აღსავსე ხადაზმულ ქ-ნს, რომელსაც ბედნიერებით სახე უბრწყინავდა. ეს იყო მთელი კონცერტის ერთ-ერთი ამაღელვებელი ეპიზოდი.

და მაინც ვფიქრობ, რომ აჯობებდა კონცერტის პროგრამა, დრამატურგიულად და შინაარსობრივად, უფრო უკეთ ყოფილიყო შედგენილი. როგორც უკვე აღვნიშნე, კონცერტის პირველი განყოფილება, ძალიან ხანგრძლივი და ერთგვაროვანი იყო.

იზაბელ ფაუსტი, ალექსანდრე მელნიკოვი

დასასრულს მუსიკოსების ჯგუფი მეუფე სერგიმ ილიას ტბაზე მიიპატიჟა და კახურად გულუხვი სუფრით გაუმასპინძლდა ყვარლის სტუმრებს. ელისო ვირსალაძის „თელავის ფესტივალმა“, ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაზე მუშაობამ, 80-იანი წლებიდან დამაკავშირა კახეთს და მინდა ვთქვა, რომ ჩემს მეხსიერებას ასეთი გამშვენებული კახეთი არ ახსოვს... დაუვიწყარი იყო შებინდებისას „ილიას ტბის“ მიდამოები...

მთელი ფესტივალის მართლაცდა დაუვიწყარი ფურცლები იყო 7,8,9 მაისს – კამერული მუსიკის საღამოები მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსების იზაბელ ფაუსტისა (ვიოლინო) და ალექსანდრ მელნიკოვის (ფ-ნო) გამაოგნებელი დუეტით, რომლებმაც ბეთჰოვენის ათივე სავიოლინო სონატის შესრულებით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს მსმენელზე. ეს იყო ორი დიდი მუსიკოსის, ვირტუოზი შემსრულებლების დაუვიწყარი დუეტი. ამ სავიოლინო სონატებს ხშირად დუეტებს სწორედ იმიტომ უწოდებენ, რომ საფორტეპიანო პარტიას ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ვიოლინოს. მელნიკოვის შესრულება ზოგჯერ თითქოს დომინირებდა კიდეც ვიოლინოზე თავისი მაღალი ოსტატობით, ფილიგრანული ბგერით თუ მხატვრულ სახეთა მკაფიოებით, თუმცა, იზაბელ ფაუსტის ენერგიული და ამავე დროს თბილი ნიუანსები კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მათ ინტერპრეტაციას. არაჩვეულებრივი იყო მეორე ნაწილები, რომლებიც უდიდესი სირთულის წინაშე აყენებს ნებისმიერ მევიოლინეს. ბეთჰოვენისათვის ესოდენ დამახასიათებელ კონტრასტებს, პათეტიკას განსაკუთრებულ, არატრადიციულ სიმკვეთრეს, სიმძაფრეს ანიჭებდნენ შემსრულებლები, რითაც კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა ლირიკული პლასტები; გასაოცარი იყო ტემპის ლამის მექანიკურობამდე მისული სიზუსტე, უწყვეტი პულსაცია, მხატვრულ სახეთა განვითარების დინამიკა და მრავალი სხვა... დარბაზი ბისზე შესრულებას ითხოვდა. მელნიკოვმა იუმორით მიმართა მსმენელებს: „ბეთჰოვენის ყველაფერი დავუკარით, რისი დაკვრაც შეიძლებოდა და ახლა დავიკრავთ იმას, რაც აღმოვაჩინეთ – „გერმანული ცეკვა“ და ასეთივე იუმორით აღსავსე მინიატიურა შემოგვთავაზა. ოვაციები არ ცხრებოდა. ამ კონცერტზე ცალკე წერილი შეიძლება დაიწეროს და სრულად, ალბათ, მაინც

ვერ გადმოვცემ იმ შთაბეჭდილებებს, რაც კონცერტიდან გამომყვა. ერთი კი უნდა ითქვას, რამდენადაც მახსოვს, საქართველოში ბეთჰოვენის ათივე სავიოლინო სონატა მხოლოდ ერთხელ შესრულდა (ვიოლინო — როდამ ჯანდიერი, ფ-ნო — მამუკა სიხარულიძე). მით უფრო გასაკვირია, რომ პირველ დღეს დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო. ვიფიქრე, ალბათ არ იცოდნენ და რომ გაიგებენ როგორი კონცერტი იყო, ხვალ დარბაზი გადაჭედილი იქნება-მეთქი, მაგრამ არც მეორე და არც მესამე დღეს მოლოდინი არ გამიმართლდა. დასანანია, ეს ფესტივალი ხომ ფართოდ უღებს კარს ყველა მსურველს. კონცერტები, ფაქტობრივად, თითქმის უფასოა, დასწრება კი — სავალალო.

შემდეგი გასვლითი საფესტივალო, კამერული მუსიკის კონცერტი, 22 მაისს, ქ. ვანის კულტურის ცენტრში გაიმართა. კონცერტი ეძღვნებოდა ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების, ასევე მერი დავითაშვილისა და ოთარ თაქთაქიშვილის ხსოვნას. აღსანიშნია, რომ იმდენად დიდი სურვილი ყოფილა საფესტივალო კონცერტი ვანში ჩატარებულიყო, რომ ამ დღისათვის სპეციალურად, სახელდახელოდ, როიალი შეუძენიათ. მართალია, ინსტრუმენტს ჰქონდა ხარვეზები (ასაწყობი იყო) და ტრიო „Sempre“ პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რადგან ინსტრუმენტი ტონით დაბლა ჟღერდა. მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი დამხვდურთა მხრიდან, რომ მუსიკოსებმა მაქსიმალური მობილიზაცია მოახდინეს და შეძლეს მშვენიერი კონცერტის გამართვა. I განყოფილებაში შესრულდა თაქთაქიშვილის რომანსები, არიები ოპერებიდან, მერი დავითაშვილის ნაწარმოებები, ასევე ნაწყვეტები ვერდის, პუჩინის ოპერებიდან. კონცერტმაისტერმა ვიქტორია ჩაპლიანსკაიამ კი წარმოადგინა ქართველ ვოკალისტთა ახალი პლეადა: მარიამ ნაჭყებია (სოპრანო), ოთარ ჯორჯიკია (ტენორი), გიორგი გოდერძიშვილი (ბანი). ქართულ ვოკალურ სკოლაში საოცარი მონაცემების ახალი ხმები გვარწმუნებს, რომ საქართველოს „ვოკალური მადანი“ ამოუწურავია.

მუსიკისადმი დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვდა ფესტივალის წარმომადგენლებს დარბაზში შეკრებილი ვანის საზოგადოება და ბაღდადისა და ვანის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე ანტონი. კონცერტის დასრულების შემდეგ მან ბრძანა: „როდესაც ვუსმენდი მუსიკოსებს, საოპერო მომღერლებს, ვფიქრობდი, რომ ადამიანი ღმერთს კი არ ელაპარაკებოდა, არამედ სიმღერით მიმართავდა — ადამიანი სიხარულშიც ღიღინებს, გალობს და გლოვაშიც მოთქმით გალობს“-ო. კონცერტის შემდეგ მეუფე ქართული სტუმართმოყვარეობით გაუმასპინძლდა მთელ შემოქმედებით ჯგუფს.

ვანის შემდეგ საფესტივალო, კამერული მუსიკის კონცერტი ბათუმის მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა, იგივე პროგრამით. ალბათ, სასურველი იქნებოდა გათვალისწინებულიყო დარბაზის სპეციფიკა, მისი მასშტაბი და ცოტა განსხვავებული პროგრამა ყოფილიყო წარმოდგენილი.

არ შეიძლება მადლიერების სიტყვები არ ითქვას იმ კეთილგანწყობილ მუსიკოსთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც ამ ერთდღიან „ტურნეებში“ დიდი ენთუზიაზმით მოდიოდნენ და რეგიონების მსმენელებისათვის ისეთივე შემოქმედებითი პასუხისმგებლობით ატარებდნენ კონცერტებს, როგორც ნებისმიერი პრესტიჟული დარბაზისათვის. მათთან წმინდა ადამიანური ურთიერთობაც დიდი სიამოვნება იყო, ისევე, როგორც ფესტივალის ორგანიზატორებთან, რომლებიც მუსიკოსებს თან ახლდნენ ყველგან: ფესტივალის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი მარიამ დავითაშვილი, ფესტივალის პიარ-მენეჯერი მანანა ხვედელიძე, ირინა სახამბერიძე-მახვილაძე, დიზაინერი ქეთევან გოგავა და სხვ.

დასკვნითი საღამო, 30 მაისს, სიტყვით გახსნა საპატრიარქოს ფონდის და ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ. მან აღნიშნა, რომ მოვიდა პირდაპირ კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციიდან, სადაც შედგა საგანმანათლებლო კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, რომელიც ინიცირებული იყო პატრიარქისა და ისრაელში მოღვაწე ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის მიერ. ჟვანიამ მსმენელს წაუკითხა მეექვსეკლასელი გოგონას, ნინო შიოლაშვილის ძალიან ამაღელვებელი, პოეტური ესსე მუსიკის შესახებ, რომელიც მას პატრიარქისთვის გაუგზავნია. ლაშა ჟვანიამ დარბაზს წარმოუდგინა კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული, უსინათლო პიანისტი თამარ შალვაშვილი, რომელსაც ნოტები ბრაილის სისტემით შეუსწავლია. მას დახმარებისათვის მიუ-

სტუმრად ვანის ეპარქიაში
ვანის ეპარქიის წინამძღოლი მეუფე ანტონი ფესტივალის მონაწილეებთან და სტუმრებთან ერთად

მართავს პატრიარქისთვის და საპატრიარქოს ფონდი დაეხმარა კიდეც. ეს საღამო სწორედ მან გახსნა მოცარტის კონცერტით ფ-ნოსა და ორკესტრისათვის №18.

მოცარტის ეს შედევრი ურთულესი პრობლემების წინაშე აყენებს ნებისმიერ შემსრულებელს. უსინათლო მუსიკოსი დარბაზს მიუძღვოდა მოცარტის ჰაეროვანი, გამჭვირვალე, განცდათა ფაქიზი გრადაციების სამყაროში.

ფესტივალმა თავის ტრადიციებს არ უღალატა. ამჯერად I განყოფილებაში შესრულდა თანამედროვე, მეტად ნაყოფიერი და საინტერესო ქართველი კომპოზიტორის, ირაკლი ცინცაძის ნაწარმოები ჩელესტასა და სიმებიანი ანსამბლისათვის (სოლისტი თამარ მაჭავარიანი). XIX საუკუნის ბოლოდან, ჩელესტა ფართოდ გამოიყენება ორკესტრში, როგორც ფერი, მაგრამ, იშვიათობაა ამ ინსტრუმენტისათვის დაწერილი სოლო ნაწარმოებები არამცთუ ქართულ, არამედ მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში, რომელთა შორისაა ბელა ბარტოკის შედევრი ,,მუსიკა სიმებიანების, დასარტყამისა და ჩელესტისათვის“. ირაკლი ცინცაძის კონცერტინო ქართულ მუსიკაში პირველი ნაწარმოებია სოლირებული ჩელესტისათვის, რაც, ცხადია რთული ამოცანების წინაშე აყენებდა კომპოზიტორს. II განყოფილებაში შესრულდა ი. ცინცაძის კონცერტი კამერული ფლეიტისათვის ორკესტრთან ერთად (სოლისტი ქეთევან შანიძე). ტრადიციულ, სამნაწილიან კომპოზიციაში ეროვნული ინტონაციები შერწყმული იყო თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნოლოგიებთან. დარბაზი გულთბილად გამოეხმაურა ირაკლი ცინცაძის ახალ ნაწარმოებებს.

მსმენელი მოუთმენლად ელოდა უსაყვარლესი ქართველი პიანისტის ალექსანდრე კორსანტიას გამოსვლას. კორსანტიამ ამჯერად მსმენელს შესთავაზა ამერიკელი კომპოზიტორის აარონ კოპლენდის საფორტეპიანო ვარიაციები. შესრულება მიეძღვნა ორი კვირით ადრე გარდაცვლილი, უცხოეთში მოღვაწე ქართველი პიანისტის, მზია სიმონიშვილის ხსოვნას. მსმენელი დაჟინებით ითხოვდა „ბისზე“ შესრულებას, მაგრამ ამჯერად ამაოდ... კონცერტის ბოლოს, „საქართველოს

ირაკლი ცინცაძე

სიმფონიეტამ“, გიორგი ჭიჭინაძის დირიჟორობით შეასრულა ბენჯამენ ბრიტენის „უბრალო სიმფონია“. ჭიჭინაძის ფაქიზმა სადირიჟორო ხელწერამ საუკეთესოდ წარმოაჩინა ბრიტენის სიმფონიური პარტიტურის მელოდიური, უჩვეულოდ მღერადი მხარე.

ფესტივალის ბოლოს რამოდენიმე კითხვით მივმართე იმ მუსიკოსებს, ვინც ფესტივალის თითქმის მუდმივი მონაწილენი არიან.

ვიქტორია ჩაპლინსკაია (პიანისტი, კონცერტმაისტერი) — ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ფესტივალია. თვით დასახელება მიგვითითებს, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც ყველა ქრისტიანის სული განსაკუთრებით ამაღლებულია. ამასთანავე, ფესტივალი რომ ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის კურთხევით, საპატრიარქოს ფონდის, აკაკი რამიშვილის საერთაშორისო ფონდის „ინოვაცია და ტრადიციის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით დაფუძნდა, უკვე თავისთავად განსხვავებულ სულიერ დატვირთვას სძენს მას. პირველი ფესტივალი ჩატარდა 2006 წელს. მოგეხსენებათ, ყველა ფესტივალს ჰყავდა თავისი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთაგან თითოეული გამორჩეული იყო: ბიძინა კვერნაძე, ანზორ ერქომაიშვილი, მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ნიკოლოზ რაჭველი და სხვ. 2011 წლიდან კი გადაწყდა, რომ ფესტივალს ჰყოლოდა ერთი სამხატვრო ხელმძღვანელი და არჩევანი გაკეთდა ისეთ ავტორიტეტულ, მაღალი რანგის პროფესიონალზე, როგორიცაა ალექსანდრე კორსანტია. ცხადია, ყველა ხელმძღვანელს თავისი ხედვა აქვს და ეს, ყოველ ფესტივალში ისახება. მაგრამ როდესაც ფესტივალს მუდმივი ხელმძღვანელი ჰყავს, მისი ხედვა, კონცეფცია, მოიცავს არა მხოლოდ ერთ ფესტივალს, არამედ მის განვითარებას პერსპექტივაში, ანუ იგი უკვე ხედავს, თუ როგორი უნდა იყოს ფესტივალი წლების შემდეგ. ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ნამდვილად განსაკუთრებულია ეს ფესტივალი და დიდი პატივია, რომ მონაწილეობას ვღებულობ თითქმის ყველა ფესტივალში.

პირველად მონაწილეობა მივიღე მეორე ფესტივალში და ჩემით დაიწყო ტრადიცია, რომ ყველა ფესტივალში გამორჩეული ადგილი ეთმობა ქართულ მუსიკას და იმართება ქართული მუსიკის კონცერტი. როდესაც პირველად მივიღე მონაწილეობა ფესტივალში, სწორედ ქართული მუსიკის კონცერტი გავმართე. შემთხვევით მოხდა, რომ კონცერტი დანიშნეს 12 აპრილს — ბ-ნ ზურაბ ანჯაფარიძის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს. ცხადია, ეს კონცერტი ბ-ნ ზურაბს მივუძღვენით. სხვადასხვა წლებში იყო კონცერტი-მიძღვნები: ზაქარია ხუროძე, ალექსი მაჭავარიანი, ნოდარ ანდღულაძე, ლეო შიუკაშვილი, იაშვილების დინასტია; ანა თულაშვილის, თენგიზ ამირეჯიბისადმი მიძღვნილი არაერთი საღამო; ეს კიდევ რაღაც განსაკუთრებულს მიუთითებს მსმენელს, რომ ქართველ ერში, ქართველ მუსიკოსებში, მსმენელში არის მადლიერების გრძნობა. ამასთან, ეს მცირე ჩამონათვალიც ცხადჰყოფს, რომ ფესტივალი თემატურადაც ძალზედ მრავალფეროვანია.

კიდევ ერთი განმასხვავებელი, გამორჩეული ნიშანი — ფესტივალი აღდგომიდან ამაღლების პერიოდში ტარდება არა მხოლოდ თბილისში, არამედ გასვლითი კონცერტები იმართება რეგიონებში, რასაც, ჩემი აზრით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დედაქალაქში ჩატარებულ კონცერტებს და რატომ. თბილისის მსმენელი ცოტა ზედმეტად განებივრებულია, ყოველ შემთხვევაში, არჩევანის საშუალება აქვს, რაიონებში კი ამის საშუალება არა აქვთ. ამიტომ ჩემთვის რაიონებში უფრო ძვირფასი მსმენელია... რამოდენიმე წლის წინ ჩვენ ვიყავით სტეფანწმინდაში, იმ კუთხეში, საიდანაც არის ჩვენი პატრიარქი. ასეთი მსმენელი დედაქალაქს შეშურდება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა თვალებით გვიყურებდნენ, ახალგაზრდა ე.წ. თინეიჯერების თაობა, რომელიც აქ, სამწუხაროდ, კლასიკური მუსიკის კონცერტებს სულ უფრო ნაკლებად ესწრება, იქ კი როგორ გვისმენდნენ!.. კონცერტის შემდეგ, სათითაოდ მოდიოდნენ და მადლობას გვიხდიდნენ, გვეკითხებოდნენ — კიდევ როდის ჩამობრძანდებითო. ამ კონცერტებს უფრო დიდი სულიერი და გნებავთ პროფესიული დატვირთვა აქვს, ვიდრე თბილისში გამართულ კონცერტებს. რაიონების მსმენელები განსხვავებულნი არიან, თანაც თინეიჯერების ასაკის. აქ თუკი ესწრებიან კონცერტებს, ძირითადად, საშუალო ასაკისა და უფრო ხანდაზმულნი. მგონია, რომ ეს ყველაფერი გამოიწვია მუსიკალური სკოლების ტოტალურმა დახურვამ, სასწავლებლების, რბილად რომ ვთქვათ, გაუქმებამ, ისე კი — მოსპობამ. პროფესიულ განათლებაში ჩვენ ამოვაგდეთ შუა რგოლი. იგივეა, რომ შევადაროთ — ბავშვი საბავშვო ბაღიდან პირდაპირ უნივერსიტეტში ვერ ჩააბარებს, ე.ი. საშუალო რგოლი აუცილებელია. მე დამთავრებული მაქვს დ. არაყიშვილის სახ. №1 სამუსიკო სასწავლებელი, რომელიც ჩვენს კონსერვატორიაზე და უნივერსიტეტზე უფრო დიდი ხნისა იყო და მიმაჩნია, რომ მისი ისტორიიდან ამოშლა დიდი ცოდვა და დანაშაული იყო. მუსიკალური ნიჭი ქართველებს გენში უზით. მუსიკალური განათლება მასობრივი იყო და რაც მეტი მასაა, მით მეტი არჩევანის საშუალებაა. ქართველ ერში რა მოსპობს ნიჭიერებას, მაგრამ ვინც ნიჭიერია და ფულიც აქვს, მიდის საზღვარგარეთ, ჩვენი დონე კი, სამწუხაროდ, დაბლა მიექანება. ეს ყველაფერი პუბლიკაზეც აისახება. ვფიქრობ, რომ ამ ფესტივალს განმანათლებლური მისიაც აქვს და ის აღვივებს ინტერესს მუსიკისადმი თავისი მრავალფეროვანი პროგრამებით, მაღალი კლასის მუსიკოსებით და ა.შ.

ლელა მჭედლიძე (მევიოლინე, ტრიო "SEMPRE"-ს წევრი) — ფესტივალის იდეა, კონცეფცია ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ვხვდებით ძალიან საინტერესო ანსამბლებს, კოლექტივებს, შემსრულებლებს, უცხოელებსაც და ჩვენსასაც. ამ ფესტივალში სხვადასხვა ფორმით მიმიღია მონაწილეობა, ჩვენი ტრიო "SEMPRE" წელს პირველად იყო ჩართული ამ ფესტივალში, რადგან სულ ერთი წლისა ვართ, თორემ ცალ-ცალკე თამარ ლიჩელიც, მეც, როგორც ოპერის ორკესტრის კონცერტმაისტერი და ჰაიკ ბაბაიანიც, როგორც „სიმფონიეტას" ჩელისტების კონცერტმაისტერი, ყოველთვის ვმონაწილეობდით. ეს მაძლევს საფუძველს, რომ ასე ვილაპარაკო. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ფესტივალი უკვე დრომ გამოცადა და ძალიან წარმატებულადაც ჩააბარა ეს „გამოცდა", როგორც პროფესიული, ისე მენეჯმენტის კუთხით. 9 წელი არაა მცირე დრო იმისათვის, რომ ვთქვათ — ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე" წარმატებული პროექტია. რაც

შეეხება წელს ჩვენ ჩართულობას, ეს განსაკუთრებით სასიხარულო იყო, იმიტომ, რომ ორი კონცერტით მივიღეთ მონაწილეობა — ეს იყო ვანის კულტურის ცენტრში გამართული კონცერტი, რომელიც განსაკუთრებით ამაღლებული და კოლორიტული იყო და შემდეგ ჩვენთვის, როგორც საფორტეპიანო ტრიოსთვის, ძალიან მნიშვნელოვანი კონცერტი ბათუმის მუსიკალურ ცენტრში. მოგეხსენებათ, რომ ეს საკმაოდ დიდი, სპეციფიკური დარბაზია და აქ დაკვრა ტრიოსთვის, აკუსტიკურად თუ ბალანსის თვალსაზრისით, საპასუხისმგებლოა. უნდა ითქვას, რომ იდგა ძალიან კარგი ინსტრუმენტი, როიალი, რაც საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან დიდი ფუფუნებაა. წელს რეგიონალური განვითარების პროგრამით ჩვენმა ტრიომ კონცერტებითა და მასტერკლასებით მოიარა საქართველოს რეგიონები და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იშვიათად შეხვდებით საქართველოში ასეთ კარგ ინსტრუმენტს. რატომ ვუსვამ ხაზს ინსტრუმენტს? ვინაიდან ჩვენ საფორტეპიანო ტრიო ვართ, მთლიანად დამოკიდებული ვართ ინსტრუმენტის წყობაზე, ზოგ შემთხვევაში სასწაულიც მოგვიხდენია, ერთგან ვერც კი შევძელით დაკვრა, იმიტომ, რომ ფორტეპიანო აწყობილი იყო ორი ტონით დაბლა. მოგეხსენებათ, სიმებიანი ინსტრუმენტებისთვის ორი ტონით დაბლა რას ნიშნავს, ერთი ტონით კიდევ ასატანია, ბაროკოა, მაგრამ ორი ტონით?! შესაბამისად მოვუხადეთ ბოდიში, გავჩერდით და დავუკარით სოლო ნაწარმოებები. ბათუმში იყო წლევანდელი ფესტივალის დახურვა და ჩვენ ძალიან ბედნიერები და ამაყები ვართ, რომ მასში მივიღეთ მონაწილეობა.

მინდა აღვნიშნო ფესტივალის საქველმოქმედო საქმიანობა, რაც დღეს ჩვენ გვაკლია და გვჭირდება — სწორედ ესაა. ფესტივალის ორგანიზატორები საოცარი ადამიანები არიან, ჩამოთვლა არ მინდა, ვინმე რომ არ გამომრჩეს, ისინი ძალიან დიდ, მამულიშვილურ საქმეს აკეთებენ, ამასთან დიდი გულით და სრულიად უანგაროდ. და ეს არ არის ხმამაღალი სიტყვები. ფესტივალი მთლიანად მანანა დავითაშვილის იდეა იყო. მისი იდეა იყო ასევე ჩვენი ტრიოს წასვლა ინგლისში. მოგეხსენებათ, ქართულ და ანგლიკანურ ეკლესიებს შორის თანამშრომლობაა გაფორმებული, ამაში ჩართულნი არიან მანანა დავითაშვილი, საფრანგეთში მცხოვრები მისი

გოგი ჭიჭინაძე

ნათესავი, ლილიკო კვაჭახიძე, ასევე მანანა ხვედელიძე. 23 აპრილს გვქონდა სოლო კონცერტი, ხოლო 24-ში გაიმართა გალა კონცერტი. კონცერტს საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა, მანანა დავითაშვილი ამ კონცერტით დაეხმარა ოპერის თანამშრომლის, ჩვენი კოლეგის შვილს, პატარა ქეთევან აბაშიძეს. კონცერტები ქართული, მართლმადიდებლური აღდგომის პერიოდში ჩატარდა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ეძღვნებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და წმინდა გიორგის ხსენების დღეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს კონცერტი, თემატურადაც და შინაარსობრივადაც, ბუნებრივად ჩაჯდა ამ ფესტივალის ფარგლებში.

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ყოველთვის საინტერესოა და მუდმივად ვითარდება, არ ჩერდება ერთ ადგილზე“.

ვუსურვებ ფესტივალს დღეგრძელობასა და წინსვლას. ■

თაქთაქიშვილი

დიდი კლასიკოსების მემკვიდრე

თემურ გუგუშვილი

ის, რომ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება ქართული მუსიკის კლასიკურ მემკვიდრეობას მიეკუთვნება, რომ ამით გრძელდება ჩვენი კორიფეების ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ დოლიძის შემოქმედებითი ხაზი, ამას ვგრძნობ გამუდმებით. მე ბედნიერება მხვდა წილად ვყოფილიყავი ამ კომპოზიტორის არაერთი ნაწარმოების შემსრულებელი. ათეული წლებია დღემდე ჩემს საკონცერტო რეპერტუარში მუდმივად ჟღერს და განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ქმნილებებს. შემიძლია ვთქვა, რომ არ მქონია საკონცერტო გამოსვლა საქართველოში, ყოფილი სსრკ-ს თუ უფრო შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც მისი ნაწარმოები არ შემესრულებინოს. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის. თაქთაქიშვილის მუსიკა დღემდე გვაღელვებს არა მხოლოდ ქართველ მუსიკოსებს, არამედ სხვადასხვა ეროვნების მსმენელსაც, რომლისთვისაც ნაკლებადაა ცნობილი ქართული მუსიკის და საერთოდ, ქართული კულტურის შესახებ.

ჩემი ცხოვრების ბედნიერ პერიოდად ვიხსენებ იმ დროს, როდესაც შემოქმედებითი ურთიერთობა მქონდა ბატონ ოთართან. ღამის 10-11 საათზე დაურეკია – ახალი ნაწარმოები დავწერე და მინდა გაჩვენო, როგორ გაიჟღერებსო. ურთიერთობისას ძალიან თავმდაბალი და უბრალო იყო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი ერთობლივი გასტროლი. ანსამბლი „გორდელაც“ იქ იყო. მაშინ ბატონი ოთარი კულტურის მინისტრი გახლდათ. ერთხელაც სასტუმროს ნომერში შევიკრიბეთ, შემოგვიტანეს წითელი ღვინო. იქ ხომ არის ადგილი სახელწოდებით – რაჩა, ჰოდა, გვითხრეს, – ეს არის რაჩული ღვინოო. აი, მაშინ გაიხსნა ბატონი ოთარი, მოილხინა, – მე ის ასეთი ვერც წარმომედგინა. მჭევრმეტყველებით კი ყოველთვის ყველას ანცვიფრებდა, მაგრამ მაშინ რაღაც სხვანაირი გახდა – ენაწყლიანი, ლაღი, უშუალო მხიარული. საერთოდ სიმღერა ძალიან უყვარდა, ძლიერი ხმა არ ჰქონდა, მაგრამ ხალხურ სიმღერებში რაღაც გასაოცარ

დაუვიწყარი შეხვედრები

რევაზ ტაკიძე

ბ–ნი ოთარ თაქთაქიშვილის ძალიან მოკლევადიანი კონსერვატორიის რექტორობის დროს მე უკვე საფორტეპიანო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი გახლდით. ბ–ნი ოთარი ძალიან ენერგიულად შეუდგა თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას – ესწრებოდა გამოცდებს, სტუდენტთა აკადემიურ კონცერტებს, რათა მაქსიმალურად გაცნობოდა სტუდენტთა საშემსრულებლო პოტენციალს და ჰქონოდა ყოველ მათგანზე საკუთარი აზრი და შეხედულება. კარგად მახსოვს, როგორ ვღელავდი მეორე კურსის იანვრის გამოცდაზე (1963წ.) და მქონდა კიდევაც ამის მიზეზი – გვისმენდა ახალი რექტორი, უკვე საყოველთაოდ აღიარებული კომპოზიტორი და მუსიკოსი. თუ ამას დაუმატებთ, რომ პირველ კურსზე უკვე დაკრული მქონდა ქ–ნ გაიანე მაჭუტაძის კლასის კონცერტზე ბ–ნი ოთარის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, შეიძლება ითქვას, გარკვეული ურთიერთობა ჩვენს შორის სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. მაგრამ 70–იანი წლების ბოლოს, როდესაც ბ–ნი ოთარის (უკვე კულტურის მინისტრის) ინიციატივით გორის სამუსიკო სასწავლებელთან არსებული საოპერო სტუდია გაიხსნა (ფუნქციონირებდა 1979–1994წწ. დაიდგა ცხრა დასახელების საოპერო სპექტაკლი), ჩვენი ურთიერთობა ბუნებრივად გახშირდა და ძალიან საინტერესო გახდა. ცოტა უფრო ადრე – 1975 წლის იანვარში, მე და ირაკლი ჭიაურელი ბ–ნი ოთარის თანხმობით მიგვიღეს ოპერის თეატრში დირიჟორებად. რა თქმა უნდა, ჩვენ გახლდით დიპლომირებული სპეციალისტები (უკაცრავად და სპეციალური განათლების გარეშე ორკესტრთან მისვლაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა! იმ დროს დირიჟოროობა უძნელეს პროფესიად ითვლებოდა და არა როგორც დღეს, როდესაც იგი უფრო ჰობის დაემსგავსა), მაგრამ ჩვენი მზადყოფნა მაინც პირადად ბ–ნმა ოთარმა შეამოწმა საჩვენებელ–საგანმანათლებლო სპექტაკლებზე დასწრებით. ასეთი გახლდათ ბ–ნი ოთარი – უაღრესად ავტორიტეტული და კომპეტენტური კულტურის მინისტრი. მისი თანხმობის გარეშე ჩახვევებს აკეთებდა. განუმეორებელი იყო ის საღამო.

ჩვენ ყველგან ვამაყობდით, რომ ასეთი კულტურის მინისტრი გვყავდა – დიდი კომპოზიტორი და მუსიკოსი, ინტელექტუალი, ბრწყინვალე ორატორი, ლამაზი, წარმოსადეგი, მომხიბლავი ადამიანი, ჯერ მარტო მისი შეხედვაც კმაროდა... ამიტომ მას ყველგან ძალიან აფასებდნენ, როგორც მე–20 საუკუნის გამორჩეულ კომპოზიტორსა და პიროვნებას. მისი მინისტრობის პერიოდში ყველას მივვიხაროდა კულტურის სამინისტროში. ვგრძნობდით, რომ ბატონ ოთარსაც ძალიან უხაროდა ჩვენი მისვლა. დღეს კულტურის სამინისტროში სანამ მინისტრამდე მიხვალ, ათასი ბარიერი უნდა გამოიარო, ყველას უნდა აუხსნა, გააგებინო ვინ ხარ, რა ხარ, რატომ მოხვედი. თუკი ეს პრობლემები გადაჭერი და დაგრჩა გზა მხოლოდ მინისტრამდე, შეიძლება იქამდე მაინც ვერ მიაღწიო. ოთარ თაქთაქიშვილის დროს კი არ არსებობდა არანაირი ბარიერი, პირდაპირ შეხვიდოდი მის კაბინეტში, ბატონი ოთარი ფეხზე წამოდგებოდა, გაღიმებული, გახარებული შემოგეგებებოდა...

სულ ახლახან მინსკის საოპერო თეატრში მქონდა სოლო კონცერტი. ბოლოს წინა ნომრად შევასრულე ლეონკავალოს „ჯამბაზებიდან“ არია. დასასრულს კი მინდიას არია ოთარ თაქთაქიშვილის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მაინტერესებდა ამ უკანასკნელს ამჯერად როგორ მიიღებდნენ, ვინაიდან ორი თვის წინ ივივე დარბაზში შევასრულე ეს არია, რასაც დიდი ოვაციები მოჰყვა, „ბისზე“ გამამეორებინეს. ახლაც ივივე მოხდა, კვლავ მხურვალე რეაქცია, კვლავ „ბისზე“ სიმღერა.

მახსენდება ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებების, მისი ოპერების – „მინდიას“, „სამი ნოველის“, „მთვარის მოტაცების“, „პირველი სიყვარულის“ პრემიერები. რამხელა ზეიმი იყო, დაუვიწყარი... „პირველი სიყვარულიდან“ პერსონაჟების – ერთაობის, ნოშრევანის, მარგარიტას არიებს ახალგაზრდობა შემდეგ ქუჩაში ღიღინებდა.

სანამ იარსებებს ქართველი ერი, ქართული კულტურა, ქართული მუსიკა, მანამ იცოცხლებს ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება და მისი სახელი.

არაფერი არ წყდებოდა და მისთვის მეორეხარისხოვანი საკითხები კულტურის სფეროში არ არსებობდა.

გორის საოპერო სტუდიისთვის ბ–ნმა ოთარმა თავისი ერთაქტიანი „მუსუსის“ ნიადაგზე, ახალი პერსონაჟებისა და სცენების დამატებით, შექმნა ახალი საოპერო სპექტაკლი „ნიშნობა“. მას იმდენად მოეწონა ეს ჩვენი ნამუშევარი (რეჟისორი — ტ. ბუხბინდერი, მხატვარი — ი. გეგეშიძე, ქორმაისტერი შ. მოსიძე, ქორეოგრაფი — ი. ზარეცკი), რომ მისი თხოვნით ეს სპექტაკლი თბილისის საოპერო თეატრში ორჯერ ჩავატარეთ. ერთ–ერთ სპექტაკლს დაესწრო მაშინდელი რესპუბლიკის მთავრობის მთელი შემადგენლობა ე. შევარდნაძის მეთაურობით. არ გასულა დიდი დრო და ბ–ნმა ოთარმა შემომთავაზა ქ. სარატოვში მისი ორი საავტორო კონცერტისათვის სარატოვის სიმფონიური ორკესტრის მომზადება. მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ბ–ნი ოთარი სარატოვში გენერალური რეპეტიციებისთვის ჩამობრძანდა. მას მოეწონა ორკესტრის მზადყოფნა კონცერტებისათვის და მისი დაჟინებული მოთხოვნით კონცერტის პირველ განყოფილებას მე ვდირიჟორობდი, ხოლო მეორე განყოფილებას — თვითონ ავტორი. დღესაც მიმაჩნია, რომ ეს ჟესტი მისი მხრიდან ძალიან მრავლისმეტყველი იყო და უსათუოდ აჩვენებდა მის უაღრესად დადებით განწყობას ახალგაზრდების მიმართ. საინტერესო იყო ბოლო გენერალური რეპეტიცია, ბ–ნმა ოთარმა მოულოდნელად გააჩერა ორკესტრი და მეუბნება: „რეზო, მე რომ აღარ ვიქნები, ხომ დაუკრავ ჩემს მუსიკას?“ — სანამ მე პასუხს მოვიფიქრებდი, ბ–ნმა ოთარმა გააგრძელა რეპეტიცია. დღეს კი შემიძლია ვთქვა, რომ ეს თხოვნა ბ–ნ ოთარს ბევრჯერ შევუსრულე — მრავალჯერ მაქვს ნადირიჟორები „მინდია“ და „პირველი სიყვარული“, ოთხივე და ახალგაზრდული საფორტეპიანო კონცერტები. აქვე მინდა გავიხსენო ქ. ლვოვის კონცერტი 1989 წლის 7 ნოემბერს, როდესაც ნინო კერესელიძესთან ერთად დავუკარით მისი მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი. ამ დროს ბ–ნი ოთარი ახლადგარდაცვლილი იყო.

ჩემთვის ასევე დაუვიწყარია საოპერო თეატრში 1983 წლის სეზონის გახსნა. შაბათ საღამოს ბ–ნი ოთარი თვითონ დირიჟორობდა თავის „პირველ სიყვარულს“ და მეორე დღის დილის სპექტაკლი მე დამითმო. სპექტაკლის შემდეგ ბ–ნმა ოთარმა ვარდების დიდი თაიგულით მომილოცა...



საჯირიჟორო პულტთან

საინტერესო იყო მუსიკის მისეული აღქმა და შეფასებები. ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის შესრულების შემდეგ მითხრა: — „Очень хорошо, но я сыграл бы на ниточку спокойнее“. უნდა ვაღიარო, რომ მართალიც იყო, ეს კონცერტი ჩემთვის მძიმე პერიოდს დაემთხვა და ზედმეტი ღელვა მეტყობოდა, მეორე განყოფილებაზე ვეღარ დარჩა — მატარებლით ბათუმში მიემგზავრებოდა.

ძალიან კარგად გააცნო ჩემი თავი ევგენი სვეტლანოვს: „Это наш молодой дирижёр. Вчера у него был очень хороший концерт вместе с Даниилом Шафраном...“

საბჭოთა კავშირის მეთაურს ლ. ბრეჟნევს შეხვედრა მოუწყვეს ფილარმონიის დიდ დარბაზში. მისასალმებელი სიტყვით წარსდგა ბ–ნი ოთარი, თავისი უბადლო რუსულით, რა თქმა უნდა, ზეპირად... ვფიქრობ, ეს სიტყვა გახლდათ ნამდვილი დიპლომატიური შედევრი.

კარგი იქნებოდა მისი ჩანაწერის მოძიება. სწორედ ამ საღამოსთვის დაწერა განუმეორებელმა სოსო კეჭაყმაძემ თავისი „საზეიმო ოდა“. ბ-ნ ოთარს კაბინეტში შემოუტანეს ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი ხელნაწერი. ბ-ნმა ოთარმა ნოტები დადო პიუპიტრზე, ფურცლიდან დაუკრა პირდაპირ ტემპში და სრულიად უშეცდომოდ, თითქოს მისი დაწერილი იყო.

„Молодец, Coco! Хорошо написано!“ – ასეთი იყო შეფასება.

რამდენიმე საინტერესო სიტუაციის მომსწრე ვარ მის კაბინეტში, მაგრამ ყველაფრის გახსენება შეუძლებელია, ვშიშობ, უხებლიეთ ვინმეს გული არ ვატკინო. მაგრამ ერთი შემთხვევა მაინც მინდა აღვადგინო – მაშინდელი ლენინგრადის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა საყვედურით დაურეკა ბ-ნ ოთარს – „Ваш Лексо Торадзе сорвал концерт в Филармонии!“ შეგახსენებთ, რომ გენერალური რეპეტიციიდან სასტუმროში დასასვენებლად დაბრუნებულ ლექსოს თავისი ჩემოდანი დერეფანში დახვდა გამოტანილი, ხოლო მის ნომერში ვიღაც უცხოელი შეუსახლებიათ. ასეთი უპატივცემულობით შეურაცხყოფილმა ლექსომ იმავე საღამოს რაველის კონცერტი აღარ დაუკრა. ეს ყველაფერი ბ-ნმა ოთარმა ვერაფრით ვერ შეასმინა თავის ახალგაზრდა მოპასუხეს. ამიტომ აცალა და როგორც კი მიეცა საშუალება, შემხვედრი კითხვა დაუსვა – რა შთაბეჭდილებისაა იგი ლენინგრადში მიმდინარე რუსთაველის თეატრის გასტროლებზე. მოპასუხემ გულწრფელად აღიარა, რომ ამ ათი დღის განმავლობაში არცერთ სპექტაკლს არ დასწრებია. აქ კი იფეთქა ბ-ნმა ოთარმა: „Как, Стуруа покорил Лондон, вся Англия стоя аплодирует, а вы не соизволили посетить хоть один спектакль? Это ведь Ваша прямая обязанность?“ (მოპასუხე სწორედ კულტურის სფეროს განაგებდა ლენინგრადის საოლქო კომიტეტში და ა. შ. და ა.შ.) ამის შემდეგ მხოლოდ ბ-ნი ოთარი ლაპარაკობდა. მთელი ტექსტის აღდგენა ძალიან გამიჭირდება, მაგრამ უნდა ვთქვა, ამის მოსმენა ერთ რამედ ღირდა. მახსოვს ბოლო სიტყვა – „Мальчишка!“ და დაუკიდა ყურმილი. თუ გავიხსენებთ, რომ ეს იყო 80-იანი წლები, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ სითამამეს არცთუ ისე ხშირად შეხვდებოდით. მაგრამ იმასაც თუ გავიხსენებთ, რა უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა ბ-ნი ოთარი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არც ეს შემთხვევა გამოიწვევს დიდ გაკვირვებას.

დიდი ხელოვანი და პიროვნება

შავლეგ შილაკაძე

ჩემი მცირე წერილი-მოგონება არ არის ცდა ბატონი ოთარ თაქთაქიშვილის ფართო შემოქმედებისა და დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობის განხილვისა. ჩემთვის დიდი პატივია საზოგადოებას გავუზიარო ჩემი დამოკიდებულება, შთაბეჭდილება, განცდა დიდი პიროვნების, დიდი მუსიკოსის, ფართოდ მოაზროვნე, განათლებული ხელოვანისადმი.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლები საქართველოში იყო ის ეპოქა, დიახ, ეპოქა, როცა ფართო საზოგადოება პატივს სცემდა ნიჭიერ, გამორჩეულ ადამიანებს. არ იყო ის ნიჰილიზმი და ავტორიტეტის არაღიარება, რამაც იმძლავრა 80-იანი წლების მიწურულიდან და, სამწუხაროდ, გრძელდება დღემდე. ეს ნათლად ჩანდა მუსიკალურ სამყაროშიც და ასეთი დამოკიდებულების დადასტურება იყო სრულიად ახალგაზრდა ოთარ თაქთაქიშვილის ღირსეული, დამსახურებული აღიარება არა მარტო მუსიკალურ, არამედ ფართო საზოგადოებაშიც.

მე წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი ბატონი ოთარის სტუდენტი კონსერვატორიაში კომპოზიციის სპეციალობაზე სწავლის დროს. ბატონი ოთარი იყო საკმაოდ მომთხოვნი და, ამასთანავე, ძალიან თავისუფალი და ლმობიერი სტუდენტის მიმართ. იგი, როგორც ნამდვილი მუსიკოსი და შემოქმედი, არასდროს არ იფარგლებოდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამით. ის მხოლოდ სიბეჯითეს მოითხოვდა, რომ მეტი ნამუშევარი მიგვეტანა და გვეჩვენებინა თითოეულ გაკვეთილზე. დიდი ყურადღებით

ოთარ თაქთაქიშვილი და დავით თორაძე

გაეცნობოდა სტუდენტის ნამუშევარს, თვითონაც დაუკრავდა (უნდა გენახათ, როგორ უკრავდა ფურცლიდან) და ძალიან ტაქტით, კეთილმოსურნედ გამოთქვამდა თავის აზრს, იძლეოდა რჩევას. მახსოვს, ბატონ ოთარს ვაჩვენე სიმებიანი კვარტეტი, მომიწონა და ბატონი სულხან ცინცაძეც შემოიყვანა კლასში, მისი აზრიც მოისმინა და მომასმენინა. მიმაჩნია, რომ ეს იყო არა მარტო სულხან ცინცაძისადმი გამოხატული პატივისცემა, არამედ ჩინებული მაგალითიც კოლეგიალური, მეგობრული დამოკიდებულებისა.

გარდა სპეციალობისა, ბატონ ოთარს პოლიფონიის კურსიც მიჰყავდა. თემურ ბაკურაძეს და მე ერთად გვიტარდებოდა მეცადინეობა პოლიფონიაში. ახლაც მახსოვს მისი კმაყოფილება თემურის მშვენიერი მოტეტის ჩვენების შემდეგ. საერთოდ, გვსაყვედურობდა, — უფრო მეტი მასალა მოიტანეთო. ერთხელ თემურმა თავისი სიზარმაცის გასამართლებლად მოიმიზეზა — 7 და 8 ნოემბერი უქმე იყო და ხელი შემეშალა მეცადინეობაში. თემური და მე ახლაც კეთილი იუმორითა და ღიმილით ვიხსენებთ ბატონი ოთარის პასუხს — „ჩემ სიჭაბუკეში ისე მიყვარდა 7 და 8 ნოემბერი, რომ ვიჯექი და სულ პოლიფონიაში ვმეცადინეობდი“-ო. მთავარი კი ისაა, რომ მისი გაკვეთილები და სწავლება არ იყო სქოლასტური. მას შეეძლო გაკვეთილზე ეჩვენებინა ვიადანას თუ მარენციოს, ჯეზუალდოსა და ორლანდო ლასოს მუსიკიდან რამდენიმე ტაქტი, ფრაზა, ხმათა ოსტატური მოძრაობა, საინტერესო ჰარმონია. ერთხელ ყურადღება მიგვაქცევინა, თუ როგორი უბრალოებით და ოსტატობით უპირისპირებს ვერდი ტონალობებს „აიდას“ მე-3 აქტის დასაწყისში, ან როგორი მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია გენიალური ბახის ფუგის თემები, სტრუქტურა, ხმათა მოძრაობა, სტრეტები. ხომ ყველგან და ყველაფერში ჩანდა ბატონი ოთარის ცოდნა და განათლება, მაგრამ, უპირველესად, იგი იყო ჭეშმარიტი მუსიკოსი, მას მთელი არსებით უყვარდა მუსიკა.

არ მავიწყდება და თითქოს ახლაც ყურში მაქვს მის მიერ კომპოზიტორთა კავშირში 1969 თუ 1970 წელს ნაჩვენები „შემოღამება მთაწმინდაზე“ (შემდეგ ერთ-ერთი ნაწილი ორატორიისა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“), ბატონი ოთარი უკრავდა და მღეროდა. ძნელი სათქმელია რა იყო უკეთესი, — დაკვრა თუ სიმღერა — ულამაზესი ტემბრის მთრთოლვარე ხმა. ეს იყო დიდი განცდით, წვდომითა და გამომსახველობით აღსავსე შესრულება. ამ ეპიზოდის გახსენება, გარდა მუსიკალურ-მხატვრული შთაბეჭდილებისა, იმითაც არის აღსანიშნავი, რომ უკვე დიდად აღიარებული ხელოვანი თავს მოვალედ რაცხდა, კოლეგებისთვის გაეცნო თავისი ახალი ნაწარმოები. ეს მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო (სამწუხაროდ, ახლა ქართული მუსიკა ხომ არ სრულდება და ხშირად ისიც არ ვიცით ჩვენი კოლეგების რამდენი ოპუსი ელოდება შესრულებას). ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ დიდი ხანია ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების დამოკიდებულება ქართული აკადემიური საკომპოზიტორო შემოქმედების მიმართ, ჩემი აზრით, არა მხოლოდ გულგრილი, არამედ მიუტევებელია. ვფიქრობ, ეს ცალკე სასაუბრო თემაა.

რა გასაკვირია, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის

უცნობი თანამედროვე ავტორების ახალი ნაწარმოებები არ სრულდება, როცა მივიწყებულია ჩვენი მუსიკალური კლასიკა, განურჩევლად მისი ღირებულებისა. დასანანია, რომ ძალიან იშვიათად სრულდება ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებები. ამის ერთ–ერთი მიზეზი საქართველოში სრულიად მოუწესრიგებელი საკონცერტო ცხოვრებაა. ოთარ თაქთაქიშვილის დიდ შემოქმედებით მემკვიდრეობაში სხვადასხვა ჟანრის და ფორმის ბევრი ნაწარმოებია, რომელიც დაამშვენებს ნებისმიერი ქვეყნის საკონცერტო ცხოვრებას. იმედი მაქვს, ეს დროც დადგება და ღირსეულად აჟღერდება ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა.

ღრმად განსწავლული შემოქმედი

სვეტლანა ძეცგა

საქართველოში ეროვნული კულტურა გასული საუკუნის 60–80 იან წლებში აღმავლობით აღინიშნა. იხსნებოდა ახალი თეატრები, მუზეუმები, იქმნებოდა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები, კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებები. აყვავების ხანა დაუდგათ არსებულ ცნობილ შემოქმედებით ორგანიზაციებს, წარმატებით ხორციელდებოდა მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი. ქართული ხელოვნება იკაფავდა გზას ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სხვადასხვა ქვეყნებში მცოდნეებსა თუ მოყვარულთა შორის იგი აღფრთოვანებას იწვევდა თავისი თვითმყოფადობით, ცხოვრების არაორდინარული ხედვით, მსოფლიოს გენიალური მემკვიდრეობის ახლებურად წაკითხვით, ეროვნული საგანძურის ბრწყინვალე წარმოჩენით, განურჩევლად იმისა, საქმე გვქონდა 100 წლოვანი ისტორიის თუ თანამედროვე შემოქმედების ნიმუშებთან.

ყველაფერ ამას სათავეში ედგა ადამიანი, დაუოკებელი ენერგიით სავსე, ღრმად განსწავლული, უდიდესი პიროვნული მომხიბვლელობით და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული — კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. მან შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა შემოქმედებით ჭეშმარიტად დაინტერესებული, საქმის მცოდნე, ენერგიული, ინიციატივიანი და იდეური ადამიანები. საკმარისია გავიხსენოთ: ანტონ წულუკიძე, სოსო კეჭაყმაძე, აკაკი დვალიშვილი, ნოდარ გურაბანიძე, ვასო კიკნაძე, რობერტ ვახტანგოვი, ალეკო შალუტაშვილი, ეთერ კილაძე, ეთერ გალუსტოვა, ლია სეხნიაშვილი...

ოთარ თაქთაქიშვილი, მრავალმხრივი ტალანტის მქონე ხელოვანი, ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით

ოთარ თაქთაქიშვილი, არამ ხაჩატურიანი, დიმიტრი შოსტაკოვიჩი

და ადმინისტრაციულ მოღვაწეობას. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო შეეთავსებინა ამგვარი საქმიანობა, თავის ძირითად სპეციალობასთან — მუსიკალურ კომპოზიციასთან. მით უფრო, რომ ეს ემთხვევა იმ დროს, როცა დაიწერა ისეთი მონუმენტური ნაწარმოებები, როგორებიცაა ორატორიები: „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ოპერები: „სამი ნოველა“, „მუსუსი“, „მთვარის მოტაცება“ და „პირველი სიყვარული“, კანტატა „გურული სიმღერები“, ვოკალურ–ინსტრუმენტული სიუიტა „მეგრული სიმღერები“ და სხვა მრავალი თხზულება, რომლებიც, ფაქტობრივად, მისი შემოქმედების ძირითადი, ხოლო ქართული მუსიკალური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო, რომელსაც აყვავების ხანა ედგა.

შემოქმედებითი გაფურჩქვნა შეეხო არა მარტო საქართველოს დედაქალაქს, არამედ გავრცელდა რაიონებში, რაც მკაფიოდ გამოიხატა აფხაზეთის მაგა-

დავით (გუგული) თორაძე, ალექსი მაჭავარიანი, ოთარ თაქთაქიშვილი კომპოზიტორთა კავშირში კოლეგებთან ერთად

ლითზეც. ოთარ თაქთაქიშვილი უპირველეს ყოვლისა ეროვნული კადრებით ინტერესდებოდა, იყო ეს მისი თბილისის კონსერვატორიაში რექტორობის პერიოდში თუ შემდგომ, როდესაც ეკავა საქართველოს კულტურის მინისტრის პოსტი. მახსოვს 1969 წელს, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში შედგა რესპუბლიკის საზოგადოების შეკრება. ოთარ თაქთაქიშვილი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მაშინდელი კულტურის მინისტრის მოადგილე ვასილ კუხარსკისთან ერთად. განიხილებოდა აფხაზური კულტურის შემდგომი განვითარების საკითხი. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ აფხაზეთის სიმფონიურ ორკესტრს და საგუნდო კაპელას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში, მინიჭებოდა სახელმწიფო სტატუსი. ეს აქტი ახალი შემოქმედებითი მოღვაწეობის განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო. პროფესიული ორკესტრისა და გუნდის არსებობამ შესაძლებელი გახადა დასახულიყო უფრო მაღალი ამოცანები, კერძოდ, საოპერო-საშემსრულებლო ჯგუფისა და საოპერო დადგმების მომზადება. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა კიდეც და 90-იან წლებში ომის გაჩაღებამდე ჩვენ შევქმენით ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლების ჯგუფი და ეროვნული რეპერტუარიც. ასე შედგა, მაგალითად, 1984 წელს აფხაზი პოეტი-ნოველისტის მიხეილ ლაკერბაიას სიუჟეტის მიხედვით დიმიტრი შვედოვის ოპერა „ალამისის“ სრული ვერსიის წარმოდგენა.

ოთარ თაქთაქიშვილი კარგად იცნობდა აფხაზური კულტურის დაწესებულებების საქმიანობას. მათი სამუშაო გეგმები სისტემატურად განიხილებოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე, თვითონაც არაერთხელ სტუმრებია სოხუმს, რათა აფხაზ ხელოვანებთან დაემყარებინა პიროვნული ურთიერთობა, ადგილზე გასცნობოდა მათ წარმატებებსა თუ პრობლემებს.

ზოგიერთი მისი ჩამოსვლა კარგად მახსოვს, მაგალითად, მონაწილეობა ირაკლი აბაშიძის საიუბილეო ზეიმში, აგრეთვე ახალი ათონის მღვიმის გახსნაზე, როცა ოფიციალური დელეგაციის ჩამოსვლამდე ჩვენ, ლია სეხნიაშვილთან ერთად ვამოწმებდით მიწისქვეშა მღვიმე-სასახლეებში მუსიკალური ჩანაწერების ჟღერადობას, რომლებიც წინა დღეებში მოვამზადეთ და, ჩვენი აზრით, შეესატყვისებოდა ახალი ათონის მიწისქვეშა სასწაულის ბგერით ილუსტრაციას. მღვიმის მუსიკალური ილუსტრაციის იდეა ოთარ თაქთაქიშვილს ეკუთვნოდა. მოგვიანებით ერთ-ერთ მიწისქვეშა დარბაზში სისტემატურად მღეროდა აფხაზეთის საგუნდო კაპელა.

არასდროს დამავიწყდება მისი სოხუმში ჩამოსვლა, პერსპექტიული პიანისტის, პარის დიმიტრიადის ტრაგიკული სიკვდილის შეტყობისთანავე. მაშინ პარისის მამა — ოდისეი დიმიტრიადი, ქვეყანაში არ იმყოფებოდა და ოთარ თაქთაქიშვილი ოჯახს გვერდით დაუდგა როგორც მეგობარი, მოქალაქე, მინისტრი. ამ დროს დაუახლოვდა ივი ცნობილ აფხაზ ქირურგს, გიორგი ნესტორის ძე ემხვარს და მის მეუღლეს, ვალენტინა ვასილის ასულს. ეს სიახლოვე შემდგომ მეგობრობაში გადაიზარდა და გაგრძელდა მათი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ბატონი ოთარი თითქმის ყოველწლიურად ისვენებდა სოხუმში, მინისტრთა საბჭოს აგარაკზე, რომელიც წარსულში მემამულე სმეცკოის ეკუთვნოდა. ყოფილი მეპატრონის ფანტაზიისა და შრომის ქმნილებას წარმოადგენდა ბაღი — აფხაზეთის ერთ-ერთი, და მე ვფიქრობ, მთელ დედამიწის ზურგზე ულამაზესი ადგილი, სადაც თავმოყრილი იყო უნიკალური მცენარეები მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ბაღს გასაოცარი აურა ჰქონდა (სხვათა შორის, ახალგაზრდობის წლებში აქ

დასასვენებლად ჩამოდიოდა სერგეი პროკოფიევი, რომლის დედა და სმეცკოის მეუღლე გიმნაზიის მეგობრები ყოფილან). როცა ვთქვი – ოთარ თაქთაქიშვილი ისვენებდა-მეთქი, ვფიქრობ, სწორად არ გამოვხატე სათქმელი. Dolce farniente, ტკბილი უქმობა, მისთვის არ არსებობდა. არაჩვეულებრივი ბუნება შთააგონებდა შემოქმედს, შრომას კი წინ არაფერი ედგა. აფხაზეთის ცის ქვეშ არაერთი ნაწარმოები ჩაისახა და დაიწერა. სასიხარულოა, რომ ჩვენი მშობლიური აფხაზეთი აძლევდა მას შთაგონებას და ძალას წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. აქვე უნდა დავამატო, რომ მინისტრთა საბჭოს აგარაკის სიახლოვეს, ე.წ. ალექსეევის ხეობაში მდებარეობდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის – გიორგი სვირიდოვის აგარაკიც, ორი დიდი ოსტატის მეგობრული ურთიერთობა ორივეს ბევრს აძლევდა, როგორც შემოქმედებითი, ისე წმინდა ადამიანური თვალსაზრისით.

მინდა ვაღიარო, რომ ჩემი მივლინებების დროს თბილისში, იშვიათად ვსარგებლობდი შესაძლებლობით შევსულიყავი მინისტრთან, რადგანაც უხერხულად მიმაჩნდა ზედმეტად მისი შეწუხება, ისედაც უამრავი საქმით დატვირთული ხელოვანისა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა სამმართველოებს. ჩემი, როგორც სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორის, პრობლემები წყდებოდა კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის, რობერტ ვახტანგოვის, დონეზე, რომელიც უდიდესი სიკეთითა და გაგებით განიხილავდა და წყვეტდა სირთულეებს, რაც, შეიძლება ითქვას, არცთუ მაინცადამაინც გვაკლდა.

ერთხელ მაინც მომიწია ბატონ ოთართან შესვლა თხოვნით, რომ გავეთავისუფლებინე სასწავლებლის მისაღები გამოცდებიდან, ვინაიდან ჩემი შვილი აბარებდა კონსერვატორიაში და მისი დატოვება მშობლის ყურადღების გარეშე არ მინდოდა. ბატონმა ოთარმა მითხრა: „სვეტლანა, მისაღებ გამოცდებზე რამე თუ მოხდა თქვენ, როგორც სასწავლებლის დირექტორი, მაინც იქნებით პასუხისმგებელი. ამიტომ გაემგზავრეთ სახლში, თქვენს შვილს კი ჩვენ მივხედავთ“-ო. ასეც მოიქცა.

და კიდევ, მახსენდება მასთან საუბარი „გურულ სიმღერებთან“ დაკავშირებით, რომელსაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ოთარ თაქთაქიშვილმა მაშინ დაწვრილებით მიამბო თავის დამოკიდებულებაზე ფოლკლორთან, კერძოდ, იმ ხერხებზე, რომლითაც სარგებლობდა გურული ხალხური სიმღერების დამუშავებისას. მაშინ დავწერე სტატია მიძღვნილი ამ ნაწარმოებისადმი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“.

აფხაზური ხალხური მასალით ოთარ თაქთაქიშვილს არ უსარგებლია. გამონაკლისს წარმოადგენს სიმღერა „ვარადა“. მაგრამ ეს სიმღერა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მის შემოქმედებაში. საკმარისია გავიხსენოთ ციკლი „მეგრული სიმღერები“ და ოპერა „მთვარის მოტაცება“. კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებისა და აფხაზეთის თემისადმი მიმართვა, დედამიწის ზურგზე ულამაზესი კუთხის, აფხაზი ადამიანების ცხოვრების ჩვენება, ბევრ რამეზე მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა კი კომპოზიტორის სიყვარულზე ამ მხარისა და ხალხისადმი.

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ეპიზოდი. ირაკლი აბაშიძის საიუბილეო ზეიმის შემდეგ აფხაზეთის დრამატული თეატრის სცენაზე ჯერ კიდევ შემორჩენილიყვნენ სტუმრები და საღამოს ორგანიზატორები, როცა ბატონ ოთარს ერთი სოხუმელი ცნობილი ქალბატონი ეახლა და სთხოვა რეკომენდაცია თავისი ნათესავის თბილისის კონსერვატორიაში, ასპირანტურაში ჩასარიცხად. გავიგონე მისი პასუხი: „მიმართეთ სვეტლანა ქეცბას. თუ ის საჭიროდ ჩათვლის თქვენი თხოვნის შესრულებას, მზად ვიქნები მხარდასაჭერად“. ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ წარმოვაჩინო ბატონი ოთარის დამოკიდებულება ჩემი პერსონის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მის ყურადღებას თავისი უმცროსი კოლეგების მიმართ, მის სწრაფვას ყოველთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ეზრუნა მათი ავტორიტეტის, მათი სულიერების ზრდაზე. მისი ყურადღება და დახმარება სიტყვითა თუ საქმით, მისი წმინდა, უკომპრომისო მეგობრობა, სტიმულს აძლევდა ჩვენს ცხოვრებას, დამაჯერებლობას მატებდა ჩვენს საქმიანობას, გვხდიდა მისი შეხედულებების, იდეალების, ხელოვნებისა და იმ საქმის თანაზიარს, რომელსაც ის, და მასთან ერთად ჩვენც, ვუძღვნიდით მთელ ჩვენს ცხოვრებას.

საქართველო–ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილე

ნარგიზა გარდაფხაძე

მიკროფონთან ალექსანდრე კორსანტია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი

საქართველოს მთავრობამ 2014 წელი გამოაცხადა საქართველო–ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილედ. საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტები 6, 7, 8 ივნისს ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში ჩატარდა. საქართველოს სტუმრობდა მსოფლიოში სახელგანთქმული ორკესტრი ისრაელიდან „იერუსალიმის კამერატა“. ეს ყველაფერი კი შესაძლებელი გახდა მსოფლიოში განთქმული ქართველი პიანისტის, ალექსანდრე კორსანტიას დაუცხრომელი მონდომებით.

ალექსანდრე კორსანტია (პიანისტი): „რომ არა მარიამ (მანანა) დავითაშვილი ძნელი გახდებოდა ამ ყველაფრის ორგანიზება. მარიამმა და პატრიარქის საქველმოქმედო ფონდმა მომიწვია ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ მუდმივ სამხატვრო ხელმძღვანელად. მე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ საქმეს, მთელი წლის განმავლობაში ვმუშაობ ხოლმე ამ მიმართულებით. მინდა გითხრათ, რომ ზოგჯერ ჩემს პიანისტურ რეპერტუარზე მუშაობა გაცილებით უფრო იოლი მეჩვენება, რადგან აქ საკუთარ თავს თვითონ განაგებ. სტუმრების მოწვევისას კი ბევრად მეტი სანერვიულო და მოულოდნელობებია ხოლმე. მაგალითად, ქუთაისის საოპერო თეატრში, სამწუხაროდ, სათანადო როიალი დღემდე არ აქვთ. საბედნიეროდ,

პიანისტი სერგეი ბაბაიანი, „იერუსალიმის კამერატა“, დირიჟორი ავნერ ბირონი

საბოლოოდ ყველაფერმა მაინც კარგად ჩაირა! განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თბილისის კონცერტი, სადაც აუდიტორიაც და პირობებიც უმაღლეს დონეზე იყო და მოწვეული მუსიკოსებიც ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. მოხარული ვარ, რომ „იერუსალიმის კამერატასთან“ ერთად კონცერტების ამ სერიაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში აღიარებულმა პიანისტმა, სერგეი ბაბაიანმაც“.

მარიამ (მანანა) დავითაშვილი: „თავდაპირველად ბატონ ალექსანდრე კორსანტიას სურვილი ჰქონდა საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ფარგლებში მოეწვია ისრაელის ორკესტრი „იერუსალიმის კამერატა“, მაგრამ, სამწუხაროდ, ფესტივალისთვის დადგენილი ვადების გამო ეს ვერ მოხერხდა. შემდეგ კი საქართველოს მთავრობამ 2014 წელი გამოაცხადა საქართველო–ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს აღსანიშნავ წლად. ამან ჩვენ მოგვცა საშუალება მიგვემართა კულტურის სამინისტროსათვის, გვეთხოვა თანადგომა და პარტნიორობა პროექტის განხორციელებაში. საბედნიეროდ, კულტურის სამინისტრო გვერდში დაგვიდგა. შემდეგ მათ შეუერთდნენ სპონსორები: ისრაელის საელჩო, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის მერიები, კომპანია „ალბატროსი“, მედია პარტნიორი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და საინფორმაციო მხარდამჭერები; მათ შორის გაზეთი „Georgia Today“. ყველას დიდი მადლობა ამისათვის!

თამაზ ნიკოლაიშვილი (მუსიკისმცოდნე, პიანისტი, ბათუმი): „იერუსალიმის კამერატას“ კონცერტი ნამდვილად დიდი მოვლენა იყო ბათუმისთვის. ასეთი სრულყოფილი დონის ორკესტრი ბათუმს არ ახსოვს. მართალია, ჩვენ გვაქვს ზაფხულობით ქ–ნ ლიანა ისაკაძის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „ღამის სერენადები“, მაგრამ ეს არ არის საკმარისი! „იერუსალიმის კამერატას“ საშემსრულებლო დონემ ყველა მოლოდინს გადააჭარბა! ჩვენ ასეთი ერთხმოვანება და თანხვედრა მუსიკოსების, რომლებიც როგორც ერთი ისე უკრავდნენ, არ გვახსოვს. ასეთი ყურადღება დირიჟორის ხელისადმი. შესანიშნავი დირიჟორი ავნერ ბირონი ნამდვილად უდიდეს მუსიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება. პიანისტმა სერგეი ბაბაიანმა კი ნამდვილად შეაყვარა თავი მსმენელს. ამ ყველაფერმა ერთობლიობაში შექმნა ის სადღესასწაულო განწყობა, რაც კლასიკურ მუსიკას მოაქვს ჩვენთვის. მე ნამდვილად არ ველოდი, რომ 1200 კაციანი დარბაზი ბათუმში კლასიკური მუსი–

სერგეი ბაბაიანი და ალექსანდრე კორსანტია

კის კონცერტზე სრულად შეივსებოდა, იმდენად დიდი იყო წყურვილი ბათუმელებისა კლასიკური მუსიკისადმი. ამ კონცერტმა არაჩვეულებრივი ხიბლი და შარმი დაგვიტოვა. ასე რომ, ჰორიზონტზე გამოჩნდა კიდევ ერთი შესანიშნავი ორკესტრი და გაჩნდა სურვილი, კიდევ მოვიწვიოთ ბათუმში მსოფლიოს სხვა, საუკეთესო ორკესტრები!“

რევაზ ჯავახიშვილი (ქუთაისის ოპერის მთავარი დირიჟორი):„ქუთაისის საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ამ კონცერტით. ასეთი განსაკუთრებული ბგერისა და სტილის ორკესტრი ძალიან დიდი ფუფუნება იყო ჩვენთვის. უნდა აღინიშნოს პიანისტის, სერგეი ბაბაიანის მიერ შესრულებული მოცარტის კონცერტი. სულ განსხვავებული ესთეტიკა და სტილი გვიჩვენა; ეს ხშირად არ ხდება ჩვენს ქალაქში. დიდი მადლობა ალექსანდრე კორსანტიას ამ მუსიკოსების ჩამოყვანისათვის! დიდი მადლობა იოსებ ბარდანაშვილს — მისი კვარტეტი, გადაკეთებული კამერული ორკესტრისათვის ძალიან კარგად მიიღო მსმენელმა. ინტერესი ამ კონცერტისადმი იყო ძალიან მაღალი. დარბაზი თითქმის სავსე იყო. როდესაც ასეთი დონის მუსიკოსები ჩამოდიან, ხდება ნამდვილად საუკეთესო პროპაგანდა კლასიკური მუსიკის. მომავალში დიდი სიამოვნებით დაველოდებით ასეთ კონცერტებს!“

1983 წლიდან „იერუსალიმის კამერატას“ უცვლელად ხელმძღვანელობს მისი დამფუძნებელი, ავნერ ბირონი. ამ დირიჟორის ბიოგრაფია გამოირჩევა იმით, რომ მუსიკა არ არის მისი პირველი პროფესია. მან ჯერ ბიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მაგისტრის ხარისხი მოიპოვა, ხოლო შემდეგ დაიწყო მუსიკალური კარიერა, როგორც ფლეიტისტმა. მოგვიანებით კი დირიჟორის პროფესიას დაეუფლა. ავნერ ბირონის თქმით, მან

მუსიკაში მეცნიერული აზროვნება დაამკვიდრა. რაში გამოიხატება ეს, ძნელი სათქმელია. ორკესტრანტების თქმით — შესაძლოა ეს პერფექციონიზმია — მას შეუძლია თითქოს და უკვე მზა ნაწარმოები კიდევ მრავალჯერ გაამეორებინოს მუსიკოსებს. ეს თვისება უდავოდ მიზნად ისახავს ნაწარმოების შესრულების იდეალურთან მიახლოებას, რაც მეცნიერულ სიზუსტესაც გულისხმობს. ჩემი სუბიექტური აღქმით. კი გარკვეულ, საუკეთესო გაგებით, აკადემიურობასაც გულისხმობს, რაც ყველა კონცერტს წითელი ხაზივით გასდევდა.

მუსიკოსები სამივე ქალაქში ერთი და იგივე პროგრამით წარდგნენ. კონცერტი გაიხსნა ჰაიდნის № 52 სიმფონიით. ეს ნაწარმოები ჰაიდნის 104 სიმფონიას შორის ყველაზე იშვიათად სრულდება. დირიჟორის თქმით, ის გარდამავალი ეტაპის ქმნილებაა ბაროკოსა და კლასიციზმს შორის, რისთვისაც მას სტილისტურად „Sturm und Drang“ -ის მიმართულებას მიაკუთვნებენ. თავად ავნერ ბირონი რეპერტუარის მრავალფეროვნების მომხრეა. მისი ორკესტრი ასრულებს როგორც უძველეს, ბაროკოს, ასევე თანამედროვე უახლეს ნაწარმოებებს. ორკესტრი ბევრს მოგზაურობს ტურნეებში და თავადაც მასპინძლობს მსოფლიოში სახელგანთმულ მუსიკოსებს. სასიამოვნოა, რომ მათ რიცხვში არიან ქართველი მუსიკოსებიც: ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე კორსანტია, ვახტანგ კახიძე, ირმა გიგანი და სხვები. 2009 წლიდან ორკესტრთან მოწვეული კომპოზიტორის სტატუსით თანამშრომლობდა ჩვენი სასიქადულო თანამემამულე, ისრაელში მოღვაწე კომპოზიტორი, იოსებ ბარდანაშვილი.

ჰაიდნის სიმფონიის შემდეგ, პირველი განყოფილება განაგრძო სერგეი ბაბაიანმა. პიანისტმა შეასრულა მოცარტის კონცერტი № 9, მი ბემოლ მაჟორი. ამ მუსიკოსმა ორკესტრთან ერთად ნამდვილად მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო კონცერტის მეორე ნაწილი, „ანდანტინო“ დაწერილი დო მინორში, რაც იშვიათია თავად მოცარტისათვისაც. როგორც კონცერტის შემდეგ პიანისტმა გაგვანდო: „ამ კონცერტის დაწერისას, მოცარტს გარდაეცვალა დედა და „ანდანტინოს“ ტრაგიკული თემის განცდა სწორედ ამით იყო გამოწვეული. მე თავადაც ჩემს გარდაცვლილ დედაზე მეფიქრება, როდესაც ვუკრავ ხოლმე ამ ნაწილს“.

კონცერტის დასასრულს ქართველი მსმენელი დიდხანს არ უშვებდა პიანისტსა და დირიჟორს სცენიდან. ბისზე სერგეი ბაბაიანი მოულოდნელად ალექსანდრე კორსანტიასთან ერთად გამოვიდა სცენაზე. პიანისტებმა მსმენელებს საჩუქრად შესთავაზეს მოცარტის სონატა 4 ხელში. აღფრთოვანებული მსმენელი კიდევ თხოულობდა ბისზე შესრულებას და სერგეი ბაბაიანმა ამჯერად სკარლატის სონატა შემოგვთავაზა. სკარლატის სონატების ბაბაიანისეული ჩანაწერი ამერიკაში აღიარებულია საუკეთესოთა შორის გენიალური ჰოროვიცის შესრულების გვერდით.

სერგეი ბაბაიანს საქართველოსთან ბევრი რამ აკავშირებს, რაზეც კულისებში მოსალოცად შესული სტუმრების სიმრავლეც მეტყველებდა.

სერგეი ბაბაიანი: „მე ლენინაკანში დავიბადე. ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში ერევანში. ბავშვობაში მშობლებს ხშირად მოვყავდი საქართველოში. მე მაკავშირებს ასეთი პირადი ისტორია შავ ზღვასთან. პატარაობისას ძალიან მაწუხებდა საბავშვო რევმატიზმი. ექიმებმა მირჩიეს შავ ზღვაზე, ბათუმთან მაგნიტური ქვიშებით მკურნალობა. მამა და მე ჩამოვედით და მართლაც სრულიად განვიკურნე. შემდეგ მე შევხვდი საშა კორსანტიას ჯერ თბილისში — ამიერკავკასიის პიანისტთა კონკურსზე. მე 18 წლის ვიყავი და ვუსმენდი 15 წლის ბიჭის მიერ პროკოფიევის პირველი კონცერტის გენიალურ შესრულებას. მოგვიანებით ჩვენ შევხვდით მოსკოვში, ხოლო შემდეგ კი ამერიკაში, როდესაც საშა ჩამოვიდა ლექსო თორაძესთან სასწავლებლად. მე ჯერ ჩავედი ნიუ-იორკში 1989 წელს, შემდეგ, 1992 წელს, მიმიწვიეს კლივლენდის სახელგანთქმულ ორკესტრში, ოჰაიოს შტატში, სადაც „მოწვეული არტისტის“ პოზიცია მიკავია დღემდე. თუმცა დატვირთული საკონცერტო გრაფიკის გამო ბევრს ვმოგზაურობ და განსაკუთრებით კი ნიუ-იორკსა და კლივლენდს შორის, რადგან, ნიუ-იორკში ცხოვრობს და მუშაობს ჩემი მეუღლე, რომელიც ასევე მუსიკოსია. ამჟამად კი ნიუ-იორკში, ჯულიარდის სახელგანთქმულ სკოლაში ვარ მიწვეული პროფესორად.

დღევანდელი კონცერტით ძალიან კმაყოფილი ვარ! ასეთ ორკესტრთან დაკვრა დიდი საიამოვნებაა.

დირიჟორის და მთელი შემადგენლობის უდახვეწილესი გემოვნება და მუსიკალურობა დიდი ბედნიერების მომგვრელია პიანისტისთვის. დარბაზმაც იგრძნო ჩვენი ეს შემოქმედებითი მუხტი და სათანადო რეაქციაც ჰქონდა!“

კონცერტის მეორე განყოფილებაში, ქართველ მაყურებელს ელოდა შეხვდრა თავის საყვარელ მუსი-

კონცერტის შემდეგ. სერგეი გაბაიანი, იოსებ ბარდანაშვილი, თეიმურაზ გაკურაძე

კოსთან, ისრაელში მოღვაწე კომპოზიტორთან, იოსებ ბარდანაშვილთან. კომპოზიტორმა 1982 წელს დაწერილი სიმებიანი კვარტეტი მოგვიანებით გადააკეთა კამერული სიმებიანი ორკესტრისათვის, რაც „იერუსალიმის კამერატამ“ იმ დღეს პრწყინვალედ წარმოადგინა. ბარდანაშვილისთვის დამახასიათებელი მულტიკულტურული პლასტები ამ ნაწარმოებში ძალზე შთამბეჭდავად ისმინებოდა.

იოსებ ბარდანაშვილი:„ 1982 წელს, ჩვენმა სახელმწიფო კვარტეტმა მთხოვა კვარტეტის დაწერა. მაშინ უმეტესად სულხან ნასიძე და სულხან ცინცაძე წერდნენ მათთვის კვარტეტებს. მეც დიდი სიყვარულით დავუწერე მათ ეს კვარტეტი. ნაწარმოები ორნაწილიანი გამოვიდა. მეორე ნაწილი ეძღვნება მალერს (სხვათაშორის ამ მეორე ნაწილის მუსიკაზე ისრაელში ბალეტიც კი დაიდგა), თუმცა დღეს, დროის სიმცირის გამო, მხოლოდ პირველი ნაწილი დაუკრეს. იმ პერიოდში მე მქონდა იდეა გამომეყენებინა სხვადასხვა სტილები, ებრაული სალოცავი მუსიკის გამოსახატავად. პირველ ნაწილში ვისარგებლე ტანგოს რიტმით, რომელიც ბეთჰოვენის ერთი მოტივის განვითარების პრინციპით დავამუშავე. ფორმითაც ეს ნაწილი კლასიკურია: სონატური ალეგრო, ვეცადე სტილი ბოლომდე დამეცვა. ყველაფერ ამის უკან კი მქონდა იდეა: შეუძლია თუ არა ებრაელ ადამიანს ყველაფრის მიღმა თავისი თავი დაინახოს? იქ ტანგოც არის, „დიეზ ირეს“ თემაც არის, ებრაული და აღმოსავლური თემებიცაა; თითქოს ასეთი ესთეტიური ჭიდილი არის: სადა ხარ შენ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის? ეს იყო ჩემი 1985 წლამდე მუსიკალური იდეები. ამ კვარტეტისათვის და „სერენადისათვის“, რომელიც ლიანა ისაკაძეს დავუწერე, საქართველომ მომანიჭა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია. მაშინ 32 წლის ვიყავი. დღეს ეს კვარტეტი ბევრგან სრულდება ევროპაში. ცოცხლობს! როდესაც სრულდება ხოლმე, მე სულ თვალწინ მიდგას ჩვენი კვარტეტის ბიჭები, რომლებმაც მთხოვეს და დამაწერინეს ეს ნაწარმოები და ძალიან მადლიერი ვარ მათი ამისთვის!“

თბილისში კონცერტის დასასრულს, დირიჟორმა ავნერ ბირონმა და ორკესტრმა შეასრულეს მოცარტის სიმფონია №29, ლა მაჟორი. ისევ ბრწყინვალე პროფესიონალიზმი, შეუდარებელი თანხმობა და ჰაეროვანი მელოდიების დინება — კლასიკით გამოწვეულმა მუსიკალურმა ექსტაზმა მთლიანად მოიცვა დარბაზი. დასრულებისას პუბლიკამ დირიჟორს პატივი ხანგრძლივი ტაშით მიაგო. დირიჟორმაც დიდხანს არ დააყოვნა და ბისზე კიდევ ერთი კლასიკური ნაწარმოები შეასრულა, ამჯერად ისევ ჰაიდნი, სიმფონია 34, ფინალი. ამით კონცერტის დასასრული გაერთიანდა დასაწყისთან ერთ მოხდენილ ლამაზ ჩარჩოში, რომელსაც მუსიკალური ზეიმი ჰქვია.

P.S. თბილისის კონცერტი საქველმოქმედო იყო: ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ 3 წლის ქეთი აბაშიძეს. ქეთი მუსიკოსების ოჯახიდანაა. ბაბუა — კომპოზიტორი, ჯარჯი მაღალაშვილი ჰყავდა, ხოლო დიდი ბაბუა — ბორის გალკინი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე. სასიამოვნოა, როდესაც შენი ნაყიდი ბილეთის ფულით, არა მარტო სიამოვნებას იღებ მუსიკისგან, არამედ სხვასაც ეხმარები. მადლობა ამისთვის ორგანიზატორებს!

ვახტანგ მაჭავარიანი ახალ ამპლუაში

მანანა კორძაია

ამ გაზაფხულზე საერთაშორისო არენაზე აქტიურად მოღვაწე ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი ერთგვარად ახალ ამპლუაში წარდგა მსმენელის წინაშე. აფიშები მისი პირველი სიმფონიის *Harmonia Mundi*-სა (მსოფლიო ჰარმონია) და პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის მესამე ნაწილის საორკესტრო ვერსიის პრემიერებს იუწყებოდა, მისივე დირიჟორობითა და თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრის შესრულებით. „ერთგვარად“ იმიტომ ვამბობ, რომ მსმენელმა რამდენიმე ხნით ადრე გაიცნო მისი საორკესტრო პიესა „ნაცარქექია“, რომელმაც საკმაოდ წარმატებულად გაიჟღერა ჩვენშიც და უცხოეთშიც. მაგრამ ჩემთვის ეს 60 წლის დირიჟორის თავისებური ექსპერიმენტი იყო კომპოზიციაში. ამგვარ მასშტაბებთან შეჭიდებას კი აღარ ველოდი – 4 ნაწილიანი კონცეპტუალური კომპოზიცია და თავად პროკოფიევის ფენომენი! ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი საკმაო ინტერესს აღძრავდა ჩემში... მით უმეტეს, რომ ახალი სიმფონიური ნაწარმოებებით დღეს არცთუ განებივრებულია ქართული მუსიკა.

სწორედ ამიტომ, არაბუნებრივად მეჩვენა, რომ იმ საღამოს სავსე დარბაზის მსმენელთა შორის, სადაც უხვად იყვნენ უცხოელი მუსიკის მოყვარულნი (მათ შორის ტოკიოდან ამ კონცერტისათვის სპეციალურად ორი დღით ჩამოსული მუსიკისმცოდნე კაშიმა), მხოლოდ აქა იქ, ორიოდ ქართველ მუსიკოსს თუ შეხვდებოდით, მით უმეტეს მუსიკისმცოდნეებს. ამიტომაც არც პროფესიული შეფასებები მოჰყოლია ამ მოვლენას და ტელე-რადიო გადაცემების მოკლე საინფორმაციო ცნობებთან ერთად, ისევ ინგლისურენოვანი გაზეთი “The Messenjer”-ი გამოეხმაურა. კომენტატორის აზრით „ამ ნაწარმოებმა თავისი შინაგანი სიმძლავრით ემოციურად აღავსო მსმენელი. კომპოზიტორმა მუსიკაში ახალი ჰარმონიული სვლებით წარმოგვიდგინა ხან ძალზედ მღელვარე და ფაქიზი, ხან კი მთრთოლვარე და იდუმალი განცდები. მასში უეცრად იჭრება ნერვული „დარტყმა“ — მარში, გვიჩვენებს რა, როგორი დისჰარმონიულია დღეს სამყარო და როგორ აღელვებს ეს კაცობრიობას. აუდიტორია ტკბებოდა სიმფონიის მუსიკითა და შესრულებით, რაც შესანიშნავად წარადგენდა ავტორს ახალ ამპლუაში. ეს ნამდვილი წარმატება იყო!“

ვახტანგ მაჭავარიანი. ლონდონი
როიალ ალბერტ ჰოლი. 1999

კომპოზიციის საუფლოში შესასვლელად, ვფიქრობ, ვახტანგ მაჭავარიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე ემზადებოდა, ყოყმანობდა, პატარ-პატარა ესკიზებს უჯრაში ინახავდა და სერიოზულად ამაზე ფიქრსაც კი ერიდებოდა. ინსპირატორი კვლავ მისი კერპი ალექსი მაჭავარიანი აღმოჩნდა და იმ დროს, როდე-

საც ბატონი ალექსი ცოცხალი აღარ იყო. ამის თქმის უფლებას ერთი ფაქტი მაძლევს. 2009 წელი იყო. ვახტანგი ბატონი ალექსის ოპერა „მედეას“ პარტიტურას ამზადებდა საკონცერტო ვერსიის პრემიერისათვის, რომლის ლიბრეტო მას ეკუთვნის. ერთხელ მეუბნება: — „ძალიან მიკვირს, მამამ მთელი ოპერა დაამთავრა და რატომღაც არ დაწერა პირველი აქტის ფინალური სცენის მუსიკა. ჩვენ ყოველ სცენაზე სკრუპულოზურად ვმუშაობდით, ვარჩევდით ყოველ დეტალს. ასე იყო ამ სცენაზეც. ყველა დეტალზე შევთანხმდით, მაგრამ ეს ეპიზოდი მაინც არ დაწერა. არა მგონია, რომ ვერ შეძლო, აშკარად მოფიქრებული ჰქონდა... მე მგონი სპეციალურად გააკეთა — ეს ეპიზოდი მე დამიტოვა დასაწერად. როგორც ჩანს, მეექვსე სიმფონიაზე ერთად მუშაობის შემდეგ მენდობოდა... სხვა გზა არ დამიტოვა, მე უნდა დამეწერა, რადგან ეს სცენა საკვანძო და სრულიად აუცილებელია. გავაკეთე... ვნახოთ, როგორ გაიჟღერებს და როგორ მიიღებს პუბლიკა“... რისკი წარმატებული აღმოჩნდა. ვახტანგისეულმა ჩართულმა საკმაოდ ვრცელმა ეპიზოდმა შთამბეჭდავად გაიჟღერა და სრულად ჩაეწერა ოპერის საერთო ენობრივ სივრცეში. ვფიქრობ, მაშინ ირწმუნა თავისი შესაძლებლობები ვახტანგმა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ეს პირველი მასშტაბური ნაწარმოები, სიმფონია, სწორედ მამას მიუძღვნა. ამ სიმფონიით იგი აშკარად აგრძელებს ალექსი მაჭავარიანის ბოლო სიმფონიების გზას. ეს გამოიხატა იდეურ კავშირში ბატონი ალექსის მე-5 და მე-6 სიმფონიებთან, სადაც სწორედ სამყაროს ერთიანობის ტრანსცენდენტული პრობლემაა წამოწეული. მაგრამ თუ ბატონი ალექსი უფრო კონკრეტიკისაკენ ისწრაფვის და გვთავაზობს კონკრეტულ სიმბოლოებს (მაგ. „უშბა“), ვახტანგი მთლიანად ზოგადობის იმ პრინციპებიდან ამოდის, როცა სამყარო ორი ელემენტისაგან შემდგარ მთლიანობას (დედამიწა და კოსმოსი) კი არ წარმოადგენს, არამედ ერთ განუყოფელ მთელს. ეს ხაზგასმულია თემატური მასალითაც — პირველი ნაწილში დაბადებული თემა-იდეის ტრანსფორმაციით სიმფონიის ოთხივე ნაწილში. ამასთან, ბატონი ალექსის ხელწერა უფრო ფერწერულ-პეიზაჟურია, ფრესკული. ბატონი ვახტანგი კი, ჩემი აზრით, უფრო კინემატოგრაფიულ-ხედვითი სახიერებისკენ მიმართავს ვექტორს. ეს განსაკუთრებით ჩანს პირველი ნაწილსა და ფინალში, რასაც ორკესტრობაში სერიული სისტემების ორიგინალურად გააზრებით აღწევს კომპოზიტორი. მათში ხდება უკიდეგანო სამყაროს სივრცული ჩვენება, რამაც ჩემში თანამედროვე კინემატოგრაფის უკანასკნელი ნოვაციის 3D პანორამული სივრცის ასოციაცია გამოიწვია, ანუ ადამიანი კი არ „უყურებს-ისმენს“, არამედ ამ სივრცის უშუალო ნაწილად გრძნობს თავს.

ოთხ ნაწილიანი სიმფონიის კონცეპტუალობას უკვე სათაურიც უსვამს ხაზს. მაგრამ აქ არ არის ტრადიციული პროგრამულობისათვის დამახასიათებელი კონკერტულობა. სიმფონიის პროგრამულობის საყრდენი სწორედ მალერისეული (კაშიმა) განზოგადოებული კონცეპტუალობიდან იბადება — ჰარმონიული სამყარო (პირველი ნაწილი), ადამიანი ამ სამყაროში (მეორე და მესამე ნაწილი) და ადამიანის განუზომელი, მაგრამ მიუღწეველი სურვილი ამ ჰარმონიის რღვევისა (ფინალი).

პირველი ნაწილი მთლიანად სონორისტულ სერიულ სისტემაზეა აგებული, რაც შესატყვისი ორკესტრული ფერების ოსტატურად გააზრებისა და სონორისტული ხერხების ლოგიკური სინთეზით წარმოქმნის სწორედ ზემოხსენებულ კინოპანორამულ 3D ეფექტს. უკიდურესი სიჩუმიდან იბადება მცოცავი აკორდების უწყვეტი დინება, რომელშიც ეფექტური ორკესტრობით ვარსკვლავთა ციმციმიც კი ირეკლება. ამ სივრცულ კალეიდოსკოპში უეცრად იკვეთება ფაქიზი, მგრძნობიარე თემა ერთ ხმაში (კლავიშები), რომელიც სიმფონიის დრამატურგიის ძირითად საყრდენად იქცევა და ტრანსფორმირებული სახით ჟღერს ყველა ნაწილში. შუა ნაწილების ორკესტრობაში სერიულ სისტემებს ცვლის რთულ დისონანსურ, მაგრამ პირობითად მაინც ტონალურ კომპლექსში მოქცეული აზროვნების ფორმა. გურულ ხალხურ ინტონაციაზე აგებულ სკერცოს (მეორე ნაწილი) მიწიერი, ყოფითი განწყობა შემოაქვს ამ ტრანსცენდენტულ სივრცეში. იგი არ არის გააზრებული, როგორც კონტრასტის საშუალება, არამედ წარმოდგენილია, როგორც ამ სივრცის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მესამე ნელი ნაწილი ვალსია, მაგრამ აქ ყოფითობა

სრულიად გამორიცხულია. ეს მისტიკაა, ფანტასმაგორია... თვითონ კომპოზიტორის განცხადებით „ეს არის მიხეილ ბულგაკოვის გმირების — ოსტატისა და მარგარიტას ვალსი“. ფანტასმაგორიული შტრიხი ხაზგასმულია არა მარტო ვალსის თემის მისტიკური ჟღერადობით, არამედ მასში მოულოდნელად მარშისებური ელემენტის შეჭრით, საკმაოდ ცინიკური ტრანსფორმაციით. მარშის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდება ფინალში.

ფინალი და განსაკუთრებით კოდა გასაოცარი ენერგეტიკული ველის შემცველია. აქ დინამიკა სივრცის შიდამოძრაობით იბადება და არა გარეგნული ეფექტებით. მასში ღრმა, დაძაბულმა დრამატიზმმა შეცვალა პირველი ნაწილის გამჭვირვალე უძირო სივრცე. პირველ ნაწილში გაბატონებული სერიული სისტემა აქაც უზარმაზარ სივრცულ 3D პანორამას წარმოქმნის, მაგრამ უკვე დრამატული დაძაბულობით აღვსილს, შეუპოვარს და უდიდესი ენერგეტიკული ველით გარშემორტყმულს, რომელიც უშუალოდ გადადის მსმენელზე. ვარსკვლავები აღარ ციმციმებენ, პირველი ნაწილის მსგავსად, შორს, რომანტიკულად. ისინი ძალზედ დაგვიახლოვდნენ, სიმკვეთრე შეიძინეს. ფინალურ პანორამაში უეცრად იჭრება მარში — უხეში, დაუნდობელი, იქნებ დამანგრეველიც კი. მაგრამ თანდათან ისიც უსუსური ხდება და კოდაში მაინც იძირება სამყაროს მთლიანობაში. ჩემი აზრით, კომპოზიტორს სურს კოდაში აჩვენოს, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებს ამ სამყაროს ჰარმონიის მთლიანობის რღვევას.

სიმფონიაში გამეფებული ორკესტრული ფერადოვნება, ჟღერადობის სიმძაფრე და ენერგია, ვფიქრობ, იმ გამოცდილების შედეგია, რომელიც ვახტანგ მაჭავარიანმა შეიძინა სადირიჟორო პულტთან, როგორც საქართველოში, ისე ევროპის საუკეთესო სიმფონიურ და საოპერო ორკესტრებთან მუშაობისას. ეს ოსტატობა შესძინა იმ ძალზედ ფართო სიმფონიურმა თუ საოპერო რეპერტუარმა, რომელიც მოიცავს ყველა ეპოქისა და მიმართულების მუსიკას. ვახტანგ მაჭავარიანი ის შემოქმედი აღმოჩნდა, რომელიც გამოვიდა საკომპოზიტორო შემოქმედებით ასპარეზზე, როგორც ორკესტრის დიდოსტატი. ის ენერგეტიკული მუხტი, რომელიც მისი

ვახტანგ და ალექსი მაჭავარიანები

ნაწარმოებიდან გადავიდა მსმენელში, იმ ოვაციაში გადაიზარდა, რომლითაც დარბაზი შეეგება ახალი ნაწარმოების დაბადებას. „მე ვიხილე ამ ფრაზებში შენი ულამაზესი სიტყვა. ეს არის ჩემთვის შერიგება დედამიწისა და უფლისა“... — ეხმაურება სიმფონიას სალომე კობახიძე პარიზიდან. ეს წარმატება უდავოდ ეკუთვნოდა ორკესტრსაც, რომელმაც უმოკლეს დროში შეძლო ამ რთული პარტიტურის შესწავლა და მისი მსმენელამდე მიტანა. შემსრულებლისათვის ეს ურთულესი მისია და დიდი პასუხისმგებლობაა.

დიახ, ეს ნამდვილი წარმატება იყო!

ახლა ვახტანგის შეჩერება უკვე შეუძლებელია. მისი სამომავლო გეგმები საკმაოდ ამბიციურია. ვინც მას იცნობს, იცის მისი გასაოცარი შრომისმოყვარეობა და დაუდეგარი სწრაფვა სრულყოფისაკენ. ამიტომ მნიშვნელოვან სიახლეებს, ჩემი აზრით, უმოკლეს ხანში უნდა ველოდოთ და ვუსურვოთ წარმატებები დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანს ახლა უკვე საკომპოზიტორო ასპარეზზე. ■

„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“

ანგორ ჟომახია, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსეთის ნაციონალური თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ ლაურეატი, პროფესორი

ნამდვილად „ბრძენი ენამჭევრი“ სჭირდება დღევანდელი საქართველოს ჭირ-ვარამის ჩამოთვლას. ჩვენი ხომალდი დიდი ხანია საიდანღაც გამოვიდა, აბობოქრებულ ზღვაში მფრინავი ჰოლანდიელივით ბორიალობს და აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა ვერა და ვერ იპოვა ნავსაყუდელი. ალბათ პარადოქსია, მაგრამ ამის მიზეზი შეიძლება ჩვენი ნიჭიერება იყოს. მართალია, პრაგმატული ჭკუა და აზროვნება არა გვაქვს, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი ერი ვართ, საუბედუროდ, არა მარტო კარგში — უსწრაფესად ვითვისებთ ყოველგვარ სისაძაგლესაც. რამდენი პრეზიდენტი ან წყობა გამოვიცვალეთ, იმდენჯერ დავანგრიეთ ჩვენი ქვეყანა. დასანანია, რომ ყოველთვის სწორად ვერ ვახერხებთ დანგრეულის უკეთ აშენებას. ამის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში აზროვნებისა და ზნეობის დეფიციტი ზომაზე მეტად გვაქვს გაფურჩქნილი და რაც დრო გადის, უფრო იფურჩქნება. ყველაფერს რა სათქმელიც მაქვს, რა თქმა უნდა, ერთ წერილში ვერ ჩავტევ, ამიტომ თქვენს სამსჯავროზე გამოვიტან იმ საკითხს, რომელშიც მე კარგად ვერკვევი და რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე შევწირე.

ქვეყანამ სიკეთისკენ იბრუნა პირი და რომ ერთ-ორ წელიწადში ყველაფრის მოგვარება შეუძლებელია, ეს ცხადია, მაგრამ იმდენად ნელა მიდის პროცესები მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომ უკვე ეჭვი ჩნდება, გვსურს კი მდგომარეობის გამოსწორება?! ყველა ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს, რომ განსაკუთრებით ინგრევა ყველაფერი ქართული, ეროვნული. ყველაზე უფრო კი განათლება, მეცნიერება და კულტურა. არადა ჩვენი ეროვნული ტრადიციების გაღრმავება და გაძლიერება, ეროვნული ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს, მეცნიერების ინტენსიური განვითარება არის ხალხთა მეგობრობის ღირსეულ წევრად გახდომის ნაღდი გზა და არა სხვათა უაზრო მიბაძვა. ეროვნული კულტურის განვითარებაში, მისი თავისთავადობის შენარჩუნებაშია ქვეყნის დამოუკიდებლობის უპირველესი აზრი, მით უმეტეს, რომ ქართველებს თავმოსაწონი მსოფლიო საზოგადოების წინაშე, ჯერჯერობით მხოლოდ მწერლობა, მეცნიერება და კულტურა გვაქვს. წმინდა ნილოს სინელი ბრძანებს: „საშინელი ვნებაა ანგარება, ყველაფრის მკადრებელი და ყოვლად უსირცხვილო. თავის მიერ მოპოვებულ სულს ის ბოროტების უფსკრულში იტაცებს, ამიტომ დასაწყისშივე განვავდოთ ეს ვნება, რადგან თუ გაძლიერდა, დაუმარცხებელი გახდება“. განა ასი პროცენტით არ ავვიხდა ეს სიბრძნე? ყველაფერი ეს მასმედიასაც დაავიწყდა, ხელისუფლებასაც... ახალი ხელისუფლების ინერტულობა, ალბათ, ხალხსაც დაავიწყებს ყველაფერს. ტემპები, რომლითაც ხდება პრობლემების მოგვარების მცდელობა, დანაშაულებრივად ნელია. არ შეიძლება ხალხის ნება არაფრად ჩავაგდოთ, ბოლოს და ბოლოს ხალხის მიერ არჩეული და დაქირავებული მთავრობა უნდა მიეჩვიოს ხალხის ნების ასრულებას.

რაც შეეხება კულტურას, ხელოვნებას, ზნეობას, განათლებას, არც ორი და არც ხუთი წელი არ ეყოფა. არ შეიძლება დროის დაკარგვა, სასწრაფოდ შესამუშავებელია კულტურის, ხელოვნების და მასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო დოქტრინა, რომლის საფუძველზეც, ფართო საჯარო განხილვის შემ-

დეგ, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი საფუძვლიანი რეფორმა. უნდა შეიცვალოს რეფორმების ჩატარებისადმი მიდგომა, როცა რეფორმას კაბინეტში ჩაკეტილი რამდენიმე ჩინოვნიკი ატარებს. ასეთ რეფორმას უბედურება მოაქვს. უნდა შიცვალოს მავნე მიდგომა, თუკი ვინმემ ევროპის ან ამერიკის რომელიმე ქალაქში გაიარა ერთკვირიანი ე.წ. ტრენინგი, საკმარისი ხდება, რომ ის დიდ პროფესიონალ-სპეციალისტად აღიარონ და თანამდებობა უბოძონ. ამის შემდეგ კი იწყება მთავარი უბედურება, ეს „დუნაიდალეული“ მოღვაწეები ცალი ყურით მოკრულის გადმოტანას და ჩვენთან დანერგვას იწყებენ, რასაც ასი წლის წინ დასცინა დიდმა აკაკიმ თავის „ღამურაში“. არ შეიძლება გამოცდილების უგულებელყოფა, პროფესიონალების დახარისხება ასაკის მიხედვით. არის პროფესიები, სადაც გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგალითად, მეცნიერებაში, კულტურაში, საგანმანათლებლო სისტემაში და სხვა. სიმახინჯეა დიდი ცისანა ტატიშვილი იყოს მოწვეული პროფესორი, სხვა კი იკავებდეს შტატს. ან კიდევ ლამარა ჭყონია, უდიდესი მომღერალი და საერთაშორისო იმიჯის მქონე პედაგოგი, არავის აინტერესებდეს. როდისმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამ უმსგავსობებს საქართველოში? ასეთმა მიდგომამ მოგვიყვანა დღევანდელობამდე და ჩატეხა ხიდი თაობებს შორის. ბევრი მინახავს 30 წლის სულიერად და აზროვნებით ბებერი და 70 წლის ახალგაზრდა. კულტურული, სოციალურ-ეკომომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში, სხვადასხვა ხალხებს და ქვეყნებს განსხვავებული პრობლემები აქვთ – ზოგი მთელი შეგნებით ეკიდება მშობლიური ენისა და მთელი კულტურის დაცვას, ზოგან ეს უპირველესი საქმე საერთოდ უგულებელყოფილია. საქართველოში კი მხოლოდ ზოგი რამ როდი იწვევს შეშფოთებას, აქ ყველაფერი საგანგაშოა. კულტურის დაფინანსება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მცირეა, ბიუჯეტის 0,9 პროცენტი. მაგალითისათვის ბალტიისპირეთის ქვეყნებში კულტურის დაფინანსება თითქმის 3 პროცენტამდეა. ეს მაშინ, როცა მათი კულტურა არავის დაუნგრევია. საკითხავია, ხმარდება თუ არა ის 0,9 პროცენტი ქართული კულტურის განვითარებას. ვერა და ვერ შეივსო ჩინოვნიკების სტომაქი, ჯერ ძველები, ახლა ახლები. ათასობით პრემიებს ურიგებენ



ანგორ ჟომახია

საკუთარ თავს. კომუნისტებმა პრემიები მოიგონეს კარგი მუშაობისათვის. დღევანდელი ჩინოვნიკები კი პრემიებს იღებენ განათლებისა და კულტურის დამუხრუჭების, ზოგ შემთხვევაში კი მისი მოსპობისათვის. რანაირად შეიძლება განათლების სამინისტროში ქვეყანაზე მოფიქრალი ხალხი მოღვაწეობდეს და სწავლებიდან ამოიღოს ახალგაზრდების პატრიოტულად აღზრდის ჰიმნი, რ. ერისთავის უნიკალური ლექსი „სამშობლო ხევსურისა“?! ასეთი მუშაობისთვის პრემიები პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. თანაც ამ დაუმსახურებელ პრემიებს ვერ იყოფენ და ჩხუბიც კი მოსდით. უნდა ფინანსდებოდეს მხოლოდ ის პროექტები, რომლებიც ქართული კულტურის განვითარებას ემსახურება. იაფფასიანი შოუების, პიარისთვის გამიზნული საღამოების, გაუგებარი ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება, ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწევს წინ ქართულ ხელოვნებას, არადა ამაში და ჩინოვნიკების უცხოეთში მივლინება-ხეტიალში უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ.

ჯ. ვერდი. „ოტელო“
ოტელო — გურამ ანჯაფარიძე, იაგო — ანზორ შომახია

დღეს საშემსრულებლო ხელოვნებაში სრული ქაოსი, უკონტროლობა და განუკითხაობაა გამეფებული. არ შეიძლება პოეზიის ქვეყანაში ჟღერდეს საშინელ ტექსტზე დაწერილი უფრო საშინელი მუსიკა. ნუ გავიგებთ უკუღმა თავისუფლებას ან დემოკრატიას. კანადა ჩვენზე დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ იქ ქუჩაშიც არ შეიძლება შეუმოწმებელი მუსიკის შესრულება, ატესტაცია უნდა გაიაროს და ნებართვა მიიღოს. რატომ? იმიტომ, რომ თუ კარგ მუსიკას და ტექსტს გამაკეთილშობილებელი, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ცუდი გამყვრნელია და ახალგაზრდების უზნეობისკენ მაბიძგებელი. ნუთუ არ გესმით რა მუსიკა ჟღერს ყველგან, რა ჩანაწერები იყიდება, რა ტექსტზე დაწერილი. ასე რამ დაგვაყრუა? ვიღაცა ხომ უნდა აკონტროლებდეს ამ უმსგავსობას?

20 წელზე მეტია, რაც ქართულ სამუსიკო ხელოვნებას და განათლებას ვანგრევთ. აღარ დადგა დრო ტვინი გავანძრიოთ, დავფიქრდეთ და ვიპოვოთ გამოსავალი? გამოსავალი კი იმ გზით, რა გზასაც ვადგავართ, აღარ იქნება. გავიხსენოთ ავად მოსაგონარი კომუნისტების დრო, საქართველოს ჰქონდა შესანიშნავი კინოხელოვნება, ჩვენი ფილმები არნახული პოპულაროპით სარგებლობდნენ. ჩვენ შემოგვნატროდნენ. ყველა დიდ ქალაქში თუ რაიონულ ცენტრებში მუშაობდა თეატრები, იდგმებოდა სპექტაკლები, ტარდებოდა ფესტივალები. ყველა რაიონულ ცენტრში სკოლებს, ფაბრიკა-ქარხნებს ადგილობრივი მრეწველობის თითქმის ყველა საწარმოს ჰყავდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, იმართებოდა ადგილობრივი ოლიმპიადები, გამარჯვებული კი ჩამოდიოდა დედაქალაქში რესპუბლიკურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად; ყვაოდა ფოლკლორი, დედაქალაქში ყველა დიდ წარმოებას ჰყავდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თვლა არ ჰქონდა პატარა ანსამბლებს, შვიდკაცას თუ მომღერალ ოჯახებს. თბილისი მართლაც საოცრება იყო, ყველა თეატრი ქუხდა და გრიალებდა, სამსახიობო ხელოვნების ნამდვილი ფეიერვერკი იყო, ჰოლივუდი ინატრებდა ასეთ არტისტებს. ოპერის თეატრს იმხელა რეპერტუარი ჰქონდა, რომ ერთი სპექტაკლი მხოლოდ სამ თვეში ერთხელ გადიოდა. პრწყინვალედ მუშაობდა სახელმწიფო ფილარმონია, მისი საკონცერტო ბრიგადების არეალი სახალინსაც კი წვდებოდა. ანშლაგები იყო მუსკომედიის თეატრში, ქართული დასი იდგა ცირკში; ყველა დიდ ქალაქში არსებობდა თითო მუსიკალური სასწავლებელი, დედაქალაქში კი — რამდენიმე. მუსიკალურ სკოლებს თვლა არ ჰქონდა, ზოგიერთ სოფელშიც კი იყო მუსიკალური სკოლა. გვქონდა შესანიშნავი სამხატვრო თუ თეატრალური სასწავლებლები. ყველაფერი ეს, თავისი მატერიალური ბაზებით განადგურდა. არავინ იცის და არც არავინ კითხულობს სად წავიდა ხალხის კუთვნილი ამდენი ქონება. სენაკის თეატრს, სადაც კონცერტის ჩასატარებლად ჩავედი, როიალი აღარ აქვს. ვინმემ იცის, სად წავიდა ათობით როიალი და სხვა ქონება უაზროდ დახურული სკოლებიდან და სასწავლებლებიდან? როგორ შეიძლება ქვეყანამ ნორმალურად იარსებოს და არავინ არაფერზე პასუხი არ აგოს? თუ ჩვენ ერი ვართ, ყველაფერი ეს, შესაძლოა სხვა სისტემით, მაგრამ უნდა აღვადგინოთ და ბევრი რამ უნდა დავამატოთ. ფოლკლორი ხალხში იქმნება და არა რუსთაველის პროსპექტზე. რა თქმა უნდა, ამას კარგად მოფიქრებული ქართული რეფორმა სჭირდება და არა ისეთი, როგორიც

ჩატარდა. ასეთ რეფორმას კი მხოლოდ ზნემაღალი, სამშობლოს მოყვარული ადამიანები და დიდი პროფესიონალები შეძლებენ. მეხსიერებიდან არ წამეშლება ქართული საგუნდო ხელოვნების უპირველესი კომპოზიტორი, ცხონებული იოსებ კეჭაყმაძე. ის მრავალი წელი დიდებულად ხელმძღვანელობდა აგრეთვე კულტურის სამინისტროს მუსიკალურ განყოფილებას. როგორი შეურაცხყოფილი წავიდა ის ამ ქვეყნიდან. ჩვენ მეგობრები ვიყავით, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე დამირეკა, მისი ბოლო სიტყვები იყო: „ნეტა ვიცოდე, რა დავუშავე ჩემს საყვარელ სამშობლოს“–ო. დღეს, როგორც არასდროს უნდა ამოქმედდეს ლოზუნგი: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. ვერ დაგეთანხმებით ბატონო პრემიერო, რომ საქართველოში კადრების დეფიციტია და რომ სანთლით ეძებთ კადრებს. კადრები ნამდვილად არის საქართველოში, მაგრამ მათი დანახვა რატომღაც არ სურთ. ისევ გრძელდება არაპროფესიონალი, გამოუცდელი, საქმის არმცოდნე კადრების დანიშვნა ყველა სფეროში. სწორედ ამიტომ გაუგონარი ანტიეროვნული, მტრული სასწავლო პროცესებია დაგეგმილი სასწავლებლებსა, კოლეჯებსა თუ სკოლებში. ყველაფერი სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. იმისათვის, რომ თანამედროვე ტიპის მაღალი დონის პროფესიონალებით ვკვებოთ ჩვენი თეატრები, ორკესტრები, ავაყვაოთ კამერული მუსიკალური კულტურა, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი დიდებული ფოლკლორი, განვავითაროთ ქვეყანაში საშემსრულებლო ხელოვნება, მოვამარაგოთ უმაღლესი სასწავლებლები მომზადებული კადრებით, ავამაღლოთ სწავლების ხარისხი ისე, რომ ჩვენს ახალგაზრდებს არ ჭირდებოდეთ სწავლის დამთავრების შემდეგ ისევ სწავლის გაგრძელება უცხოეთში 3–5 წლით და მხოლოდ შემდეგ ჩამოყალიბება პროფესიონალებად. თუ ასე გავაგრძელებთ, რა საჭიროა საერთოდ რაიმე სახის სასწავლებლები, ბავშვები გავგზავნოთ უცხოეთში 15–20 წლით და დავგიბრუნდებიან სპეციალისტებად. ეს ხუმრობა არ გეგონოთ, ვინმე ჭკუამოღუნულ მაღალჩინოსანს შეიძლება ესეც მოუვიდეს თავში. ძალიან მინდა თვალებში ჩავხედო (ვინაიდან ტვინი არა მგონია ჰქონდეთ) იმ გენიოს „მეთოდისტებს“ და მაღალჩინოსნებს, რომლებმაც ვოკალისტებს ან სხვებს, სპეციალობაში კვირაში ორი 50 წუთიანი გაკვეთილი დაუწესეს. ეს ხომ უცოდინარობის დანაშაულებრივი გამოვლინებაა. სასწავლებლები გააუქმეს და რა გამოდის, თურმე თვეში რაღაც 7–8 გაკვეთილით შეიძლება 3 წელიწადში პროფესიონალი აღზარდო. ახალგაზრდა სწორედ მესამე წელს იწყებს პროფესიულ აზროვნებას, იწყებს ჩამოყალიბებას, ამ დროს კი სწავლას ამთავრებს. სწავლების საშუალო რგოლი იმიტომ იყო ოთხწლიანი, რომ ვინც ამთავრებდა, ღირსეულები სწავლას აგრძელებდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, ყველა კურსდამთავრებული პროფესიას იმდენად დაუფლებული იყო, რომ დაწყებით მუსიკალურ და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პედაგოგად, ხოლო ზოგიერთს სხვადასხვა ორკესტრებშიც კი შეეძლო მუშაობა. მრავალი მათგანი უბრალოდ მაღალი კულტურის მქონე მსმენელად ყალიბდებოდა, ესეც ხომ სახელმწიფოებრივი საქმეა. ახლა რა გამოდის? ვამრავლებთ „მოუმწიფებელ პროფესიონალებს“, მათ დიპლომები აქვთ და სამუშაოსაც იშოვნიან, მაგრამ ვინმე ფიქრობს რა სარგებლობას მოუტანს მათი სწავლება მომავალ თაობას, როცა თვითონ უსწავლელები არიან? ანდა როგორ მოუმზადოს საშუალო რგოლმა უმაღლეს სასწავლებლებს კადრები ასეთი მეცადინეობით? მისაღებ გამოცდებზე გაშლილ არიას რომ ითხოვ, როგორ შეიძლება ასეთი ცოტა მეცადინეობის შემდეგ ახალგაზრდას მისცე დიდი გაშლილი არია? ეს ხომ ხმის დაკარგვა, ან უკეთეს შემთხვევაში, მისი დასახიჩრებაა. სწორედ ამიტომაა, რომ ამდენი ნიჭიერებიდან მხოლოდ ერთი–ორი შემოგვრჩება ხოლმე, ისიც ისინი, ვინც ათასნაირი მაქინაციებით ახერხებენ უცხოეთში გავარდნას და სწავლის იქ დასრულებას. ამის საშუალება ხომ ყველას არა აქვს. ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან არც კონკურსები, არც რაიმე სახის დაფინანსებები, არც წარდგინებები, არც სხვა რამ პატიოსანი გზით არ ხდება. ეს დამღუპველი უბედურება უკვე კანონზომიერებად ვაქციეთ. ახალგაზრდებში გამეფებულია აზრი, რომ თუ პატრონი არ გყავს, ჯობია არ ეცადო, არაფერი გამოგივა. ახალგაზრდებზე ზრუნვა კი როგორც სახელმწიფოს, ასევე ყველა სასწავლო დაწესებულების ქვაკუთხედი უნდა იყოს.

ბევრმა არც იცის, რომ როდესაც საოპერო დასში ადგილი არ იყო, საოპერო თეატრი იმისათვის, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები არ დაეკარგა, მომღერლებს თეატრში მეხანძრეებად აფორმებდა, ამასთან ყველა

პირობას უქმნიდა შემოქმედებითი ზრდისათვის. ასე მაგალითად, ზ. ანჯაფარიძე თავიდან მეხანძრედ გააფორმეს. პ. ბურჭულაძე ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატი გახდა, მაგრამ ჯამაგირი ჯერ არ ჰქონდა დანიშნული. ისეთი მაგალითების გაგრძელება შეიძლება. მთავარი ის იყო, დღევანდელობისგან განსხვავებით, მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი შემოქმედებითი ზრდისათვის. დღეს ახალგაზრდები, რომლებითაც მრავალი ქვეყანა იამაყებდა, უპატრონოდ არიან მიტოვებული. გამეფებულია მათი შერჩევის უსინდისო, უზნეო და პროტექციული მეთოდი. ჟიურიში ან უცოდინარები ან კონკურსანტების პედაგოგები სხედან. უკუგდებული და დავიწყებულია შეფასების ნაღდი მეთოდი, დებიუტი. მომღერალს მისთვის მოსაგებ სპექტაკლში ეძლეოდა დებიუტი. ვინაიდან ერთი არიის შესრულებით ვერ შეფასდება საოპერო მომღერალი. სცენაზე ჩანს არა მარტო ხმა, არამედ სხვა თვისებებიც. მთავარი ის იყო, რომ მომღერალს სპეციალისტებთან ერთად საზოგადოება აფასებდა. საუბედუროდ იმათ, ვინც სხვის ზურგს ამოფარებულებმა საკვანძო თანამდებობები დაიკავეს, დაავიწყდათ, როგორი სითბოთი მიიღეს ისინი ძველმა თაობებმა, სრულიად გამოუცდელებს როგორ მისცეს გაზრდის საშუალება. დღევანდელ ახალგაზრდებს არა აქვთ საშუალება აჩვენონ თავი საზოგადოებას. ცნობილია, რომ მომღერალი სცენაზე იზრდება. იტალიაში მყოფ ჩვენს ახალგაზრდებს სცენაზე გამოსვლის კვირაში 2–3 შესაძლებლობა აქვთ. ჩვენთან საქმოსანი ვაი–ხელოვანები დარბაზებს ყიდულობენ და მამასისხლად აქირავებენ. ახალგაზრდა მას ვერ იქირავებს. აღმაშენებლის პროსპექტზე და მთელ თბილისში მოვინახულე დარბაზები, რომლებიც საკონცერტოდ ვარგა, როგორ ფიქრობთ, რა ხდება იქ? ზოგან სახაშეა, ზოგან სალობიე ან სახინკლე, ზოგან კიდევ საქელეხე. აბა, მითხარით, „მოღვაწეებმა“, ვისაც ახალგაზრდების აღზრდა აბარია, შეიძლება სასწავლო დაწესებულების 200 კაციან დარბაზს გაურკვეველი და გაუგონარი მოტივით ფასი მოუმატონ და 1000–დან 1500 ლარამდე გაზარდონ, როცა ხარჯი შეიძლება 500 ან ნაკლები იყოს? ვიღაცა ხომ უნდა დაფიქრდეს ამ პრობლემებზე? ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი ქართული ხელოვნებისთვის დაკარგულ ახალგაზრდა თაობების ბედ–იღბალზე? ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს აქვს უფლება ასე უაზროდ დაკარგოს ნიჭიერი თაობები? პირველ რიგში კულტურის სამინისტრომ უნდა მოაქციოს თავის თვალსაწიერში ყველა პრობლემა, არ დაუშვას უზნეობა, პროტექციონიზმი, ანგარება და სხვა სიმახინჯე. მაშ რაღა საჭიროა კულტურის სამინისტრო? ყოველ შემთხვევაში იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს, ნამდვილად არაა საჭირო. რატომ ჰგონია ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ კულტურა და განათლება ხინკალივით ადვილი მოსანელებელია და რატომ ინიშნება იქ ყველა ის, ვისაც სხვა ადგილი ვერ უშოვეს? რა არის ეს, ქართული კულტურის ფეხებზე დაკიდება, თუ უფრო უარესი? მე პირადად ეს მავონებს ერთი მოღვაწის ნამოქმედარს, ყველა თავისი სტუდენტი, ვინც სცენაზე ვერ იმღერა, კონსერვატორიის პროფესორი გახადა. ჰოდა ზრდიან ახლა სცენის დიდოსტატებს ხალხი, ვისაც სცენა თვალით არ უნახავს. ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი მაინც ქართული საოპერო ხელოვნება გახლავთ. საქართველო საოპერო ქვეყანაა. არსებობენ ასმილიონიანი ერები, რომელთაც ჯერ საოპერო ხელოვნება არა აქვთ შექმნილი, ქართველებს კი 7–8 ქვეყნის შემდეგ ამ საქმეში ხმა ამოგვეღება. როგორ მოსპეს და გაანადგურეს ჩვენი საამაყო თეატრი. ჯერ იყო და იმ არეულობების, სამოქალაქო დაპირისპირების დროს თეატრისთვის არავის ეცალა, შემდეგ კი თანდათან მიწასთან გასწორდა. საუბედუროდ, არც დღეს უჩანს დასასრული საოპერო ხელოვნების ბოლომდე განადგურებას. რაოდენ სამარცხვინო და აღმაშფოთებელია, როდესაც საოპერო თეატრის ბედს წყვეტს ხალხი, რომელსაც თეატრის სამუშაო მექანიზმის არაფერი გაეგება. ეს მექანიზმი ხშირ შემთხვევაში არ ისწავლება. მასთან თანშეზრდილი უნდა იყო. თავისი არსებობის მანძილზე ჩვენი საოპერო თეატრი არასოდეს ყოფილა ასეთ უბადრუკ და საცოდავ დღეში როგორშიც დღესაა. ამის მიზეზი ბევრია და დღეს არ დაწყებულა. თეატრში ყოველთვის იყო, არის და იქნება გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც სურთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოიყვანონ თავიანთთვის სასურველი ადამიანები. სწორედ იმიტომ არსებობს კულტურის სამინისტრო და სხვა შესაბამისი ორგანოები, რომ გონივრულად გააანალიზონ სიტუაცია და თეატრის ხელმძღვანელებად დანიშნონ როგორც ზნეობით, ასევე პროფესიონალიზმით შემკობილი ადამი–

ანები. თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, ამიტომ ისე უნდა აეწყოს, რომ მისმა ყველა ორგანომ ზუსტად იმუშაოს. ამისათვის მრავალი წინა პირობაა საჭირო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ის რამდენიმე მომღერალი, რომლებიც ევროპის ქალაქებში მოღვაწეობენ, ქართული საოპერო ხელოვნების აღმავლობას ნიშნავს, მწარედ ცდება. ჩვენმა საოპერო თეატრმა განვლო სახელოვანი გზა. იტალიელმა დირიჟორმა და კომპოზიტორმა ფრანკო მანინომ თბილისში გასტროლების დროს განაცხადა — „ხუთი ევროპული დედაქალაქიდან, ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ სამუშაო, უეჭველად თბილისის საოპერო თეატრს ავირჩევდიო“. არაჩვეულებრივი წარმატებით მოვიარეთ გასტროლებით ევროპა, მათ შორის გერმანია და იტალია. მაშინ სარედაქციო სტატიები წერდნენ — „...რას მიაშტერდით ლა სკალას, შეხედეთ რა ხმები აქვთ და რა სპექტაკლები თბილისის თეატრს, მეორე პარტიებსაც კი ბრწყინვალე ხმები მღერიანო“. ტრიუმფით დამთავრდა ჩვენი გასტროლები მოსკოვის დიდ თეატრში 1984წ.. მსოფლიოს 120 ქვეყნის საელჩო გამოეხმაურა მაშინ ამ გასტროლებს, გამოქვეყნებული იყო უამრავი აღფრთოვანებული წერილი პრესაში, მოსალოცად მოდიოდნენ როგორც უცხოელები, ასევე რუსეთის ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლები, კრიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები. ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წამიყვანს, არცაა საჭირო. რაოდენ გულსატკენია, როცა ყველაფერი ამის შემდეგ, გამოდის უცოდინარი ქართველი ჩინოვნიკების უაზრო სურვილს ამოფარებული გადამთიელი, ბატონ ბიძინას მიმართავს და ამბობს, თუ გინდათ გქონდეთ საერთაშორისო წარმატება, ასე და ასე მოიქეცითო. იმ დღეს თეატრის თანამშრომლები და ხელმძღვანელობა ერთმანეთს ჩახუტებულები რაღაცას ულოცავდნენ ერთმანეთს. ნეტავ ვიცოდე რას? იმას, რომ ქართული საოპერო ხელოვნება მიწასთანაა გასწორებული? მაინც რა უზნეობა გვჭირს ასეთი, თუ უცხოელ სპეციალისტს მოიწვევ და ფულს უხდი, ხომ უნდა მოიწვიო შენს კადრებზე გაცილებით უკეთესი. ნამდვილად მივესალმებოდი მუტის, ლევაინის, აბადოს ან სხვა დიდი პროფესიონალის მოწვევას, მაგრამ ისევ ქართული არაპროფესიონალიზმი — საქმეს წყვეტს ის, ვისაც ამ საქმის არაფერი გაეგება. ქართულ პროფესიულ სადირიჟორო პულტთან, რომელსაც ამშვენებდნენ ისეთი კორიფეები

რუსეთის ნაციონალური თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ დაჯილდოებაზე

როგორებიც იყვნენ ი.ფალიაშვილი, ე. მიქელაძე, შ. აზმაიფარაშვილი, დ.მირცხულავა, ო.დიმიტრიადი, ვ. ფალიაშვილი, ჯ. კახიძე, გ. აზმაიფარაშვილი, შემდგომი თაობის დირიჟორები, თუ გნებავთ დღევანდელი ქართველი დირიჟორები, რომელთაც ან ძალიან ცოტა აქვთ ორკესტრთან მუშაობის საშუალება, ან საერთოდ არა აქვთ და ამ დროს უცხოეთიდან მოიწვიო და ფული უხადო არაფრით გამორჩეულ დირიჟორს?! ქართული მუსიკა თვითმყოფადი და ყველა პარამეტრით განსაკუთრებული ფენომენია. როგორც არ შეიძლება ქართულ ფოლკლორს უხელმძღვანელოს უცხოელმა, ისე არ შეიძლება ქართული საოპერო ხელოვნება მოწყდეს ეროვნულ ფესვებს. ქართული საოპერო თეატრი არ უნდა ჰგავდეს არცერთი სხვა ქვეყნის საოპერო თეატრს, თუნდაც იტალიურს. სხვაა ჩვენი პირობები, მდგომარეობა, ეკონომიკა და მრავალი სხვა. აბსოლუტურად უგულებელყოფილია საოპერო ხელოვნების განვითარების ქართული გზა. მიმბაძველობა სამარეს უთხრის ქართულ ხელოვნებას. ასეთმა მიდგომამ მიგვიყვანა იქამდე, რომ აღარ იწერება არამცთუ ახალი ქართული ოპერები, არამედ სხვა ჟანრის დიდი ფორმის ნაწარმოებები. ყურადღება არ ექცევა ქართულ რეპერტუარს, არ იდგმება ისეთი შესანიშნავი ოპერები როგორიცაა რ. ლაღიძის „ლელა“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვა-

რის მოტაცება“ გ. ყანჩელის „არს მუსიკა,“ და სხვ. მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვის'' ოთხი რედაქცია არსებობს, ასევე შეიძლება მრავალი ქართული ოპერის რედაქტირება ისევე, როგორც ჩემი სტუდენტობის დროს მომზადდა არაყიშვილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ახალი რედაქცია, რომელიც, სხვათა შორის, შესანიშნავად მიიღო მაყურებელმა. ასევე მისახედია მ.ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერიც“. დაუშვებელია ერს ჰქონდეს ისეთი ოპერები როგორიცაა ა. მაჭავარიანის და ფ. ღლონტის ოპერები და ისინი საერთოდ არ იდგმებოდეს.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, თითქმის 25 წელია საქართველოში კრიტიკული წერილები აღარ იწერება. როგორ შეიძლება განვითარდეს რამე, თუ ქვეყანაში ჯანსაღი კრიტიკა არ არსებობს და მხოლოდ მაამებლობაა გამეფებული? განათლების ან კულტურის სამინისტროების ან კიდევ ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების რა მუშაობაზეა საუბარი, როდესაც, მაგალითად, კონსერვატორიაში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე დიდი კონკურსი იყო, უკვე რამდენი წელია ცალკეულ ფაკულტეტებზე აბიტურიენტები არ ყავთ, ფაკულტეტებს ვერ აკომპლექტებენ. სხვა რა საბუთია საჭირო მავანთა უვარგისობის, უინიციატივობის, უვიცობის, სიმხდალის დასამტკიცებლად? რა, უნდა ვაცალოთ, რომ ბოლომდე მოსპონ მუსიკალური განათლება? რუსეთის კულტურის სამინისტროს თხოვნით, საქართველოს კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ვ. ასათიანმა, ნება დართო ჩემს რამდენიმე რუს სტუდენტს სტაჟირება გაევლო ჩემი ხელმძღვანელობით. დამთავრების შემდეგ ერთი სტუდენტი რუსულმა სკოლებმა დაიტოვეს, პროფესიონალი პედაგოგი გვჭირდება სკოლებისთვისო. ჩვენ არაფერი გვჭირდება? სამუსიკო ხელოვნების ერთადერთი პედაგოგიური ინსტიტუტი დახურეს. რეგიონები იმდენად ჩამორჩენილია ყველა პარამეტრით, რომ ახალი მთავრობის მიერ რეგიონალური პოლიტიკის პრიორიტეტულად გამოცხადება, აუცილებელი და ბრძნული იყო. აუცილებელი იყო აგრეთვე ამ პოლიტიკის კულტურულ–საგანმანათლებლო მხარდაჭერა. ამიტომ მე და ჩემმა მეგობრებმა, ქართული კულტურის ცნობილმა მოღვაწეებმა, გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ახალი, მცირე რეგიონ–ოპერა. ჩვენი მიზანი იყო რეგიონების კულტურული და ინტელექტუალური დონის ამაღლება, ქუჩაში გამოყრილი მრავალი პროფესიონალის დასაქმება, ნიჭიერი ახალგაზრდების, რომლებიც დღეს სრულიად უპატრონოდ არიან და რომლებითაც იამაყებდა ბევრი ქვეყანა, დასაქმება და პროფესიული დაოსტატება. გვსურდა პროპაგანდა გაგვეწია კლასიკური მუსიკისათვის. ვცდილობდით რეგიონებში აღმოგვეჩინა ნიჭიერი ახალგაზრდები და გზა გაგვეკაფა მათთვის. რა დააშავა ჩხოროწყუელმა ან ახმეტელმა ახალგაზრდობამ, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას საშუალება გაეცნოს კლასიკას, ყველა ხომ ვერ ჩამოვა თბილისში? სირცხვილი არ არის, რომ ქართველმა ახალგაზრდამ არამცთუ ვერდი ან მოცარტი, ფალიაშვილიც კი არ იცის? როგორ შეიძლება განათლებული უწოდო ადამიანს ასეთი ცოდნის გარეშე? გაიგო რა ჩვენი მიზანი და გადაწყვეტილების სისწორე, ქვეყნის პატრიარქმა, კურთხევასთან ერთად, გულის ამაჩუყებელი სიტყვებით გამოგვისტუმრა:„შვილებო, მთებში აიტანთ კულტურას, რომ მთები არ დაგვიცარიელდესო?“, ჩვენ მას პირობა მივეცით. როგორც კი დავფუძნდით და ამის შესახებ ინტერნეტში ცნობა გამოვაქვეყნეთ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მივიღეთ მოლოცვები. მივიღეთ აგრეთვე მიწვევებიც. ჩვენს კოლექტივს რომ ენთუზიაზმი, თუ გნებავთ პატრიოტიზმი არ აკლია, ამაზე მეტყველებს თუნდაც საჩხერეში „დაისის“ საკონცერტო შესრულების ფაქტი, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ ჩატარდა. ხალხი კმაყოფილი იყო, შეიძლება ითქვას, ზეიმი სუფევდა საჩხერეში. ახლახან, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში, გავმართეთ დავით გამრეკელისა და ფეოდორ შალიაპინის საიუბილეო საღამოები. საღამოებმა გასაკვირი წარმატებით ჩაიარა. ერთადერთი, რაც გულს მოგვხვდა ის იყო, რომ ამ საღამოებს არცერთი ოფიციალური პირი — არც განათლების, არც კულტურის სამინისტროდან, არ დასწრებია. თქვე კაი ხალხო, ამბის მომტანი ჯაშუში მაინც გამოგეგზავნათ?! მაგრამ სად სცალია კულტურის სამინისტროს, ის პრემიების განაწილებით არის დაკავებული. ენთუზიაზმი კარგია, მაგრამ ენთუზიაზმით ყოველთვის შორს ვერ ივლი, რა თქმა უნდა, გვჭირდება საზოგადოების დახმარება.

ჩვენ გეპატიჟებით, ვიმსჯელოთ, როგორ წავიდეთ წინ.

SEMPRE

თამარ ლიჩელს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. მან ჯერ კიდევ მცირე ასაკში მიიქცია საზოგადოების ყურადღება. თამარი არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და ჟიურის წევრია, გამოდის კონცერტებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი იყო მაესტრო გიზი ამირეჯიბის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოწაფე. ამ ორი ადამიანის, მასწავლებლისა და შეგირდის ურთიერთობა განსაკუთრებული იყო. აკი გამოჩნდა კიდეც. თამარმა თენგიზ ამირეჯიბზე გამოსცა წიგნი, სადაც თავი მოუყარა ამ დიდი მუსიკოსის შესახებ დღემდე არსებულ მასალებს, შარშან კი დააფუძნა თენგიზ ამირეჯიბის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. თამარ ლიჩელი ხშირად გამოდის როგორც კამერული ანსამბლების წევრი, ხშირად იღებს მონაწილეობას მნიშვნელოვან მუსიკალურ ფორუმებში და თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, ტემპერამენტული შესრულებით, ოსტატობით ხიბლავს მსმენელს. განსაკუთრებით აღსანიშნი და მნიშვნელოვანია, რომ თამარ ლიჩელს დიდი წვლილი შეაქვს ქართული მუსიკის პოპულარიზაციაში, ხშირად თანამედროვე ქართული მუსიკის პირველ შემსრულებლად და შესანიშნავ ინტერპრეტატორად გვევლინება.

მან, თავის თანამოაზრეებთან – ლელა მჭედლიძესა (ვიოლინო. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის კონცერტმაისტერი და დირიჟორის ასისტენტი, საქართველოს წარმომადგენელი WOP-ში („მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის“, დირიჟორი ვ.გერგიევი), ს. ცინცაძის ანსამბლების კონკურსის ლაურეატი) და ჰაიკ ბაბაიანთან (ჩელო. „საქართველოს სიმფონიეტას“ ჩელოს ჯგუფის კონცერტმაისტერი, რიჩმონდის ორკესტრის კონცერტმაისტერი და თანამედროვე მუსიკის ანსამბლის “NEXT” წევრი. იგი უკრავს ბაროკოს ჩელოზე) – ერთად დააფუძნა საფორტეპიანო ტრიო „სემპრე“, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ერთი წელია არსებობს, მეტად ნაყოფიერ საკონცერტო ცხოვრებას ეწევა. ონლაინ გამოცემა „ბრიტანეთი“ წერდა: „ისინი არიან უმაღლესი კლასის მუსიკოსები, რომლებმაც თავიანთი ამოუწურავი შესაძლებლობების ბრწყინვალე დემონსტრირება მოახდინეს. მსმენელებს უძნელდებოდათ ტრიოსთან განშორება და მუსიცირებას კიდევ თხოვდნენ“. მოგეხსენებათ Sempre მუდმივს ნიშნავს და როდესაც უსმენ ამ შესანიშნავ ანსამბლს, მის თანწყობას, თითოეული წევრის პროფესიონალიზმს, მუსიკალობას, ოსტატობას, გიჩნდება სურვილი, რომ ეს ტრიოცა და თამარ ლიჩელიც მართლაც Sempre (ანუ მუდმივად) იყოს და ატკბობდეს ქართველ მსმენელს.

ინტერვიუს თამარ ლიჩელთან უძღვება თეა ყიფიანი.

თამარ ლიჩელი – ვიდრე ჩვენი საფორტეპიანო ტრიო ჩამოყალიბდებოდა, მე და ჩელისტი ჰაიკ ბაბაიანი გამოვდიოდით როგორც დუეტი. მოგვიანებით ლელა მჭედლიძისაგან წამოვიდა ინიციატივა, რომ შექმნილიყო ტრიო. ჩემი ოცნება იყო ყოველთვის, სტაბილურად მემუშავა ანსამბლში, იმიტომ, რომ მუდმივად ვუკრავდი კამერულ მუსიკას ჩემ პედაგოგ ოთარ ჩუბინიშვილთან ერთად. მან მასწავლა ყველაფერი, რაც შეეხება კამერულ მუსიკას. ასევე ვუკრავდი მარინე იაშვილთან, ლიანა ისაკაძესთან, მაგრამ არა ასეთი ფორმით. როდესაც კამერული ანსამბლის მუსიკოსები 24 საათი ერთად ვართ, ალბათ, მეტ დროს ვატარებთ ერთად, ვიდრე სახლში. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა იმისთვის, ვისაც უყვარს კამერული მუსიკა.

ამ ერთი წლის მანძილზე, მგონი, ბევრი რამ მოვასწარით; მთელი საქართველოს მასშტაბით 40-ზე მეტი კონცერტი და მასტერკლასი ჩავატარეთ. ეს იყო კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული პრო-

გრამა, რომელიც შარშან გაზაფხულზე დაიწყო, შემდეგ შევისვენეთ და შემოდგომიდან ისევ დავიწყეთ. არანორმალურ ტემპში გვიწევდა მუშაობა, ზოგჯერ დღეში ორ კონცერტს ვმართავდით, რადგანაც თითოეულ

თამარ ლიჩელი

ჩვენგანს სხვა საქმეც აქვს: მე სოლისტი ვარ, ლელა და ჰაიკა არიან ორკესტრების კონცერტმაისტერები. ჩვენი განრიგი ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ გვიწევდა ამ ტემპში მუშაობა. ბოლოს, მახსოვს, სამი კონცერტიც კი ჩავატარეთ. გვქონდა ავრეთვე კონცერტები უცხოეთში: ინგლისში გამოვედით ქართული კულტურის დღეებზე, ვილნიუსში, ლიტვაში ფილარმონიის კამერულ დარბაზში ქართული კულტურის დღეების გახსნაზე გამოვედით სოლო კონცერტით.

— მაინც როგორ ფიქრობთ, რა შედეგი გამოიღო თქვენმა კონცერტებმა და მასტერკლასებმა რეგიონებში, შეცვლის კი ასეთი ღონისძიებები რამდენადმე მაინც დღეს არსებულ სავალალო მდგომარეობას სამუსიკო განათლების სფეროში?

— შედეგი არის ის, რომ ბავშვები უფრო მონდომებულები არიან. მინდა გითხრათ, რომ გაოცებული ვიყავი იმ დიდი ინტერესით, რომელსაც კლასიკური მუსიკისადმი იჩენდნენ ყველგან. დარბაზები გატენილი იყო. ბავშვები ინტერესით უსმენდნენ ურთულეს პროგრამებსაც კი, იქნებოდა ეს ბრამსის, შოსტაკოვიჩის ტრიო თუ სხვა. სხვათა შორის, ჩვენდა გასაოცრად, ნაწილებს შორის ტაშს არ უკრავდნენ. ვიცი, რომ ძალიან გაიზარდა ინტერესი კამერული მუსიკისადმი, ამ კონცერტების შემდეგ ერთ–ერთ რეგიონში ჩელოს კლასიც კი გახსნეს. თუნდაც ეს ფაქტი, ჩემი აზრით, ბევრის მანიშნებელია.

დიდი იმედი მაქვს, რომ დღეს არსებული ვითარება გამოსწორდება, კერძოდ, რეგიონების მიმართულებით.

საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა ასეთი გასვლითი კონცერტები, მასტერკლასები, შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე, შეწყდა. მოხარული ვარ, რომ ეს ყველაფერი აღსდგა და ჩართული ვარ ამ პროცესში.

— აქვს თუ არა თქვენ ტრიოს სტატუსი, ანუ რამდენად სტაბილურია თქვენი არსებობა და თუ აფინანსებს სახელმწიფო?

— ტრიოს სტატუსი ჯერ არ აქვს, მაგრამ არის ამაზე საუბარი. მიუხედავად ამისა, არსებობის დღიდან არც ერთი წამით არ გავჩერებულვართ, გვაქვს ბევრი შემოთავაზებები. შემოდგომაზე გვაქვს კონცერტები გერმანიაში, ინგოლშტატში, ქართული კულტურის დღეებზე; ავრეთვე მაესტრო ჯანლუკა მარჩანოს შემოთავაზებით მონაწილეობას მივიღებთ მიუნხენის ფესტივალში, რისთვისაც დიდი მადლობა მას. ამ ფესტივალში ერთი საღამო, ორ განყოფილებად, ჩვენი იქნება.

— როგორც ვიცი, გაქვთ პრობლემა ტრიოსათვის ქართული მუსიკის შერჩევის. ამ კუთხით როგორია თქვენი გეგმები, რას ფიქრობთ?

— დიახ, ძალიან რთული მოსაძიებელი აღმოჩნდა ქართული საფორტეპიანო ტრიო. რა თქმა უნდა, არის რამოდენიმე, რის მომზადებასაც ვაპირებთ: ნოდარ გაბუნიას ძალიან საინტერესო ტრიო, ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო ტრიო, ზურაბ ნადარეიშვილის... რომ გითხრათ, ძალიან დიდი რეპერტუარი არის–მეთქი, არა. შარშან კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი ზოგადად კამერული მუსიკის ჟანრებში, სამწუხაროდ, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ტრიო, რომელმაც ვერ გაიმარჯვა.

— ახლახან დამთავრდა თენგიზ ამირეჯიბის სახ–

ელობის ფესტივალი. რას იტყვით ამ ფესტივალზე? როგორ გაჩნდა იდეა?

— ბ-ნ გიზისთან გავატარე 20 წელი. ეს ძალიან დიდი პერიოდია... 20 წელი კი არა, ბ-ნ გიზისთან ვისაც რამდენჯერმე მაინც ჰქონია შეხება, ყველა ერთსა და იმავეს იტყვის — ეს იყო განუმეორებელი ადამიანი! იმის გათვალისწინებით რამდენს დავდივარ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაქვს ურთიერთობა სხვადასხვა შემოქმედთან, მისი მსგავსი არ შემხვედრია. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოში გადავწყვიტე დარჩენა — სულ მქონდა ბ-ნი გიზის იმედი, არცერთი წუთი არ მინდოდა, რომ მისგან შორს ვყოფილიყავი. ამის გამო ხშირად დამცინოდა კიდეც. მას შემდეგაც კი, როდესაც მაგისტრატურა დავამთავრე და კონცერტებით გამოვდიოდი, ბ-ნ გიზის მაინც ვურეკავდი და ვთხოვდი — „მომისმინეთ რა, კიდევ“.... ის კი ისე საყვარლად მეუბნებოდა: „გოგო, რაღა გინდა, ყოველთვის ხომ არ ვიქნები... აღარ გჭირდება მეტი“-ო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა იმედი და სტიმული იყო ჩემთვის. ერთ სიტყვას რომ მეტყოდა, თუკი რამ გაუგებარი იყო ჩემთვის, ყველაფერი თავის ადგილას დგებოდა და მაშინათვე გასაგები ხდებოდა. და ისედაც, მასთან შეხვედრა... ან კონცერტის წინ კულისებში რომ გამოჩნდებოდა, ეს კიდევ სხვა იყო — ძალიან დიდი შთაგონების იმპულსი... იცით, რა არის საოცარი? ერთი წელი გავიდა, რაც ბ-ნი გიზი გარდაიცვალა, დრო გადის და დღემდე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ახლაც რაღაცას ვსწავლობ მისგან. იცით, ასე მგონია, რომ ეს მუდმივად ასე იქნება — რაღაცეებს ვიხსენებ, თან ასაკიც რომ მემატება, რაღაცეები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული ხდება ჩემთვის...

წიგნის „გიზი ამირეჯიბი“, მიზანი იყო გიზი ამირეჯიბის შესახებ საქართველოში არსებული მასალები (რეცენზიები, სტატიები) ერთ წიგნად შემეკრა. ჩემი პროფესია არ არის წერა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა მომავალი თაობებისთვისაც. სრულიადაც არ მქონია პრეტენზია არც მხატვრულობაზე და არც სამეცნიერო სიღრმეზე.

რაც შეეხება ფესტივალს, შარშან პირველი ფესტივალი ჩატარდა და აქცენტი ბ-ნი გიზის სტუდენტებზე გაკეთდა. იმდენია გაფანტული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბ-ნი გიზის სტუდენტები, სამწუხაროდ, ყველას ვერ შევკრებდით, ეს შეუძლებელია, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ მომავალში შემოგვემატებიან. შარშან ვიყავით ალექსანდრე კორსანტია, მანანა დოიჯაშვილი,

თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ჯილდო, რომელიც დაამზადა სოფო ეცადაშვილმა

მარინე ნადირაძე, მზია ჯაჯანიძე, ვახტანგ ჟორდანია, ირმა გიგანი და მე; მეორე დღეს იყო „საქართველოს სიმფონიეტა“ (შარშანაც და წელსაც), რომელიც ძალიან მიყვარს და ყოველთვის მხარში მიდგას და არა მხოლოდ მე.

წელს უფრო მასშტაბური გახდა ფესტივალი. გვყავდა ჩამოყვანილი უცხოელი შემსრულებლები: კენაისო, არაჩვეულებრივი იაპონელი მევიოლინე, ჟაკ ტიბოს კონკურსის ლაურეატი, რომელმაც ვივალდის „წელიწადის დრონი“ შეასრულა „საქართველოს სიმფონიეტასთან“ ერთად; იტალიელი პიანისტი გლორია კამპანერი, რომელმაც, ძალიან დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, შეძლო და დიდი სიხარულით ჩამოვიდა ფესტივალზე. წელს დაგვემატა ოპერისა და ბალეტის ორკესტრი ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით, რომელიც, არ შემიძლია რომ არ ვთქვა — ჩამოვიდა

კონცერტის დღეს და იმავე დღეს უკან გაფრინდა. რაც შეეხება ბ–ნი გიზის სტუდენტებს, ძირითადი შემადგენლობა წელსაც იყო (იგივე ალექსანდრე კორსანტია, მანანა დოიჯაშვილი, მარინე ნადირაძე) და ისინი ყოველთვის იქნებიან, რა თქმა უნდა, თუ ექნებათ ამის შესაძლებლობა. მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალზე ერთი დღე დაეთმო ახალგაზრდებს. სურვილი მაქვს, რომ მომავალ ფესტივალებზეც ეს გავრძელდეს და ერთი დღე ახალგაზრდებს დაეთმოს, იმიტომ, რომ არიან ახალგაზრდა შემსრულებლები, მაგალითად ირმა გიგანი, ლიზა რამიშვილი, რომლებსაც ძალიან კარგად იცნობს საზოგადოება და არ სჭირდებათ წარდგენა, მაგრამ არიან ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა და ასეთ ფესტივალში მონაწილეობა. მინდა მათ ხელი შევუწყო, იმიტომ, რომ მახსოვს ჩემი თავი, პატარა რომ ვიყავი და ვიცი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ასეთ მუსიკოსებთან ურთიერთობას, მათთან ერთად ასეთ ფესტივალში მონაწილეობას.

ტრიო "SEMPRE". თამარ ლიჩელი (ფ- ნო), ლელა მჭედლიძე (ვიოლინო), ჰაიკ გაბაიანი (ჩელო)

იმედი მაქვს, რომ გიზი ამირეჯიბის ფესტივალი სიცოცხლეს გააგრძელებს.

— თათა, თქვენი საკონცერტო მოღვაწეობა გამოირჩევა იმით, რომ განსხვავებით სხვა ბევრი ქართველი შემსრულებლებისაგან, განსაკუთრებულ ადგილს უთმობთ ქართულ მუსიკას. რატომ?

— ალბათ განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ ძალიან მიყვარს ყველაფერი ქართული და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვცხოვრობ, ბევრი ჩემი მეგობარი და კოლეგა კი წასულია, გამწვავებული მაქვს მოთხოვნილება იმისა, რომ სულ მინდა — ქართული, ქართული.... რადგან გადავწყვიტე აქ ცხოვრება, ბევრი ქართველი კომპოზიტორი პიროვნულადაც ძალიან მიყვარს და ამასთან, მიმაჩნია, რომ მათთვისაც დიდი სტიმულია მათი ნაწარმოებების შესრულება. წარმოიდგინეთ, კომპოზიტორი წერს და რომ არავინ შეასრულოს... მახსოვს თითქმის ყველა ქართული ნაწარმოები, რომელიც შევასრულე. ზოგი ისეთი რთული იყო, მაგალითად, ფელიქს ღლონტის საფორტეპიანო კონცერტი, სასწაული იყო. სულ ვფიქრობ იმაზე, რომ ამ კონცერტმა ბევრი რამ მომცა; მგონია, რომ ამის შემდეგ ტექსტის პრობლემა (რომელიც მანამდეც არ მქონია) აღარასდროს მექნება — ისეთი რთული ტექსტი იყო, ვერ წარმომიდგენია რაღა უნდა იყოს ისეთი, რომ გამიჭირდეს. ვახტანგ კახიძე რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, სხვა როგორ მოახერხებდა ამ ურთულესი ტექსტის დაძლევას. საერთოდ, ძალიან მიყვარს ბ–ნი ფელიქსის მუსიკა, დიდ პატივს ვცემდი და გული მწყდება... ეს კონცერტი, მისი სიმფონიები, სავიოლინო, სავიოლონჩელო კონცერტები რომ აჟღერდეს შესაბამის დარბაზში, ძალიან კარგი იქნება. ეს ნაწარმოებები ნამდვილად არის იმის ღირსი, რომ ჟღერდეს საკონცერტო დარბაზებში; იგივე ითქმის ბ–ნი ნოდარ გაბუნიას, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის და სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე. კვარტეტ „იბერთან" ერთად დავუკარი ვაჟა აზარაშვილის ძალიან საინტერესო საფორტეპიანო კვინტეტი, მუსიკალური ენის თვალსაზრისით სრულიად ახალი იყო, და, ჩემი აზრით, ბ–ნი ვაჟას შემოქმედებაში განცალკევებით დგას, გამოირჩევა. რამდენჯერაც შევასრულე, ყოველთვის ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა. ასევე მახსენდება რამაზ კემულარიას საფორტეპიანო

კონცერტი, რომელიც ასევე ვახტანგ კახიძესთან ერთად შევასრულე. იგი დაწერილია 40 წლის წინ, წარმოიდგინეთ, და მხოლოდ ორიოდ წლის წინ შესრულდა პირველად. მიუხედავად ამისა, ძალიან თანამედროვედ ჟღერდა, ძალიან ეფექტური კონცერტია; ასევე სულხან ცინცაძის შემოქმედება, რომელიც კონკურსგარეშეა, ძალიან ხშირად ვუკრავ... მერი დავითაშვილი სულ მაოცებდა. რაც აღარ არის, უფრო გამიმძაფრდა იმის შეგრძნება, რომ იშვიათია კომპოზიტორი, რომლის მუსიკაშიც ასე ნათლად იგრძნობა სიყვარული საქართველოს მიმართ, აგრეთვე კეთილშობილება, რომელიც ქ-ნ მერის ჰქონდა და რომელიც, მართლა უნიკალური და განუმეორებელია. ეს გულწრფელობა, კეთილშობილება, საქართველოსადმი, მისი ყველა კუთხისადმი უსაზღვრო სიყვარული ძალიან მკაფიოდ ჩანს მის მუსიკაში. ყველას უყვარს მისი შემოქმედება, მე არ ვიცი ადამიანი, ვისაც მისი მუსიკა არ უყვარს და მის მუსიკას „სხვათა შორის“ ახსენებდეს. ქ-ნი მერის „ხორუმი“ ის ნაწარმოებია, რომელიც ძალიან ბევრჯერ შემისრულებია უცხოეთში, სწორედ ამ ნაწარმოებში ავიღე სპეციალური პრიზი „ნაციონალური ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის“ იტალიის ერთ-ერთ კონკურსზე, რომლის ჟიურის წევრი ვარ ამჟამად. ასევე მომიწია ალოიზ მიზანდარის პიესების შესრულება და ძალიან მომწონს, კარგი პიესებია. გარდა იმისა, რომ ეს მუსიკა ძალიან კარგად ისმინება, იგი ღირებულია იმითაც, რომ პირველი პროფესიონალი კომპოზიტორია და ქართული საფორტეპიანო მუსიკის პირველი ფურცლებია.

— ხომ არ ფიქრობთ თენგიზ ამირეჯიბის საერთაშორისო ფესტივალზე მასტერკლასებიც ჩაატაროთ, მით უფრო, რომ ბ-მა გიზიმ თავისი შემოქმედების უზარმაზარი ნაწილი, სწორედ პედაგოგიკას დაუთმო?

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს დაემატოს მასტერკლასები. შარშან ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ მქონდა, ძალიან მძიმე წელი იყო. ფესტივალი და წიგნი რომ წამოვიწყე, ბ-ნი გიზი უკვე ძალიან ავად იყო. რომ არა ეს სამუშაო, არ ვიცი, როგორ გადავიტანდი მის გარდაცვალებას. მასტერკლასების გარდა, მომავალი წლიდან ერთი დღე აუცილებლად დაეთმობა ქართულ მუსიკას, რომელიც მცირე დარბაზში ჩატარდება. ჯერ ერთი, რაც მე შემისრულებია, მინდა ამას თავი მოვუყარო, მეორეც, ბევრი ისეთი ნაწარმოებია, რომელიც არ შესრულებულა. ამის განხორციელებაც ხომ პირდაპირ კავშირშია ბ-ნ გიზისთან, რომელიც ძალიან ბევრ ქართულ მუსიკას ასრულებდა.

— ჩანს, ამაშიც აგრძელებთ ბ-ნი გიზის გზას, მან ხომ

თენგიზ ამირეჯიბი, თამარ ლიჩელი

არაერთ ქართულ ნაწარმოებს შთაბერა სული...

— დიახ. ზოგჯერ მეუბნებოდა, ამდენი დრო არ გაქვს, ამდენი ქართული მუსიკა რომ დაუკრაო. მერე, როდესაც წიგნზე ვმუშაობდი და გადავხედე ბ-ნ გიზის ბიოგრაფიას, გავოცდი და ვუთხარი კიდეც: — ბ-ნო გიზი, მე რომ მსაყვედურობდით, ავერ თქვენ, რამდენი ქართული ნაწარმოები გქონიათ შესრულებული-მეთქი... და რამდენი ნაწარმოების პირველი შემსრულებელი იყო!..

— მიმაჩნია, თქვენი მოღვაწეობა, ისევე როგორც ტრიო Sempre არსებობა, დიდი სტიმული იქნება ქართველი კომპოზიტორებისათვის. ცხადია, როდესაც კომპოზიტორის მუსიკა სრულდება, ჩნდება ახლის დაწერის მოტივაცია. წარმატებებს გისურვებთ თქვენი მოღვაწეობის ყველა სფეროში, წარმატებებს ვუსურვებ ტრიოს — Sempre!

„აქედანა და შენამდე“

ეძღვნება იოსებ კეჭაყმაძის დაბადებიდან 75 წლისთავს

მანანა კორძაია

ქართულ მუსიკაზე ფიქრისას უნებლიეთ წარმოგვესახება ხოლმე ის ფენომენი, რასაც ქართული მუსიკალური ფოლკლორი ჰქვია. ეს კი პირველყოვლისა გულისხმობს მრავალ ხმაში გაცხადებულ ეროვნულ მუსიკალურ აზროვნებას, ჰარმონიული და კილოური სტრუქტურების გასაოცარი მრავალფეროვნებითა და ფერადოვნებით რომ გამოირჩევა. ამ აზროვნებაში აშკარად შეიგრძნობა ადამიანის ხმის, ამ უნივერსალური „ინსტრუმენტის“ უპირატესობა საკრავიერ კულტურაზე, რომელიც ჩვენში, უმეტეს შემთხვევაში, დამხმარე კომპონენტია და არა აზრის განვითარების ძირითადი საფუძველი და ინსპირატორი.

ჩემი აზრით, ეს არის მთავარი ფაქტორი, რამაც იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებითი არჩევანი განაპირობა – მაძიებელი, შემოქმედი – ექსპერიმენტატორი. ექსპერიმენტი კი ყოველთვის საბედისწერო ზღვარზე სვლაა წარმატება-წარუმატებლობას შორის, მით უმეტეს იმ ჟანრში, რომლის წიაღში ქართველმა ხალხმა ჭეშმარიტად მსოფლიო შედევრები შექმნა.

კეჭაყმაძემ გარისკა და ექსპერიმენტმაც გაამართლა. ინტერესი მისი მუსიკისადმი დღითი დღე იზრდებოდა და კულმინაციას 70-იან წლებში მიაღწია, როდესაც საქართველოს სახელმწიფო კაპელის მიერ პირველად შესრულდა მისი საგუნდო ციკლი „ძველი თბილისის სიმღერები“. წარმატება ტრიუმფული იყო. ქართველი მსმენელი ხშირად ძალიან ემოციურია, მაგრამ იმ საღამოს მე პირველად და უკანასკნელად მოვესწარი, როდესაც მაყურებელი, ტაშთან ერთად, ფეხების ბაკუნითაც სკანდირებდა. მსმენელი, თავისი დაუოკებელი ოვაციით ამაოდ უხმობდა სცენაზე ახალგაზრდა კომპოზიტორს. ის ქანდარიდან უსმენდა თავის ნაწარმოებს და დასრულებისთანავე „გაქრა“ დარბაზიდან.

ასე იყო შემდგომ ყოველთვის. მას ვერასოდეს იპოვნიდით კონცერტის შემდეგ. არ უყვარდა საჯარო მილოცვები და აჟიოტაჟი. ერჩია ამ მოლოცვების მიღება ტელეფონით, ან შემთხვევით შეხვედრისას... – იოჰან სებეასტიან ბახივით ხარ-მეთქი – ვეხუმრებოდი, რადგან ათწლეულების მანძილზე არცერთი თავისი ნაწარმოები არ გამოუცია, თუმც იყო მათზე დიდი მოთხოვნა, როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მუსიკოსების მხრივ; არ იძლეოდა ინტერვიუებს მაშინაც კი, როდესაც სხვადასხვა დამსახურების საბჭოურ წოდებებს ანიჭებდნენ, არც მაშინ, როდესაც გახდა ზაქარია ფალიაშვილისა და რუსთაველის სახელმწიფო

იოსებ კეჭაყმაძე, ძ. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო კამერული გუნდი, დირიჟორი – ბორის პევზნერი. 1983

პრემიების ლაურეატი. ტელეეკრანებზე არც იმ დროს გამოჩენილა, როდესაც ფალიაშვილის მუსიკაზე მის მიერ შექმნილი კომპოზიცია საქართველოს ჰიმნად აღიარეს.

ახლა, როდესაც სოსო ჩვენს შორის აღარ არის, მისი ცხოვრებისეული ეს „ახირებანი“ ძალზედ თვალშისაცემია, რაც თან გხიბლავს, თან სევდას გვგვრის. სევდას, რადგან შედეგად არ დაგვრჩა ვიზუალური მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, დოკუმენტურად უკვდავგვეყო მისი სახელი. ეს მხოლოდ მისმა მუსიკამ უნდა იტვირთოს...

არავინ იფიქროს, რომ შემოქმედის რთულ გზაზე მას მხოლოდ წარმატებები ხვდებოდა. ჰქონდა მძიმე პერიოდებიც, ზოგჯერ საკმაოდ მძიმეც კი. დიდი სირთულეები ხვდა წილად მის შემოქმედებაში საეკლესიო საგალობლების შესანიშნავი ციკლის გამოჩენას. იგი პირველი იყო ახალი თაობის ქართველ კომპოზიტორთა შორის, ვინც „გაბედა“ ამ ურთულეს სფეროს შეხებოდა ათეისტური კომუნისტური იდეოლოგიის ეპოქაში. სახელმწიფო ჰიმნისთვისაც საკმაო რისხვა დაატყდა თავს უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. წერდნენ პრესაში და ამბობდნენ რთულია, ვერავინ დაიმახსოვრებს, ფეხბურთელები და საერთოდ სპორტსმენები ჩემპიონატებზე გულსხელმიდებული ვერ იმღერებენო და რა ვიცი, კიდევ რამდენი ამგვარი... დრომ სხვა დაადასტურა – ახლა ყველა ამაყობს ამ ჰიმნით.

მისთვის მძიმე იყო კონსერვატორიაში მოღვაწეობის ბოლო წლებიც. პროფესორი იოსებ კეჭაყმაძე, რომელმაც საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კათედრის გამგის რანგში 20 წლის მანძილზე საკმაოდ მაღლა ასწია ამ განყოფილების პრესტიჟი, მოულოდნელად გაათავისუფლეს. მისთვის მტკივნეული აღმოჩნდა არა კათედრის გამგეობასთან განშორება (ეს მისთვის გარკვეულ თავისუფლებასაც მოასწავებდა), არამედ

სრულიად აბსურდული მიზეზი: საგუნდო მუსიკის ამ დიდოსტატს, რომელმაც მთელი ცხოვრება საგუნდო ხელოვნებას მიუძღვნა, ეს უფლება ჩამოერთვა მხოლოდ იმიტომ, რომ ასპირანტურა დამთავრებული ჰქონდა როგორც კომპოზიტორს და არა როგორც საგუნდო დირიჟორს. მას შემდეგ მან კატეგორიულად აკრძალა თავისი ნაწარმოებების შესრულება თბილისში. ეს „ტაბუ“ მოხსნა დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ, რომელმაც კომპოზიტორის 70 წლის იუბილე მისი ნაწარმოებების ბრწყინვალე კონცერტით აღნიშნა. საზოგადოება კიდევ ერთხელ იყო შოკირებული მისი მუსიკით. ბევრმა გამოჩენილმა ქართველმა ხელოვანმა და უცხოელმა სტუმარმა იმ საღამოს აღმოაჩინა ეს დიდი კომპოზიტორი. კონცერტის ბოლოს დიალოგებში მუდმივად ისმოდა: — ეს ნამდვილად გენიალური მუსიკაა!..

ამგვარი შეფასების საფუძველი მისი მუსიკის დრამატურგიულ სრულყოფილებაშია. იგი საოცარი ოსტატობით მონოლითურად კრავს პირველი შეხედვით შეუთავსებელ კომპონენტებს — ტესიტურულ თუ რეგისტრულ კონტრასტებს, ქორალურ ჟღერადობასა და გაშლილ მელოდიურ პლასტებს, პორტრეტულ მოხაზულობასა თუ პეიზაჟურ ეპიზოდებს, რაც მთლიანობაში მრავალკომპონენტიან მასშტაბურ ფრესკებს წარმოქმნის. მათ კი არ ვისმენთ მარტო, არამედ თითქოს თვალით ვხედავთ ძველი თბილისის ციკლში და განსაკუთრებით ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილ „ფშაურ იდილიებში“. აქ ხევებში ჩაბურული ნისლის შეკრული, ჩაკეტილი აკორდული ფაქტურა უეცრად გაიხსნება ხოლმე, ინტონაცია თითქოს ნავარდობს და ნათდება სრულიად მოულოდნელი მოდულაციების ხარჯზე, ისე როგორც ეს ხდება გენიალურ გუნდში „ლაშარის გზაზე“...

ყოველივე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა კეჭაყმაძის მიერ პოეზიის შინაგანი სიღრმისეული განცდა. მისთვის ლექსი მუსიკალური კომპოზიციის ნაწილია და არა შინაარსობრივი ვერბალური მოდელი. ყოველი მარცვალი ინტონაციური ინსპირაციის წარმომქმნელია, რომლის ვარირებით ყალიბდება ვრცელი ფრაზა-ინტონაცია. ასეთ შემთხვევაში მსმენელს სიტყვის მარცვალი ესმის არა როგორც სიტყვის ნაწილი, არამედ როგორც მუსიკალური ბგერის სამშვენისი, მელიზმი. აქ უნდა ვეძებოთ გასაღები მისი „ევზერსისების“ მხატვრული ზემოქმედების ძალისა. ევზერსისი კეჭაყმაძის ხელში, შოპენის და ლისტის ეტიუდების მსგავსად, გასავარჯიშებელი ელემენტიდან საკონცერტო მაღალმხატვრულ კომპოზიციად იძერწება, სადაც ტექნიკური და მხატვრული ელემენტები განუყოფელი მთელია.

მაგრამ კეჭაყმაძისათვის სტანდარტები დაუშვებელია. მისი აკუსტიკური მიგნებები ისევე ფართოა და ინდივიდუალური, როგორც პოეტთა წრე — ილია და ალექსანდრე ჭავჭავაძეები, გალაკტიონი, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე, გიორგი სკანდარნოვა, მუხრან მაჭავარიანი და მრავალი სხვა... ერთი საზომით მიდგომა აქ შეუძლებელია...

და აი, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მეგობრებისა და კოლეგების — ვახტანგ კახიძის, ლიკა კოპალეიშვილის და სხვათა დიდი ძალისხმევით შეგროვდა და ციფრულად აიკინძა მთელი მისი შემოქმედება, რომელიც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს, შემოქმედება, რომელიც ასაზრდოებდა ათწლეულების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კაპელას, გორის გოგონათა ანსამბლს, კონსერვატორიის გუნდსა თუ ყველა სხვა საგუნდო კოლექტივს, რომელთა წარმატებებსაც საკონცერტო ასპარეზზე ხშირად სწორედ კეჭაყმაძის ფენომენი განსაზღვრავდა.

ამიტომაც გაიჟღერა ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილმა კონცერტმა, როგორც საგუნდო კოლექტივების თავისებურმა სამადლობელმა. მასში მონაწილეობდნენ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა შერეული გუნდი, ბათუმის ქალთა კამერული გუნდი, გორის გოგონათა კამერული ანსამბლი და საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელა. ქორმაისტერებმა ზაირა და გელა ვადაჭკორიებმა, ირინა ლომინაძემ, თეონა ცირამუამ და არჩილ უშვერიძემ კიდევ ერთხელ სრულფასოვნად ააჟღერეს ეს შესანიშნავი მუსიკა.

და ისევ მადლობა ვახტანგ კახიძეს, რომელიც ქომაგად უდგას კეჭაყმაძის მუსიკის არდავიწყებას.

საქართველოს საგუნდო საზოგადოება

ახლახან საქართველოში დაფუძნდა საგუნდო საზოგადოება, საგუნდო კულტურის გადარჩენის, აღორძინებისა და განვითარების მიზნით. დამფუძნებლები არიან: შალვა მოსიძე, გიორგი ქორქაძე, ლია ჭონიშვილი, მიხეილ ედიშერაშვილი. საზოგადოების თავმჯდომარეა ლია ჭონიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი — მიხეილ ედიშერაშვილი.

საზოგადოებას რაიონებში აქვს ფილიალები, რომელთა ხელმძღვანელები არიან: ნინო წიკლაური (შიდა ქართლი, გორი), თამარ ბუაძე (ქვემო ქართლი, რუსთავი), ზურაბ ნატროშვილი (კახეთი, თელავი), ირინე ლომინაძე (ქუთაისი), ნათია გოგუაძე (იმერეთის რეგიონი), შორენა გოგოლაშვილი (გურია, ოზურგეთი), სალომე ცეცხლაძე (აჭარა, ბათუმი), შიო აბრახამია (სამეგრელო, ფოთი).

საზოგადოების მიზნები მეტად ფართო და მრავლისმომცველია: საგუნდო მუსიკის განვითარებასა და აღორძინებასთან ერთად მათი მიზანია საგუნდო მუსიკის პოპულარიზაცია და ფართო მასების მოზიდვა მათი უშუალო ჩართულობის გზით. სახარბიელოა, რომ საზოგადოების ამოცანებში შედის, ხალხური სიმღერებისა და გალობის გვერდით, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პოპულარიზაცია. აგრეთვე, საგუნდო კოლექტივების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათი ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, კონკურსების, ფესტივალების, კონცერტების გამართვა. საგუნდო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება აგრეთვე საგუნდო განათლების სისტემის ხელშეწყობა, ახალგაზრდა ქორმაისტერების, პედაგოგიური კადრების, სამეცნიერო მუშაობის მხარდაჭერა და სხვ.

საზოგადოების პრეზენტაცია შედგება 2014 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმში გაიმართება კონფერენცია თემაზე „საქართველოში აკადემიური საგუნდო მუსიკის სათავეებთან“. მომხსენებლები იქნებიან, პროფესორი გივი მუნჯიშვილი და კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულების სტუდენტები.

ამავე დღეს შედგება კომპოზიტორ ჯემალ ბეგლარიშვილის საგუნდო მუსიკის კრებულის (ორ ნაწილად) პრეზენტაცია. I ნაწილში შესულია კომპოზიტორის რჩეული a’ cappella ნაწარმოებები შერეული გუნდისათვის, II ნაწილში — ნაწარმოებები ქალთა და ბავშვთა გუნდებისათვის. კრებული გამოიცემა საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის თანადგომითა და თანადაფინანსებით. კრებულის რედაქტორია ლია ჭონიშვილი.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელიც მიეძღვნება ჯემალ ბეგლარიშვილის საიუბილეო წელს და შესრულდება კომპოზიტორის საგუნდო ქმნილებები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული სემინარიის ბავშვთა გუნდი (ხელმძღვანელი ნინო წიკლაური) და თბილისის გოგონათა გუნდი (ხელმძღვანელი ომარ ბურდული).

ანსამბლი „ძირიანი“

სტუმრად ილიას უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგებთან

ქეთევან გაიაშვილი

ილიას უნივერსიტეტში მუსიკის ცენტრსა და ჰუმანიტარული კვლევების ფაკულტეტთან სულ რამდენიმე წელია რაც ეთნომუსიკოლოგიური კვლევების მიმართულება გაიხსნა. მუსიკის ცენტრის ხელმძღვანელია კომპოზიტორი მარინა ადამია, ეთნომუსიკოლოგიურ მიმართულებას უძღვებიან მუსიკოლოგიის დოქტორები – ნინო მახარაძე და თამაზ გაბისონია. არსებობის მცირე ხნის მიუხედავად (სულ მეოთხე წელია, რაც ფუნქციონირებს), მიმართულებამ ცენტრთან ერთად მოაწყო საველე სამუშაოები (ექსპედიციები) ნინოწმინდისა და დედოფლისწყაროს რაიონებში (2012, 2013), გასულ წელს თელავში გამართა ხალხური სიმღერის ფესტივალი, მოამზადა დედოფლისწყაროს ექსპედიციის ანგარიში, მზადდება ნინოწმიდის ექს-

ანსამბლი „ძირიანი“

პედიციის ანგარიში. ამას გარდა, ჩამოაყალიბა ილიას უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტთა ხალხური სიმღერის გუნდი, არაჩვეულებრივად მდიდარი რეპერტუარით. გუნდმა 2013 სასწავლო წლის დამთავრებას მიუძღვნა კონცერტი, ხოლო ბათუმის ხალხური და სასულიერო მუსიკის ფესტივალში მონაწილეობისათვის მაყურებლისა და ფესტივალის ორგანიზატორთა შექება დაიმსახურა. გუნდის ხელმძღვანელია თამაზ გაბისონია. ასევე მუსიკალური ცენტრისა და მიმართულების მონდომებით, უკვე ტრადიციად იქცა, სტუდენტთა შეხვედრები ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელ კოლექტივებთან. ასეთი შეხვედრები სასწავლო პროცესის ერთგვარ ნაწილად მოიაზრება, რადგან სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაესაუბრონ შემსრულებლებს ანსამბლის შიდა „სამზარეულოსა“ და სხვა პროფესიულ საკითხებზე.

ამა წლის 24 იანვარს, ილიას უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია „კადმუსმა“ უმასპინძლა რაჭული სიმღერების საუკეთესოდ შემსრულებელ ანსამბლ „ძირიანს“, ხელმძღვანელი თორნიკე სხიერელი. სასიხარულო ფაქტია, რომ დარბაზი გაივსო სტუდენტებით. არც გასაკვირია, რადგან დღეს თბილისში ძალიან ცოტაა ისეთი ანსამბლი, ვინც რაჭულ სიმღერას ისე ასრულებს, როგორც ანსამბლი „ძირიანი“. რა განაპირობებს ანსამბლის მაღალმხატვრულობასა და ყოველ გამოსვლაზე – მსმენელის დიდ აღფრთოვანებას? უპირველესად ავთენტურობა, ანუ ბუნებრივობა. ეს, რა თქმა უნდა, ანსამბლის წევრთა რაჭული წარმოშობითა და მშობლიურ კუთხესთან უწყვეტი კავშირით აიხსნება. ყველა მათგანი შესანიშნავად იცნობს რაჭულ მუსიკალურსა და ვერბალურ (სამეტყველო) კილოკავს, ერთმანეთთან ამ კილო-კავზე ურთიერთობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი ტრადიციის მატარებელია, ივივე ეთნოფორი, თუმცა ისინი თბილისში მოღვაწეობენ. თორნიკე სხიერელი დიდი სიფრთხილით არჩევს რეპერტუარს, ის შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, თუკი სადმე ყურს მოჰკრავს უცხო სიმღერას, ჩაიწეროს. შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ამ პროცესის ამსახველი ძუნწი, თუმცა ბევრის მთქმელი კადრები... დღეს თბილისში ხშირად გაიგონებთ პესიმისტურ განცხადებას ქართულ სიმღერაზე, რომ ქართულ სოფელში ხალხური სიმღერა აღარ ისმის, რომ სიმღერამ სოციალური საფუძველიც დაჰკარგა და გადაგვარდა კიდეც. ასეთ პესიმისტებს მინდა ვურჩიო, მოისმინონ და ნახონ ანსამბლი „ძირიანი“. ის ვარიანტები, რასაც „ძირიანი“ ასრულებს, თითქმის ყველა ბოლო წლებშია ჩაწერილი თორნიკე სხიერელის მიერ.

რადგან ანსამბლის ავთენტურობაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია რამდენიმე საკითხის განხილვა. ის მთავარი საშემსრულებლო ნიუანსები, რაც შემსრულებლობას ავთენტურობის ხასიათს სძენს, არის სინკრეტულობა, არტიკულაცია, იმპროვიზაციულობა და მრავალვარიანტულობა. სამწუხაროდ, ბოლო დროს, აღარავის ახსოვს სინკრეტულობა, არადა ეს ხალხური სიმღერის ის მსაზღვრელი მახასიათებელია, რაც განაპირობებს ხალხურ აზროვნებასა და შესრულებაში ბუნებრივობას. სინკრეტული შესრულების წყალობითაა შემორჩენილი საფერხულო და საცეკვაო შესრულება სიმღერასთან ერთად. გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ ანსამბლი „ძირიანი“ უებროდ ასრულებს საფერხულო და საცეკვაო სიმღერებს. აქვე უნდა აღინიშნოს ანსამბლის ჯანსაღი და ავთენტური დამოკიდებულება ცეკვის მიმართ: ცეკვა ადამიანის სულიერი განწყობის გამოხატულებაა, ამიტომაც

საცეკვაოს შესრულებისას საკმაოდ „რაჭულად“ გრძელდება სიმღერის პროცესი, რათა მოცეკვავეს შეექმნას შესატყვისი განწყობა; ასევე მნიშვნელობა არ ენიჭება მოცეკვავის კომპლექციასა და წონას, მთავარი საცეკვაო განწყობაა.

რაც შეეხება არტიკულაციას — ზემოთ აღნიშნული იყო ანსამბლის წევრთა რაჭული წარმომავლობისა და რაჭასთან უწყვეტი კავშირის შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბგერის წარმოთქმისას ისინი მშობლიურ არტიკულაციას იცავენ. ამდენად, რაჭული მუსიკალური დიალექტის თავისებურება და კილოკავი შენარჩუნებულია ბუნებრივი წესით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მუსიკალური ბგერის თავისებურების განმსაზღვრელი კი სწორედ არტიკულაციაა.

იმპროვიზაციულობა — ამ ანსამბლის ერთი ძალიან სერიოზული მახასიათებელია. თუ დავაკვირდებით შესრულებისას სოლო პარტიებს, აშკარად შესამჩნევია მათში (აქ, ძირითადად, დამწყებისა და მთქმელის პარტიებია ნაგულისხმევი) არაერთგვაროვანი და ხშირად ცვალებადი მელოდიური ხაზი, ეს კი შემსრულებელთა თავისუფალი აზროვნების შედეგია. სიმღერათა უმრავლესობა ანტიფონურად სრულდება, რაც ერთი და ივივე სიტყვიერი ტექსტისა და მელოდიური ხაზის განმეორებადობაზეა აგებული. ასეთ დროს, სიმღერა ცოტა მოსაწყენი და ერთფეროვანი ხდება. ამას „ძირიანის“ შესრულებაზე ვერ ვიტყვით, რაც სწორედ გემოვნებით იმპროვიზირების უნარისა და ემოციური ფონის შეგრძნებით არის გადალახული.

ხალხური ნიმუშის მრავალვარიანტულობის წყარო სწორედ იმპროვიზაციაა. ამდენად, ავთენტური შესრულების შედეგად არის მხოლოდ შესაძლებელი მრავალი ვარიანტის არსებობა. ეს თვისებაც შესანიშნავად აქვს „ძირიანს“ გათავისებული და არა მხოლოდ სიმღერის, არამედ ცეკვის შესრულებისასაც.

კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება, რაც „ძირიანის“ შესრულებას ახასიათებს არის გასაოცარი სიხალასე და უბრალოება. არაფერი გადაჭარბებული, არაფერი გადაპრანჭული. ყველაფერი ძალიან სადა და ბუნებრივია.

სასიმღერო, საფერხულო და საცეკვაოს გარდა ანსამბლს საკრავიერი მუსიკაც აუთვისებია. ეს დიალექტის სრულყოფილად შესწავლისა და წარმოჩენის ძალიან სერიოზული განაცხადია, მით უმეტეს, რომ საკრავებთანაც დიდი სიფრთხილე და მოწიწება გამოიჩინეს. ისინი საკრავებს — ჭიანურს, დაირასა და გარმონს სწორედ იმ დოზითა და ფუნქციით იყენებენ, როგორც რაჭველები და ზოგადად ქართველები.

არანაკლებ საყურადღებო ანსამბლის გენდერული შემადგენლობაა. ვაჟების გარდა, ანსამბლში ქალებიც არიან და როგორც თორნიკემ აღნიშნა, რაჭაში ხალხური სიმღერის კოლექტიურ შესრულებაში სწორედ ასეთი შემადგენლობა ყოფილა გავრცელებული. ამ შემთხვევაშიც ავთენტური მენტალიტეტია გათვალისწინებული.

საუბარში როგორც ხელმძღვანელმა, ასევე ანსამბლის წევრებმა, შეხვედრის წამყვანს, ნინო მახარაძეს უთხრეს, რომ ისინი ამზადებენ ახალ პროგრამას, სადაც უფრო სრულად იქნება წარმოჩენილი რაჭული მუსიკალური დიალექტი თავისი ჟანრებითა და ახლადაღმოჩენილი სიმღერებითა თუ ვარიანტებით. ასევე გეგმაში აქვთ კვლავ საველე სამუშაოები რაჭის სოფლებში.

მკითხველს კარგად მოეხსენება, დღეისათვის თბილისში საკმაოდ მომრავლებულია ხალხური სიმღერის ანსამბლები, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ ანსამბლ „ძირიანის“ მსგავსი ძნელად მოიპოვება. აქ გამოვყოფ მის ეთნომუსიკოლოგიურ მნიშვნელობას. ეს არის არა მხოლოდ ანსამბლი, არამედ ერთგვარი ლაბორატორიაც. ასეთი ჯანმრთელი დამოკიდებულება სწორედ ავთენტური ტიპის ანსამბლებს ახასიათებს. ანსამბლის მიზანი მხოლოდ სიმღერის შესრულება და მასში „კორექტივების“ შეტანა კი არა, არამედ ამა თუ იმ კუთხის საშემსრულებლო მანერისა და ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებაა.

დიდი მნიშვნელობა სწორედ ლოკალური ტრადიციის გაფრთხილებასა და შესწავლას ენიჭება დღევანდელი გლობალიზებული სამყაროს პირობებში. მინდა ბევრი შემოქმედებითი სიხარული და წარმატება ვუსურვო ანსამბლ „ძირიანს“. ასევე მადლობა ილიას უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრსა და ეთნომუსიკოლოგიურ მიმართულებას ასეთი მშვენიერი შეხვედრების დამკვიდრებისათვის. ■

ჩემი ცხოვრების ფურცლები

როდამ ჯანდიერი

ჩემი ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა მქონია მრავალ საინტერესო პიროვნებასთან, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემში და საზოგადოდ, ქართულ მუსიკალურ კულტურაში. პირველ ყოვლისა მინდა გავიხსენო ჩემი პედაგოგები: შოთა შანიძე და ლეო შიუკაშვილი.

ჩემი პირველი პედაგოგი იყო შოთა შანიძე. ახლა, რომ ვიხსენებ, მაინცდამაინც ვიოლინოზე დაკვრა რომ მინდოდა მესწავლა, ძალიან მიკვირს. ალბათ იმიტომ, რომ პატარაობიდანვე მესმოდა არაჩვეულებრივი შესრულება ფორტეპიანოზე. ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა მთაწმინდაზე, თავად რეზო ერისთავის სახლში, 15 მეტრიან ოთახში. მამაჩემის მშობლები, როგორც თავადები გამორეკეს, კახეთის მშვენიერი სოფლიდან – ვაჩნაძიანიდან. ისინი შეიფარა თავად რეზო ერისთავის ოჯახმა. მისი ერთი-ერთი ქალიშვილი – ნინუცა მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოზე და ყოველ საღამოს მისი მსმენელი ვიყავი. ახლაც მახსოვს მისი შესრულებით შოპენის ნაწარმოებები. განსაკუთრებით ეტიუდები მომწონდა. ამავე დროს მესმოდა ვიოლინოზე დაკვრა, უფრო დაბალი ხარისხით, მაგრამ მე მაინც დაჟინებით მოვითხოვდი ვიოლინოს. ბოლოსდაბოლოს ცნობილი მხატვრის, ზურაბ ნიჟარაძის მამამ – ძია არჩილმა, რომელიც ძალიან უყვარდა ჩვენს ოჯახს, მე და დედა წაგვიყვანა ნიჭიერთა ათწლედის დირექტორთან – ბატონ გიორგი თაქთაქიშვილთან. მან შემამოწმა და დედაჩემს უთხრა, რომ ფორტეპიანოზე როდამს არ ჩავრიცხავო, რადგან ხელები ზუსტად ვიოლინოსთვის აქვსო. ჩვენ სახლში ინსტრუმენტი არა გვქონდა, ამიტომ შევდიოდი ერისთავების ოთახში, სადაც იდგა როიალი და რაღაცას ჩემთვის ვუკრავდი. დადგა გამოცდის დღეც. მაშინ ათწლედი იყო კონსერვატორიის შენობაში. გამოცდაზე იყვნენ ანასტასია ვირსალაძე, თამარ ჩარექიშვილი, ანა თულაშვილი და კიდევ რამდენიმე პედაგოგი. მე რომ შევედი, მივუახლოვდი ფორტეპიანოს, დავჯექი და ვუთხარი, რომ შევასრულებ ჩემს ნაწარმოებებს. ახლაც კარგად მახსოვს, „შესრულება“ რომ დავამთავრე, როგორ იცინოდნენ. კლასში უნდა ჩავრიცხულიყავი ლეო შიუკაშვილთან, მაგრამ რადგანაც პროფესორი ლედნიკი ახალი გარდაცვლილი იყო მისი მოწაფეები გაანაწილეს შიუკაშვილთან, მე ჩამრიცხეს ახალგაზრდა, მოსკოვიდან ჩამოსულ პედაგოგთან, შოთა შანიძესთან. ეს იყო 1948 წ., ვიყავი 6 წლის. ჩემთვის დაიწყო ვიოლინოზე დაკვრის სანატრელი გაკვეთილები.

შოთა შანიძე აღმოჩნდა ძალიან მომთხოვნი და მკაცრი მასწავლებელი. მაგრამ ჩემთან მიმართებაში ასეთი არაფერი მახსოვს, რადგანაც ყოველი მისი სიტყვა იყო ჩემთვის საკმარისი, რომ მაშინვე გამემეორებინა ისე, როგორც მოითხოვდა პედაგოგი, ამიტომაც „მაიმუნს“ მეძახდა. 3 თვის შემდეგ მე უკვე კონცერტზე გამოვედი – კონსერვატორიის მცირე დარბაზში – ბეთჰოვენის ნაწარმოებით. მაგრამ ერთხელაც გაკვეთილზე რაღაცით ვერ დავაკმაყოფილე ბატონი შოთა, იგი სწვდა ვიოლინოს, გააღო კლასის კარები და პირდაპირ,

შოთა შანიძე. 1951

ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მისროლა, გავსრიალდი გაპრიალებულ პარკეტზე და აღმოვჩნდი კორიდორში, ვიოლინოიანად. იქ იდგნენ სამნი, კარგად არ მახსოვს ვინ, მათ დამიჭირეს. ეს შემთხვევა „ისტორიული“ აღმოჩნდა. ახლა, როდესაც ამოვივლი ხოლმე კონსერვატორიასთან და გავხედავ ერთადერთ მრგვალ ფანჯარას, სულ მეცინება. იმ დღეს, შუადღისას ამოვიდა ჩვენს სახლში „ძია შოთა“, როგორც ყოველთვის ვეძახდით, ბოდიშის მოსახდელად. დედაჩემმა გაიკვირვა და უთხრა, რომ ასეთი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა გაკვეთილს, მაგრამ როდამმა უნდა იცოდეს, თუ რაღაც დააშავა, თქვენ მაინც ბოდიშის მოსახდელი არაფერი გაქვთო.

მინდა გავიხსენო მისი კლასის კონცერტები, რომლებიც თითქმის ყოველ წელს დეკემბერში იმართებოდა, კონსერვატორიის მცირე დარბაზში. დარბაზი მუდამ სავსე იყო. ქალაქში არ იყო დარჩენილი არც ერთი მევიოლინე, რომ არ დასწრებოდა მისი კლასის კონცერტებს. ერთხელ, მახსოვს, კლასის კონცერტი, სადაც მხოლოდ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდა. თვითონ კომპოზიტორებიც ესწრებოდნენ. ესწრებოდა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი. მე შევასრულე მისი სავიოლინო კონცერტი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა და შემაქო. მას შემდეგ დიდ ინტერესს იჩენდა ხოლმე ჩემი შესრულებისადმი.

უპირველეს ყოვლისა შ. შანიძემ კარგი პროფესიული სკოლა მოგვცა. იგი იყო პედაგოგ ლეოპოლდ აუერის – ცნობილი სავიოლინო სკოლის გამგრძელებელი. რადგან იყო ლ. აუერის მოწაფის – მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის, ბ. სიბორის მოწაფე. კვარტეტის ხაზით – ს.ი. ბეზროდნის მოწაფე (საქართველოში ერთ-ერთი პირველი კვარტეტი ძმები შანიძეებისა იყო). შ. შანიძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მისი მოწაფეები გამოირჩეოდნენ როგორც ბგერით, ასევე ინტონაციით, შესრულების მანერით, ასეთი გახლდათ, მაგალითად, მარკ შმუკლერი (მოღვაწეობს აშშ-ში). მე და მ. შმუკლერს გვქონდა რუსთაველის საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტი. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზში ადგილი არ მოიძებნებოდა, მამაჩემს ბილეთი არ შეხვდა და სკამი ჩაუდგეს. იმ საღამოს თბილისში ბევრ ჩამოსულ მუსიკოსს მოვუსმენივარ, ყველა კმაყოფილი იყო მიღებული შთაბეჭდილებით.

მინდა ერთი კურიოზიც გავიხსენო: შ. შანიძემ ყველა მშობელს ჩამოაწერინა – ვინ რომელ საათებში მეცადინეობდა სახლში. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მოპირდაპირე სახლის მაცხოვრებელი, ნიჭიერი ვიოლონჩელისტის – დათო ნასიძის დედა ეძახის დედაჩემს (დათო ნასიძე ამჟამად მოღვაწეობს მექსიკაში) და ეუბნება, რომ თქვენი ფანჯრის ქვეშ იდგა შ. შანიძე და როდამის მეცადინეობას უგდებდა ყურსო. თურმე იმ დღეს სულ დაუვლია ყველა მოწაფის სახლი და შემდეგ კარგი დღეც აყარა. ერთი ბავშვი „სამაკატკით“ კინაღამ ფეხებში შეუვარდა. გავიხსენებ სხვა შემთხვევასაც: ზაფხულში ვისვენებდით წყნეთში. მან არ იცოდა ჩვენი სახლის მისამართი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ვიოლინოს ხმაზე მიაგნებდა და მართლაც ასე მოხდა, ისევ შემამოწმა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ახლანდელ ბავშვებს, იმის მიუხედავად, რომ ძალიან ნიჭიერები არიან, უჭირთ და-

მოუკიდებლად აზროვნება, არ ვიცი, რისი ბრალია.

შ. შანიძეს სხვებთან შედარებით ძალიან ბევრი კონცერტმაისტერი ჰყავდა. მინდა ყველა მათგანი დიდი სიყვარულით მოვიგონო. პირველი – მადლენ ხოჯამიროვა. ინტელიგენტი და კარგი პროფესიონალი იყო. პატარაობიდანვე ხშირად გამოვსულვარ ოპერაში მასთან ერთად. მე და თამაზ ბათიაშვილი ხშირად ვუკრავდით დუეტებს მისი აკომპანემენტით. შემდეგ ჰყავდა ვერონიკა თუმანიშვილი. მახსოვს მისი ვენიავსკის „სკერცო-ტარანტელა“. მშვენიერი პიანისტი – ალეკო (ალექსანდრე) ვასაძე. მე ვემზადებოდი ამიერკავკასიის მუს. შემსრულებელთა I კონკურსისათვის და მასთან ვუკრავდი სენ-სანსის „ეტიუდი – ვალსის ფორმით”. არ დამავიწყდება, მან როგორ დამიკრა ეს ნაწარმოები ფორტეპიანოზე (ე. იზაიმ გადააკეთა ვიოლინოსათვის). შემდეგ სულ ახალგაზრდა – გიზი ამირეჯიბის ყოფილი სტუდენტი – ნანა გრიგოლია. მასთან ვუკრავდი ჩაიკოვსკის კონცერტს. იგი ხშირად იგონებს ხოლმე როგორი გატაცებით ვუკრავდით ერთად. ნანა გრიგოლია იყო აგრეთვე კამერული ანსამბლის პედაგოგი. მე ხშირად ვიღებდი მონაწილეობას მისი კლასის კონცერტებში. ახლაც ვაგრძელებ მასთან ურთიერთობას. კიდევ იყო ირა საბაშვილი – მასაც ახალი დამთავრებული ჰქონდა ანასტასია ვირსალაძესთან. მახსოვს სენ-სანსის „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო“-ს რომ ვუკრავდით, ჩავწერეთ კიდეც რადიოში. შემდეგ ეს ნაწარმოები დავუკარი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით. ბოლო კლასებში ჩემი კონცერტმაისტერი იყო ალა ავეტისოვა – ისიც ა. ვირსალაძის ყოფილი სტუდენტი. ბევრი ჩანაწერი გავაკეთეთ რადიოში. 1957 წ. მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდობის რესპუბლიკური ფესტივალის კონკურსში, გავხდი ლაურეატი. ამავე წელს შ. შანიძემ მე და მარკ შმუკლერი წაგვიყვანა მოსკოვში, რათა დაგვეკრა კონსერვატორიის პროფესორ დიმიტრი ციგანოვის კათედრაზე.

დიმიტრი ციგანოვი – ცნობილი მევიოლინე, პროფესორი, ბეთჰოვენის სახ. კვარტეტის I ვიოლინო. ორივემ ბევრი ნაწარმოები შევასრულეთ. მე დავუკარი ბახის I სონატა სოლ მინორი, ვენიავსკის კონცერტი №2, მისივე „სკერცო – ტარანტელა“, სარასატეს ფანტაზია „ფაუსტის

თამაზ ბათიაშვილი და როდამ ჯანდიერი. წყნეთი, 1949

თემებზე.“ მან მაღალი შეფასება მოგვცა ორივეს – სთქვა, რომ „კონსერვატორიაში ბევრი სტუდენტი არ უკრავს ასე მაღალ დონეზეო“ (ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ მოწაფეები ვიყავით). 1958 წ. ავრეთვე მივიღე მონაწილეობა მოსკოვში საქართველოს ხელოვნების II დეკადაზე. იმ პერიოდში ათწლედში ბევრი უცხოელი მუსიკოსი მოდიოდა ბავშვების მოსასმენად. ყოველთვის ვუკრავდი. ავრეთვე იყვნენ მოსკოვიდან ჩამოსული პროფესორები: სტრახოვი, ბეზროდნი, გუზიკოვი. ისინი ყოველთვის დიდ შეფასებას აძლევდნენ ჩემს შესრულებას. მე კი ჩემი თავისადმი ვიყავი და ვარ უაღრესად კრიტიკული და მომთხოვნი. ეს იყო აღზრდის შედეგი. დედაჩემი რომ არა, ამდენს ვერ მივაღწევდი. იმის მიუხედავად, რომ დედაჩემს არ ჰქონდა მუსიკალური განათლება, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩემს მუსიკალურ განვითარებას. პირველ ხანებში კიდეც მეგონა, რომ დედამ იცოდა ვიოლინოზე დაკვრა. დედა გაკვეთილზე მოუმზადებელს არასოდეს არ მიმიყვანდა.

დიდი სიყვარულით უნდა მოვიგონო სავალდებულო

ფორტეპიანოს პედაგოგი თამარ რუსიშვილი – ედიშერ რუსიშვილის დედა. იგი ზედმიწევნით ინტელიგენტი ადამიანი იყო. მართალია, მე დიდად არ ვახარებდი ჩემი მეცადინეობით, რადგან ჩვენ სახლში არ გვქონდა ინსტრუმენტი. მეტი რა გზა ჰქონდა, მითმენდა. საერთოდ, „ნიჭიერთა ათწლედში“ სიკეთის და სიყვარულის გარეშე სუფევდა. საჩვენებელი კონცერტები იყო, როგორც დღესასწაული. ჩვენი დირექტორი – გივი სვანიძე იყო სიმბოლო „ნიჭიერთა ათწლედისა“. შურა თოდუა, ჩვენი

როდამ ჯანდიერი შალვა შანიძის გაკვეთილზე. კონცერტმაისტერი ალა ავეტისოვა. 1958

სოლფეჯიოს პედაგოგი — ისიც გადაყოლილი სკოლაზე. სკოლაში შედიოდით ვარდებით მოფენილი ბაღნარით. მეორე დირექტორი ათწლედისა – გივი ხატიაშვილი – დიდად საყვარელი პიროვნება იყო. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, მან მიმიწვია ათწლედში პედაგოგად. მახსენდება მზადება ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა I კონკურსისათვის. მომზადება მართლა იყო უზადო, რაც აისახა კონკურსზე. კონცერტმაისტერი იყო შესანიშნავი მუსიკოსი ელენე დვალი. იმდენად მაღალ დონეზე იყო მომზადება, რომ ერევნელი მევიოლინეები მეუბნებოდნენ: „Только Хейфец“.... III ტურზე, რომ მომისმინა ლ. აუერის ყოფილმა მოწაფემ, რომლის გვარიც არ ვიცი, ურჩია დედაჩემს, რომ სწავლა განმეგრძო დ. ოისტრახთან მოსკოვის კონსერვატორიაში. ჩემს პედაგოგს ეს არ მოეწონა. მიმაჩნია, რომ დიდი შეცდომა მოუვიდა. 1961 წლის ზამთარში მოსკოვში მიმდინარეობდა საკავშირო კონკურსი, სადაც ვიღებდი მონაწილეობას. სამწუხაროდ, ეს გამოსვლა წარუმატებელი იყო.

დ. ოისტრახმა მე, დედაჩემი, კონცერტმაისტერი და ჩემი პედაგოგი მიგვიწვია თავისთან სახლში, რათა მოესმინა ჩემთვის. მან დიდი გაკვირვება გამოთქვა კონკურსზე ასეთი შედეგის გამო. იგი ჩემგან მეტს მოელოდა. მას ჰქონდა შენიშვნები შანიძისადმი, რომელმაც არასწორად წარმართა კონკურსისათვის მოსამზადებელი პერიოდი. ამ წარუმატებელმა გამოსვლამ უარყოფითი დაღი დაასვა ჩემს მომავალს.

ამის შემდეგ კონსერვატორიაში სწავლა განვაგრძე პროფესორ ლ. შიუკაშვილთან. მართალია, დ. ოისტრახი მელოდა თავის კლასში, მაგრამ მატერიალური უქონლობის გამო იძულებული ვიყავი ჩამებარებინა თბილისის კონსერვატორიაში. კონსულტაციებს ვიღებდი დ. ოისტრახის ასისტენტთან, პროფესორ პ. ბონდარენკოსთან. ოისტრახსა და ბონდარენკოს ჩემს მასწავლებლებად მივიჩნევ.

მინდა გავიხსენო ჩემი კონსერვატორიის წლები ლეო შიუკაშვილის კლასში. ბორის ჭიაურელმა რომ გაიგო, ბატონ ლეოს კლასში ჩავირიცხე, მითხრა: — „ხედავ, რა ტუზი დაგეცა, ჯერ შოთასთან მიიღე მაგარი სკოლა და ახლა ლეოსთან – ამისთანა მუსიკოსთან ხარ“–ო და მართლაც, ამ ორმა პიროვნებამ ერთმანეთი შეავსო. რაც ერთს აკლდა, მეორეს ჰქონდა და ა.შ. კონსერვატორიაში შევისწავლე კონცერტები: ერნსტის, გლაზუნოვის, ბეთჰოვენის, ბრამსის, მოცარტის, პროკოფიევის №1, შოსტაკოვიჩის №1, აგრეთვე პაგანინის კაპრისები, მრავალი ვირტუოზული ნაწარმოები. გაკვეთილები იყო ძალიან საინტერესო. გაკვეთილზე ბატონი ლეო თხოულობდა უკვე ნამდვილ შესრულებას, ისე როგორც კონცერტზე შეასრულებდი. მან არ იცოდა წვრილმანებში ჩაძიება, იგი თხოულობდა, რომ დაცული ყოფილიყო მთლიანად ნაწარმოების ფორმა. ხშირად გაკვეთილზე შემოდიოდნენ მუსიკოსები მოსასმენად, რაც ძალიან მიყვარდა. შოთა შანიძესთან იგივე იყო ხოლმე.

ეს ორი პიროვნება რომ აღარ არის, ძალიან შეეტყო ჩვენს სავიოლიონო სკოლას.

უნდა შევჩერდე კონსერვატორიის მაშინდელ რექტორზე – ბატონ იონა ტუსკიაზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ბატონი იონას დამსახურებაა, რომ მივიღე მონაწილეობა ამიერკავკასიის I კონკურსში. ბაქოში გამგზავრების წინ ავად გავხდი. ბატონმა იონამ

სრულიად მოულოდნელად სახლში მომიყვანა ცნობილი ექიმი ნოდარ ყიფშიძე – (ამერიკიდან ახალი ჩამოსული), რომელმაც მომიტანა წამალი და რამდენიმე დღეში შევძელი გამგზავრება. მომიხდა 2 ტურის ერთად შესრულება. ვიყავი დაშვებული III ტურზე, რის შედეგადაც დავიმსახურე I პრემია (რომელსაც ხშირად შეცდომით მიაწერენ ლ. ისაკაძეს, მას ამ კონკურსში არ მიუღია მონაწილეობა).

ბატონი იონა იყო უაღრესად განსწავლული, მაღალი კულტურისა და ერუდიციის მქონე პიროვნება. ბაქოში ყოფნის დროს ერთ-ერთმა მოსკოველმა მუსიკოსმა მე და დედაჩემს გვითხრა: „რა ბედნიერები ხართ ქართველები, რომ ასეთი პიროვნება გყავთო.“ როგორც რექტორი, ხომ არაჩვეულებრივი იყო. არაჩვეულებრივად ესმოდა და იცოდა ყოველი მუსიკალური ნაწარმოები. ერთხელ, როდესაც მასთან მივედით მე და ჩემი და – დინარა, რომელიც მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა ფორტეპიანოზე და ამავე დროს წერდა პატარა პიესებს. ტუსკიამ მოისმინა ნაწარმოებები, ძალიან კმაყოფილი დარჩა, შეაქო და „миниатюрщица“ უწოდა. შემდეგ აიღო თავისი „ამატის“ ვიოლინო და ტემპში დაუკრა სენ-სანსის ცნობილი „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზოს” ბოლო გვერდი, რამაც ძალიან გაგვაოცა.

კონკურსიდან რომ დავბრუნდით, უკვე როგორც ლაურეატებს – მე და პარის დიმიტრიადის გვქონდა კონცერტი რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. პარისს დიდი წარმატება ხვდა, მავრამ ჩემდა გასაკვირად, ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. როდესაც ვკითხე მიზეზი, მან მომიგო, - „დარბაზში იყო ბატონი იონა. მან ხომ ყველაფერი ზედმიწევნით იცისო და მე რაღაცა ადგილი ისე არ შევასრულე, როგორც საჭიროაო.“ მე კიდევ ვამშვიდებდი – მშვენივრად დაუკარი-მეთქი. „არა, აი, ნახე, რომ შემოვა რას მეტყვის“-ო. მე ძალიან დავინტერესდი. ბატონი იონა, რომ შემოვიდა, მოგვილოცა ორივეს, მერე მიუბრუნდა პარისს და ეუბნება: „Молодой человек, что-то не так прозвучало, как на конкурсе, видно от усталости?“. . . პარისი მომიბრუნდა და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა.

ბატონმა იონამ მშვენივრად იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისურიც. როდესაც ვაბარებდი კონსერვატორიაში, იმ წელს უკვე უცხო ენაც ბარდებოდა. იგი ესწრებოდა ყველა გამოცდას. მე, რა თქმა უნდა, ინგლისური არ ვიცოდი, და როდესაც ბატონი იონა დავინახე, ძალიან შემეშინდა, არ მინდოდა შევრცხვენილიყავი, რადგანაც იგი ესწრებოდა სპეციალობის გამოცდას, სადაც ძალიან გავახარე. ჩემი გამოკითხვის დრო რომ მოვიდა, ბატონი იონა დამიჯდა გვერდზე და დამიწყო გამოკითხვა. მაშინ შეფასების 5 ქულიანი სისტემა იყო. ბატონი იონა მეუბნება: „როდამ, შენ 5-ზე ხომ არ იცი და არა, 4-ზეც არ იციო.“

სხედან: შოთა შანიძე და კონცერტმაისტერი ალა ავეტისოვა კონცერტის შემდეგ. 1958წ. დგანან: ნათელა ჩხუბიანიშვილი, მარკ შმუკლერი, თამაზ გათიაშვილი და როდამ ჯანდიერი

იონა ტუსკიას ბრძანებით ჩავირიცხე პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასში. დამინიშნეს ზ. ფალიაშვილის სახელობის სტიპენდია. განთავისუფლებული ვიყავი ლექციებიდან. შექმნილი მქონდა ყველა პირობა მეცადინეობისათვის.

დაიწყო სწავლა. ბატონი იონა უკვე აღარ იყო რექტორი. იგი დიდად დააკლდა კონსერვატორიას. გაიმართა ჩვეულებრივი აკადემიური კონცერტი. მე უნდა დამეკრა ტარტინის ცნობილი სონატა „მიტოვებული დიდონა“, რომლის ჩანაწერიც შემდეგ გავაკეთეთ მე და ელენე ძამაშვილმა რადიოში. სცენაზე რომ გამოვედი, იმავდროულად გაიღო დარბაზის კარები და შემოვიდა

ბატონი იონა სპეციალურად ჩემს მოსასმენად. ახლაც რომ ვიგონებ, ცრემლებით მევსება თვალები. შემოდგომაზე იგი გაემგზავრა პარიზში, სთქვა – „ისე არ მოვკვდები, რომ პარიზი არ ვიხილოო“ და მართლაც გარდაიცვალა პარიზში.

ჩვენი ოჯახისათვის ეს იყო თავზარდამცემი ამბავი.

1960წ. ამიერკავკასიის I კონკურსი. დგანან: ძეთევან შანიძე (შ. შანიძის მეუღლე), როდამ ჯანდიერი, შოთა შანიძე; სხედან: ელენე ჯანდიერი (როდამის დედა) და ბაქოს კონსერვატორიის პედაგოგი სარა მუსტაფაევა

ბატონი იონა რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართებოდა.

კონსერვარტორიის სწავლის პერიოდში მყავდა ისეთი არაჩვეულებრივი პედაგოგები, როგორიც იყვნენ: კვარტეტის კლასში ბ. ჭიაურელი, კამერული ანსამბლის კლასში გ. ბარნაბიშვილი, საერთო ფორტეპიანოს განხრით ლ. თავაძე, ფორმის ანალიზში მ. ყანჩელი. ისინი ჩემთვის დაუვიწყარნი არიან.

ჯერ რამდენად დასაფასებელია, რომ სახელწიფო კვარტეტში ორი მუსიკოსი შ. შანიძის კლასში არის გამოზრდილი – თამაზ ბათიაშვილი და ნოდარ ჟვანია. მეორეც, მაშინდელი სიმფონიური ორკესტრები მეტწილად დაკომპლექტებული იყო შ. შანიძის მოწაფეებისაგან: დ. რეიზნერი, ვ. პაცევიჩი, ბ. გალკინი და უამრავი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მისი მოწაფეებიდან ბევრი მათგანი აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ბევრიც ორკესტრის მუსიკოსია. შ. შანიძის სახ. სკოლის დირექტორია ა. ლაფერაშვილი, მარკ შმუკლერი აშშ-ში მოღვაწეობს, ნ. ჩხუბიანიშვილი გერმანიაში, გ. მაღრაძე კამერულ ორკესტრში, ჭ. ნიჟარაძე პედაგოგია, მ. ქანთარია სახ. კონსერვატორიის პედაგოგი – პროფესორია, ნ. ჟვანია ნიჭიერთა ათწლედის დირექტორი, ავრეთვე კონსერვატორიის პროფესორი და კვარტეტის ალტისტია, ა. შანიძე, რომელმაც დაამთავრა საკომპოზიტორო, ასწავლის კომპოზიციას „ნიჭიერთა ათწლედში“, დირიჟორები გახდნენ ი. ჭიაურელი, მ. დოლიძე, მ. მამარდაშვილი კონსერვატორიაში მოღვაწეობს, მამა-შვილი ქაცარავები მოღვაწეობენ მექსიკაში, ბ. ნიკიტენკოც საზღვარგარეთ არის. მისი სტუდენტი იყო უნიჭიერესი მევიოლინე არჩილ ნადირაშვილი, რომელმაც ერთ კვირაში ისწავლა ბრამსის სავიოლინო კონცერტი, ავრეთვე პარალელურად გადიოდა კომპოზიციას ა. ბალანჩივაძესთან. მან შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში. კარგად მახსოვს მისი პრწყინვალე კონცერტი თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში. სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, შ. შანიძე

ძმები შანიძეების კვარტეტი. სხედან: კოტე (ჩელო), შოთა (II ვიოლინო); დგანან: სერგო (I ვიოლინო), ვახტანგი (ალტი).

დაჯილდოებული იყო შემოქმედებითი ნიჭით. 1952 წელს მან გამოსცა საბავშვო პიესების კრებული ვიოლინოსათვის, ავრეთვე მევიოლინეთა ანსამბლისათვის ტრანსკრიპციები. აღსანიშნავია მისი ფანტაზია ზ. ფალიაშვილის ოპერების თემებზე. ბატონმა შოთამ გამოიგონა სპეციალური ბალიში ვიოლინოსათვის. ტექნიკური ნიჭიც ჰქონდა – თვითონ ააწყო ნაწილებისაგან მაგნიტოფონი. სამწუხაროდ, მისი მოღვაწეობა არ არის სათანადოდ დაფასებული.

ასეთი საინტერესო და ღვაწლმოსილი პიროვნებები დავიწყებას არ უნდა მიეცნენ...

ფშაური სასიმღერო ფოლკლორი პროფესიულ საგუნდო მუსიკაში

მასთან დაკავშირებული თავისებურებანი და ნოვაციები

შიო აბრახამია

ფშაურმა ფოლკლორმა დიდი როლი ითამაშა ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში. მრავალი ნოვატორული ტენდენცია სწორედ მის შემოქმედებით გამოყენებასთანაა დაკავშირებული. ამის დასტურია შალვა მშველიძის, ბის (ტრადიციული და პროფესიული) გენიალური შეთავსებით ნიკო სულხანიშვილმა ჩამოაყალიბა ორიგინალური საკომპოზიტორო სტილი და ეროვნული საშემსრულებლო მანერა, რომელიც აკადემიური და ხალხური მღერის სინთეზს წარმოადგენს. სწორედ მის

ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ნასიძის, თემურ ბაკურაძის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. უაღრესად საინტერესოდ აირეკლა მისი ელემენტები თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო კომპოზიტორის _ იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებაში.

სპეციფიკურია ფშაური ხალხური შემსრულებლობა, მანერა, რაც ასევე საინტერესო შემოქმედებით იმპულსებს აძლევს კომპოზიტორებს. მართალია, ზოგადად მათი შემოქმედების ირგვლივ არსებობს სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაც, საშემსრულებლო კუთხით ისინი თითქმის არ არის განხილული. ამავე დროს, ფშაური ფოლკლორით შთაგონებული საგუნდო ნაწარმოების სრულყოფილი შესრულება შეუძლებელია ხალხური ტრადიციული მანერის გათვალისწინების გარეშე. წინამდებარე წერილი კი უპირველესად სწორედ ამ კუთხით განხილვას ისახავს მიზნად.

ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკა ტრადიციული მუსიკალური კულტურის საფუძვლებზე შეიქმნა. იგი უშუალო კავშირშია ჩვენს ხალხურ და სასულიერო მუსიკასთან. პირველი ქმნილებები ამ ჟანრში – სულხანიშვილის გუნდების სახით, ამის გენიალური მაგალითია. განსხვავებული სააზროვნო კატეგორიე-

საგუნდო ნაწარმოებში გამოჩნდა პირველად აღმოსავლეთ საქართველოს მთის თემატიკა („სამშობლო ხევსურისა“).

ფშაური კილოს პროფესიულ მუსიკაში დამამკვიდრებლად კი შალვა მშველიძე გვევლინება. მისი საგუნდო პოემა „ფშაურიც“ (1934) ამ ტენდენციის პირველი შესანიშნავი მაგალითია. მოგვიანებით ფშაურ დიალექტს ეხება იოსებ კეჭაყმაძე საგუნდო ციკლში „ფშაური იდილიები“. კომპოზიტორი ახლებურად იაზრებს მას, იმ პერიოდის თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის საშუალებათა გამოყენებით ქმნის ქართული პროფესიული მუსიკის ახალ სტილურ შრეს.

სწორედ აქედან მოყოლებული საგუნდო მუსიკაში იზრდება ინტერესი ფშაური ფოლკლორის მიმართ, რასაც მოჰყვა იაკობ ბობოხიძის საგუნდო მინიატიურების ციკლი „საქართველოს სურათები“, ჯემალ ბეგლარიშვილის აკაპელების ციკლი „არაგვის გასწვრივ“ და სხვა მრავალი. 70 -იანი წლებიდან კი მეტი და მეტი კომპოზიტორები მიმართავენ აკეპელა ჟანრს.

საკვლევი მასალა ამ კუთხით მრავლადაა, თუმცა მინდა გამოვყო სწორედ ის ქმნილებები, რომლებიც ამ მიმართულებით საეტაპო მნიშვნელობისაა: შალვა მშველიძის „ფშაური“, სადაც პირველად მოხდა ფშა-

ური ფოლკლორის გამოყენება და იოსებ კეჭაყმაძის „ფშაური იდილიები“, როგორც ახლებური გააზრება სტილისა. გარდა ამისა, მხატვრული მნიშვნელობით ისინი დღესაც საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ საკუთრივ საგუნდო მუსიკის ჟანრში.

ამრიგად, ქართულ პროფესიულ მუსიკაში ფშაური დიალექტის შემოღება მშველიძის სახელს უკავშირდება. მისი „ფშაური“ ერთგვარი საგუნდო პოემაა შექმნილი შერეული გუნდის, სოლისტისა და ფორტეპიანოსათვის. მის სიტყვიერ ტექსტს არ გააჩნია რაიმე თანმიმდევრული და შინაარსობრივი განვითარება, პოემისთვის დამახასიათებელი „სიუჟეტური“ განვითარება სწორედ მის მუსიკაშია.

ნაწარმოები აგებულია ორ, ძირეულად განსხვავებულ ხალხურ სიმღერაზე — „ჯვარი წინასა“ და „ქალო, ქართულს“. ნაწარმოების დეტალურად შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ეს არის კომპოზიტორის მიდგომა სიმღერის ტექსტისადმი და მის პირველწყაროში შეტანილი ცვლილებები; საფორტეპიანო თანხლების თავისებურებანი და ხალხური მუსიკალური პირველწყაროების შერჩევა.

საინტერესოა კომპოზიტორის მიდგომა იმ ხალხური სიმღერებისადმი, რომელთაც „ფშაურში“ იყენებს. ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ მშველიძემ თითქმის უცვლელად გამოიყენა დიმიტრი არაყიშვილის მიერ მთიულეთში ჩაწერილი საქორწილო „ჯვარის წინასა“ და მას „ფშაური“ დაარქვა (ამავე დროს თავად მშველიძეს ექსპედიციებში ჩაწერილი აქვს ფშაური „ჯვარი წინასას“ 2 ნიმუში.)

აქვე მნიშვნელოვანია კომპოზიტორის იმდროინდელი, საბჭოთა ცენზურის გათვალისწინებით ორივე სიმღერის ტექსტში შეტანილი ცვლილებები. პირველ სიმღერაში — „ჯვარი წინასა“ მშველიძემ ამოავდო თანხმოვანი „ვ“, ამ ერთმა ბგერამ კი ძირეულად შეცვალა სიმღერის თემატიკა და განსაზღვრა სტილი მთელი ნაწარმოებისა. თუ „ჯვარის წინასა“ ტრადიციულად დაკავშირებულია ჯვრის კულტთან და სრულდება როგორც ქორწილებში, ისე რიტუალურ ფერხულებში, მშველიძის შეტანილი კორექტივით კი „ჯარის წინასა“ მიეკუთნა ლაშქრულ საბრძოლო სიმღერას. ეს გახდა სავარაუდო მიზეზი დასახელებული მთელი პრობლემების წამოჭრისა. ამ შემთხვევაში თანხლებას, რომელიც დღემდე სრულიად ზედმეტი ეჩვენება მავანთ, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში იმეორებს გუნდის აკორდებს — მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს კომპოზიტორი. იგი მონუმენტურობას სძენს მას, როგორც საგუნდო პოემას და ლაშქრული საწყისის ხაზგასმით მკაცრი დინების ერთ მთლიან ყალიბში აქცევს. სწორედ საბრძოლო ხასიათის გასამყარებლად და რიტმის ძირითად მაორგანიზებლად მთავარი დატვირთვა საფორტეპიანო თანხლებას ენიჭება.

აქვე, ამ საერთო ხასიათიდან გამომდინარე, ვაწყდებით სავარაუდო გასაღებს იმისა, თუ რატომ შეაჩერა მშველიძემ არჩევანი მთიულურ მელოდიაზე, რომელიც მის მიერ ფშავში ჩაწერილი „ჯვარის წინასასგან“ განსხვავებით თავისუფალია ლირიზმისა და მელიზმატური შელამაზებებისგან. იგი მკაფიოდ გამოკვეთილ მელოდიურ და რიტმულ ნახაზს შეიცავს.

ანალოგიური ცვლილებაა ნაწარმოების მეორე ნაწილის ტექსტშიც. ძიების შედეგად დასტურდება, რომ მსგავსი ცვლილება ხალხურ ლექსში განიცადა ერთმა სიტყვამ, სადაც ვაჟი ქალს „საღამოზედ“ უხმობს საწაწლოდ, ხოლო მშველიძემ საღამო ჩაანაცვლა შაირით: „შენი თავი გამოგზავნოს საშაიროდ ჩემთანაო“...

მშველიძე ნაწარმოებში მიმართავს თითქმის სრულ ციტირებას ხალხური სიმღერებისა, თუმცა ორიგინალური ხერხებით ახდენს მათ განვითარება-გარდაქმნას. აღსანიშნავია, რომ ავტორის ორიგინალური ჰანგიც, ფშაური სასიმღერო ფოლკლორის მახასიათებლის მსგავსად, ხასიათდება დაღმავალი მოძრაობით და სრულდება კილოს საყრდენ ბგერაზე. ასევე, ტრადიციული ბურდონის პრინციპი შენარჩუნებულია თანხლების ოქტავური უნისონებით.

არქაულობის ელემენტს ვაწყდებით I ნაწილში, სადაც მოცემულია ოსტინატური-განმეორებადი საქცევი, რომლის ამოსავალი წერტილია ერთი ტაქტი. იგი მეორდება 6 ტაქტის მანძილზე მინიმალური სახეცვლილებით. ეს მონაკვეთი ხასიათდება კილოს მოდალური თვისებებით, სადაც ორიენტაცია აღებულია ბგერათრიგზე.

ცხადია, საგუნდო პოემა „ფშაური“ მთლიანად ეყრდნობა ხალხურ ტრადიციებს ყველა მახასიათებლით —

მელოდიით, მეტრ-რიტმით, ინტონაციით. შესაბამისად ჰანგების მრავალფეროვანი განვითარების მიუხედავად მშველიძესთან შენარჩუნებულია ის ძირეული საშემსრულებლო მანერა, რომელიც ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ნიკო სულხანიშვილის აკაპელის შესრულებით მკვიდრდება — ხალასი, თავისუფალი მანერა, ახლოს მდგარი ეროვნულ საშემსრულებლო ტრადიციებთან. მანერის ამგავრი ფორმირების საფუძველს იძლევა ფოლკლორული საწყისი მთელს მუსიკაში, რომელიც კლასიკური აზროვნების მიუხედავად, მუსიკის მთავარი მაორგანიზებელი ძალაა...

ფშაურ დიალექტს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ ნოვატორულად უდგება იოსებ კეჭაყმაძე. 70-იანი წლებიდან კეჭაყმაძის გამოჩენით იწყება ახალი ეტაპი ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში. გადაჭარბების გარეშე — იგი ფურორით შემოვიდა ქართულ კლასიკურ მუსიკაში ერთი კონკრეტული ჟანრით და მოახდინა სრული გადატრიალება საგუნდო მუსიკის სფეროში, სადაც ახალი და განუმეორებელი სიტყვა თქვა.

ი. კეჭაყმაძის ინდივიდუალური საკომპოზიტორო სტილი პირველად სწორედ ამ თემატიკაზე შექმნილ საგუნდო ციკლ — „ფშაური იდილიებში“ გამოვლინდა (1972). აქ უპირველესად აღსანიშნავია ეროვნული მუსიკალური ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის ტრადიციების ორგანული სინთეზი.

ციკლი აერთიანებს 4 აკაპელას — „რომ ავყოლოდი გულისთქმას“, „ყველაფერ ტყუილ ყოფილა“, „ლაშარის გზაზე“ და „რატომ შეშალე ბილიკი“ — ანა კალანდაძის ლექსებზე. ოთხივე მათგანი თავისი შინაგანი სიღრმით წარმოგვიდგება, როგორც საგუნდო მონოლოგი და გადმოგვცემს გმირის ერთმანეთისგან განსხვავებულ სულიერ განცდებს — ოცნებით, სევდით, შემართებით და ტკივილით სავსეს. ამ განსხვავებული შრეების გადმოსაცემად კომპოზიტორს დამახასიათებელი ინტონაციური კომპლექსი აქვს შერჩეული და სწორედ მათი ვოკალით გადმოცემაშია კომპოზიტორის გენიალობა. ამასთან ერთად ფშავის მკაცრი ბუნების ასახვა ხდება საინტერესო და შთამბეჭდავი სონორულ-ტემბრული ეფექტებით (შრიალის იმიტაცია, სისინი, ჩურჩული, ყრუ შეძახილები). ეს იყო პირველი

ზალვა მშველიძე

პრეცენდენტი ამ ჟანრში, რომელიც ჰარმონიულად შეერწყა ქართული ეროვნული მუსიკის საწყისებს. საგუნდო ხმათა საინტერესო დაშრევებით, არტიკულაციის მრავალფეროვნებითა და ინტონაციური ფერების სიმრავლით გუნდში მიღწეულ იქნა საორკესტრო ჟღერადობა.

ქალის მეოცნებე ბუნებიდან გამომდინარე ლირიზმით ხასიათდება „რომ ავყოლოდი გულისთქმას“. ეს ლირიზმი დრამატიზმს განიცდის მომდევნო გუნდში — „ყველაფერ ტყუილ ყოფილა“. რადიკალურად განსხვავებული ბგერწერით ხასიათდება „ლაშარის გზაზე“, რომელიც გასაოცარი ვოკალური ეფექტებით პირდაპირ „ხატავს“ ფშავის მთიანი ბუნების ამსახველ ტილოს. იგი მიუხედავად სიდიდისა, ერთ სუნთქვაზე და ერთგვარი მოტორული ფიგურაციების მუდმივ მონაცვლეობაზეა აგებული.

დასკვნითი ნომერი, „რატომ შეშალე ბილიკი“, გამოკვეთილია მასშტაბურობით. შეიძლება ითქვას, რომ იგი საგუნდო სიმფონიაა თავისი განვითარების პრინციპით. ეს არის მთელი ციკლის დრამატურგიული კულმინაცია, სადაც დასაწყისში მოცემული თემა განიცდის მასშტაბურ განვითარებას სავსე, ინსტრუმენტული ჟღერადობის მქონე ჰარმონიის ფონზე, რასაც მივყავართ თავბრუდამხვევ, ქაოტურ ჟღერადობამდე.

იოსებ კეჭაყმაძე

ამ ნაწილში ქართული ვოკალური მუსიკის ისტორიაში პირველად ვხვდებით ხმათა უპრეცენდენტო რაოდენობას. საგუნდო პარტიათა დივიზით — ვერტიკალში მოცემულია 12 ხმა.

საერთო ხმოვანების გარდა მშველიძის „ფშაურისგან“ განსხვავებით კეჭაყმაძესთან ყველა ჰანგი ორიგინალურია და არასდროს ახდენს ხალხური თემის ციტირებას. ამ შემთხვევაში უკვე ბუნებრივად შეიცვალა საშემსრულებლო სტილი. უარყოფილია ხალხური მანერა, თუმცა ვხვდებით მომენტებს, სადაც კონკრეტული განწყობის გადმოსაცემად, თუ ბუნების ხმების მისაბაძად, აუცილებელია ღია, მჭახე ბგერა, რეჩიტაციები, ხმოვანი ბგერების გლისანდირებული, ე.წ. „ზარმაცი“ გამოთქმები, დახურული ბგერა (მორჩანდო), და მათ გვერდით აკადემიური მომრგვალებული მანერა. სწორედ ამ ციკლშია თავმოყრილი ახალი ქართული მუსიკის საშემსრულებლო სტილების მთელი შრე.

საყურადღებოა, რომ იმ დროის ქართული მუსიკისთვის ეს მეტად უცხო სიახლეები ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ტრადიციულ აზროვნებაში. კეჭაყმაძის ყველა ორიგინალური ჰანგი მთელ ციკლში ხასიათდება მოდალური კილოს თვისებებით, მელოდია დაღმავალი მიმართულებისაა და ახლოს დგას ფშაურ ხალხურ სიმღერებთან.

ხალხურობა კეჭაყმაძესთან ორიგინალურისა და ტრადიციული ელემენტების სინთეზშია, ვინაიდან ტრადიციული საშემსრულებლო სტილი მოაქცია საკუთარ მრავალხმიან სააზროვნო კატეგორიაში, ამავდროულად კი შეინარჩუნა ტიპური ფშაური თვითმყოფადობა ორიგინალური მელოდიის ინტონაციით, მეტრ-რიტმული ფაქტურით და სონორულ-ტემბრული ეფექტებით.

20 მაისს, ლონდონის ალბერტ-ჰოლის დარბაზში, "BBC Promen-Art"-ის ფესტივალის ფარგლებში, იუნესკოს ეგიდით, გაიმართა კონცერტი „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის" ვალერი გერგიევის დირიჟორობით.

„მსოფლიო ორკესტრის" ყველა კონცერტი რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ეძღვნება. ამჯერად ის მიეძღვნა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს — პირველი მსოფლიო ომის დასაწყისის 100 წლისთავს. შესრულდა ბრიტანელი კომპოზიტორის როქსანა პანუფნიკის „სამი გზა მშვიდობისაკენ", სიმფონიური ფანტაზია რიხარდ შტრაუსის ოპერის „ქალი ჩრდილის გარეშე" თემებზე და გუსტავ მალერის VI სიმფონია, რომელიც დაიწერა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ათი წლით ადრე.

„მსოფლიო ორკესტრი" XX საუკუნის გამოჩენილმა დირიჟორმა გეორგ შოლტიმ 1995 წელს დააფუძნა. მას უნდოდა კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა მუსიკის, როგორც მსოფლიო მშვიდობის დესპანის, უნიკალური ძალა. მასში გაერთიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ორკესტრების წამყვანი მუსიკოსები, რომლებიც ასეთი განსაკუთრებული შემთხვევებისთვის იკრიბებიან.

უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოს ამ ორკესტრში ჰყავს თავისი წარმომადგენელი — მევიოლინე ლელა მჭედლიძე, რომელიც ამჟამად არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის მთავარი კონცერტმაისტერი და დირიჟორის ასისტენტი, ტრიო Sempre წევრი, მანამდე იყო ავრეთვე საფორტეპიანო ტრიო "Per Te"-ს წევრი. ლელა მჭედლიძე სხვადასხვა წლებში იყო კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს", ევგ. მიქელაძის სახ. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტმაისტერი.

ჩვენ გავესაუბრეთ „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის" ქართველ წარმომადგენელს:

„მსოფლიო ორკესტრის" ქართველი წარმომადგენელი

ლელა მჭედლიძე — ძალიან ვამაყობ იმით, რომ 2003 წლიდან ჩართული ვარ შესანიშნავ პროექტში „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის", რომელიც გასულ საუკუნეში ჩამოაყალიბა უდიდესმა დირიჟორმა გეორგ შოლტიმ. ორკესტრი მონაწილეობას იღებს ყველა მნიშვნელოვან ფესტივალში, გამოდის გაეროსა და იუნესკოს ეგიდით, მას მეურვეობას უწევს და ბუკინგემის სასახლე.

ამ ორკესტრში მოვხვდი მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერი ვიყავი. კონცერტზე, რამდენადაც მახსოვს, ვასრულებდით მალერს და მქონდა ბევრი სოლო. კონცერტს ესწრებოდა „მსოფლიო ორკესტრის" მენეჯერი ჩარლზ ქეი, რომელიც 30 წლის განმავლობაში იყო გეორგ შოლტის მენეჯერი, იმპრესარიო. მან ბ-ნ ვახტანგ მაჭავარიანს უთხრა: „მე ეს გოგონა, როგორც საქართველოს წარმომადგენელი, მინდა მივიპატიჟო მსოფლიო ორკესტრში"-ო. პირველად პეტერბურგის 300 წლის იუბილეში და მოსკოვის სააღდგომო ფესტივალში მივიღე მონაწილეობა, როგორც საქართველოს

ლელა გჯედლიძე

წარმომადგენელმა. მას შემდეგ თითქმის ყველა ცნობილი ფესტივალის მონაწილე ვარ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ.

ორკესტრში საქართველოდან ერთი წარმომადგენელია, მაგრამ დიდი ქვეყნებიდან, სადაც ბევრი ორკესტრია, მაგალითად, ინგლისი, რუსეთი და სხვ., შეიძლება იყოს 2–3. ე.წ. სათავო ოფისი არის ლონდონში, მაგრამ კონცერტები გვაქვს მთელს მსოფლიოში და ჩემთვის თუკი რამ საოცნებო დარბაზი არსებობდა, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა ამ

ორკესტრში, ყველგან დავუკარი, დაწყებული კარნეგი-ჰოლით და დამთავრებული ჩიკაგოს სიმფონიური დარბაზით, პეკინის კულტურის სასახლით და ბერლინის ფილარმონიის დიდი დარბაზით და სხვ.

20 ივლისს ჩვენ ვმონაწილეობდით BBC-ს ცნობილ ფესტივალში – "BBC Promen-Art"-ზე. გეორგ შოლტის გარდაცვალების შემდეგ გერგიევმა ითავა ამ ორკესტრის ხელმძღვანელობ. უკვე მეოთხედ გამოვედი ამ ფესტივალში და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი ამ შესანიშნავ ორკესტრში მონაწილეობისა.

ვლადიმერ კურტიდი... *ეს გვარ-სახელი ცნობილია ყველა ქართველისათვის, ვისაც მუსიკალურ ხელოვნებასთან ჰქონია შეხება, უპირველესად იმიტომ, რომ მან არაერთი ღირსშესანიშნავი საფორტეპიანო, ავრეთვე კამერულ-ინსტრუნტული ნაწარმოები მიუძღვნა ბავშვებს. მისი ნაწარმოებები ყღერდა საკონცერტო ესტრადაზე, იდგმებოდა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში. იგი პირველი ქართული ოპერეტის („ხაჯარათი“) ავტორია. ვლადიმერ კურტიდის (მას დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდა) დიდი სიყვარულით იგონებენ, როგორც გარეგნული და შინაგანი მომხიბლაობით აღსავსე ადამიანს. განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ იმის გამო, რომ საქართველოში მცხოვრებმა გენეტიკურად ბერძენმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ქმნილებების დამუშავებაში, პროფესიული მუსიკის ქართული ფოლკლორული მარგალიტებით გამდიდრებაში.*

აჟღერებული სიკეთე

ნოდარ მამისაშვილი

მრავლის მთქმელია დიდი მუსიკა, ზოგჯერ მრისხანე, ზოგჯერ ავხორცი, ზოგჯერ „ხიროსიმა“, „ცუნამი“ LACRIMOSA, პასტორალი... მუდამ ამაღლებული ..... და მაინც არის კიდევ შემოქმედება, რომელსაც ხელოვნებაში თავისი, მოკრძალებული ადგილი აქვს და საოცრად ძვირფასია, რადგან გულწრფელობა და სიკეთე მისი განუყრელი ხიბლია, ამიტომ იყო, რომ დიდი ხნის წინ ვლადიმირ კურტიდის მუსიკას „აჟღერებული სიკეთე“ ვუწოდე, სწორედ ამ სიკეთემ გადამაშლევინა მონატრების სამი ფურცელი.

ეპიზოდი პირველი

ჯერ კიდევ კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტმა ჩამოვაყალიბე ავანგარდული მუსიკის სექცია და კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში მქონდა ლექციები უახლესი მუსიკის შესახებ. მაშინ მას უწოდეს „მუსიკალური პარასკევები“.

როცა კომპოზიტორთა კავშირის წევრი გავხდი (ალბათ ჩემი სალექციო აქტივობის გამო), დამნიშნეს საბავშვო სექციის თავმჯდომარედ, ხოლო მოადგილედ შემირჩიეს ბატონი ვალიდიმირ კურტიდი.

მე თავმჯდომარეობაზე უარი განვაცხადე. მიმაჩნდა, რომ ისეთი გამოცდილი მოღვაწე, როგორიც გახლდათ ბ-ნი ვლადიმირი, უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე, მე კი — მოადგილე, რადგან, როგორც ახალგაზრდა, მისგან შემოქმედებითი ურთიერთობის სფეროში კარგ გამოცდილებას მივიღებდი. საბედნიეროდ, ბ-ნი ანდრია ბალანჩივაძე დამთანხმდა და გრიფით — „სრულიად საიდუმლო“, ეს შენაცვლება შედგა.

ასე მოვხვდით ერთ სექციაში „ტრადიციონალისტი“ კურტიდი და „ავანგარდისტი“ მამისაშვილი, ასე დაიწყო ჩვენი პირველი მეგობრობა. სექციებზე მუდამ მხიბლავდა მისგან გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. მე მათ „კეთილი კრიტიკა“ ვუწოდე. რა ვიცოდი მაშინ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ ერთ „სიურპრიზს“ მიმზადებდა.

ერთხელ ორმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა, ბ-ნ ვლადიმირს ცხარე კამათი გაუმართა. ისინი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და ქმნიდნენ კონფლიქტურ

ვლადიმერ კურტიდი

სიტუაციას. ბ-ნი ვლადიმირის წყნარმა პოზიციამ, სიკეთით გამთბარმა სასაუბრო ტონმა აგრესია განმუხტა — „კეთილმან სძლია ბოროტსა“. ახალგაზრდები დამშვიდდნენ.

ჩუმად ვუთხარი, რომ ეს იყო მშვიდობის გაკვეთილი. მან ხელი გადამხვია და მიპასუხა: „ეგ ხომ შენ პირველი დღიდანვე გინდოდაო!“ და დასძინა: „გგონია საქართველოში შეიძლება არსებობდეს გრიფი: „სრულიად საიდუმლო“? თურმე, ნუ იტყვით, თავიდანვე სცოდნია და „საჭირო დრომდე“ არ გათქვა, შემოინახა.

ეპიზოდი მეორე

ერთმა კომპოზიტორმა, ერთხელ საკმაოდ მოურიდებლად გააკრიტიკა ბ-ნი ვლადიმირის თხზულება. მე „კრიტიკოსი“ დავიმარტოხელე და მკაცრად ვუსაყვედურე. ავუხსენი, რომ მიუღებელია უხეში კრიტიკა, რომ თხზულების გარჩევისა და შეფასების ფორმა კულტურის ნაწილია, რომ....

მოულოდნელად სამდივნოს გვერდით ოთახის კარი გაიღო და იქიდან გამოიხედა ბ-მა ვლადიმირმა. გაბრაზებული რომ მნახა, ლექსად მითხრა „სხვისა სხვამან უკეთ იცის“-ო და ჩემი კრიტიკით დაბნეულ კომპოზიტორს ალბათ მისი ღიმილით წაკითხული „სხვისა სხვამან უკეთ იცის“ უფრო დაამახსოვრდა, ვიდრე ჩემი მკაცრი საყვედური.

ალბათ მის მუსიკაშიც იმიტომ ჟღერს სიკეთე და მისი საბავშვო თხზულებებიც იმიტომ გამოირჩევიან უშუალობით და უბრალოებით.

ეპიზოდი მესამე

მოსკოვში სრულდებოდა ვლადიმირ კურტიდის კონცერტი ფორტეპიანოსათვის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. შემსრულებლები იყვნენ: დირიჟორი პ. არანოვიჩი და პატარა პიანისტი გოგონა (მგონი ნატაშა ერქვა).

როცა გოგონა გაგვეცნო და ორკესტრის ჯგუფურ რეპეტიციას დაესწრო, ბ-მა ვლადიმირმა შეწუხებულმა მითხრა: — „რა საცოდავად დაიზლაზნება, ეგეთი მიმკვდარებული ჩემს კონცერტს პანაშვიდს დაამგსგავსებსო“. მე დავაწყნარე: — „თქვენი მუსიკა ამ კაბა-ფარფლებიანს ცეცხლს წაუკიდებს“-მეთქი.

კონცერტზე, მართლაც მოხდა საოცარი გარდასახვა. პიანისტურმა არტისტიზმმა და საშემსრულებლო ჟინმა სასწაული მოახდინა — გოგონა კონცერტს დიდი ტემპერამენტით ასრულებდა და ლამის დირიჟორსაც კი კარნახობდა ტემპურ ცვლილებებს, აქცენტებს, დინამიკას.

ვლადიმირი გაბრწყინებული ისმენდა. მერე ჩემთან მოვიდა და ჩამჩურჩულა: „იცი, თუ ჩემს მუსიკას შეუძლია ამისთანა მიკნავებულს ცეცხლი შეუნთოს, არც ისე ურიგო ყოფილაო“. თან დასძინა: „ოღონდ, ხომ იცი, უნდა გახსოვდეს გრიფი: „სრულიად საიდუმლო“. მეც ეს საიდუმლო შევუნახე და „მონატრებაში“ მაინც გავიხსენე, რადგან „საქართველოში არ არსებობს გრიფი: „სრულიად საიდუმლო“. ■

SOS!

ოთხი ახალი ქართული ოპერა?!

მგზია ჯაფარიძე

ყველას კარგად მოგეხსენებათ რამდენი პრობლემაა დაგროვილი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, გნებავთ განათლების, გნებავთ სახელმძღვანელოების, გნებავთ საცნობარო ლიტერატურის სფეროში. ძალზე ცოტა რამ გაგვაჩნია ქართულ ენაზე, ახალგაზრდობამ ინგლისური ისე კარგად არ იცის, რომ ამ ენაზე გაეცნოს სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურას, რუსული თითქმის აღარავინ იცის... დღეს, როდესაც კომპიუტერი ინფორმაციის მოპოვების უპირველესი საშუალებაა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის, რას ვნახულობთ, მაგალითად, ქართულ პროფესიულ მუსიკაზე, ქართველი კომპოზიტორების შესახებ? თითქმის არაფერს! ცოტა ხნის წინ youtub-ზე ვეძებდი შალვა მშველიძის „ზვიადაურის“ ჩანაწერს, რა თქმა უნდა, ვერ ვიპოვე. ასეთ დროს შემყავს ხოლმე ინფორმაცია რუსულად, იმიტომ რომ, დიდი ალბათობით, თქვენ წარმოიდგინეთ რუსულად მეტს მოიძიებთ, მაგალითად, შალვა მშველიძის ბიოგრაფიასა და „ზვიადაურის“ ჩანაწერს. სხვათა შორის, არცთუ უფასოდ (?!). და აი, რას ვკითხულობთ მშველიძის ბიოგრაფიაში? «Место рождения - город Тифлис - Российская империя. Дата смерти - 1984.Тбилиси, Грузинская ССР, Страна - СССР». კი ბატონო, 1904 წელს საქართველო რუსეთის იმპერიაში შედიოდა, მაგრამ დღეს ხომ სხვა რეალობაა... საბედნიეროდ, მოხდა მოვლენების გადაფასება და ნუთუ არ არის დრო, რომ მსოფლიომ ქართული მუსიკის (თუ საზოგადოდ, კულტურის) შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია, მათ შორის, ინტერნეტ-ინფორმაცია პირველწყაროდან მიიღოს? რაც შეეხება შალვა მშველიძეზე ე.წ. Wikipedia-ში განთავსებულ ქართულ ტექსტს, ის ისეთია, მასზე საუბრის გავრძელება არც ღირს.

ახლა გადავხედოთ 1990 წელს (ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს), რუსეთში გამოცემულ მუსიკალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონს, ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორებით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა ქართველი კომპოზიტორი მოხსენიებულია როგორც საბჭოთა კომპოზიტორი. დიახ, მათი მოღვაწეობა საბჭოთა ეპოქას დაემთხვა, ამიტომ პრეტენზია არ მექნებოდა ასევე რომ იყოს მოხსენიებული რუსი კომპოზიტორები, მაგრამ რუს კომპოზიტორებს, რუსებად მოიხსენიებენ... მსოფლიოს უმეტესი ნაწილისათვის საბჭოთა ჯერ კიდევ რუსულს რომ ნიშნავს, ეს ხომ ცხადია და ამას მხოლოდ საპროტესტო წერილები კი არა, საქმე სჭირდება. აყალბებენ საქართველოს ისტორიას, ქართული მუსიკის ისტორიას თუ სხვ. — ქართველმა მეცნიერები სანაცვლოდ უნდა საპირწონე შრომა წარადგინონ და ამას სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი, რა თქმა უნდა, თუ ეს ჩვენი სახელმწიფოს მმართველთა ინტერესებში შედის. ჩვენ დღემდე ეს არ გაგვიკეთებია და მგონი, არც ვფიქრობთ ამაზე. სამწუხაროდ, ესაა ჩვენი რეალობა. ნუთუ ამ რეალობით ვაპირებთ ევროპასთან ინტეგრაციას ?!.

ამ სავალალო ვითარებაში რას ვაკეთებთ ჩვენ და რაში ვხარჯავთ თანხებს? ვინ და რისთვის განკარგავს სახელმწიფო სახსრებს, რა პროექტებში და რაც მთავარია, რა მიზნებით? მთავრობები (გნებავთ სამუსიკო დაწესებულებების ხელმძღვანელები!) მოდიან და მიდიან და როცა მოდიან, სამწუხაროდ, მათ მარადიული ჰგო-

ნიათ არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ თანამდებობებიც. ამ ბატონებს ავიწყდებათ ერთი არსებითი რამ — **Memento mori,** ბატონებო! თქვენ წარმოიდგინეთ, მიდიხართ არა მხოლოდ ამ ქვეყნიდან, არამედ თქვენი თანამდებობებიდანაც!..

მართალია, შესავალი ცოტა ვრცელი გამოვიდა, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მუსიკალურ კულტურაში არსებული გლობალური პრობლემების პირობებში კულტურის სამინისტრო აფინანსებს პროექტს (და ეს ერთადერთი არაა), რომლის მიზნები და ამოცანები სერიოზულ კითხვებს ჰბადებს.

საქმე შემდეგშია: 30 ივნისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამაყად გვაუწყა, 2013 წლის „საუკეთესო თანამედროვე ქართული საოპერო ნაწარმოებების გამოსავლენად“ ჩატარებული კონკურსის შედეგები, საიდანაც ვიგებთ, რომ ქართულ მუსიკას ოთხი ახალი ოპერა შეემატა (?!). აი, რას ვკითხულობთ კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე:

„პირველი ადგილის მფლობელი გახდა ოპერა „ოჯახის თავი“, რომლის ავტორიც ახალგაზრდა კომპოზიტორი ნიკა ფასურია (ლიბრეტო დავით გაბუნიასი), გამარჯვებულს საჩუქრად 10 000 ლარი გადაეცა.

მეორე ადგილი წილად ხვდა 13 წლის კომპოზიტორის (?!) სანდრო ნებიერიძის ოპერას „ერთხელ“ (ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოების „ბღაპარი ხელმწიფის პატარა ქალისა და მწყემსი ბიჭისა“ მიხედვით). მეორე ადგილზე გასულ ავტორს, კონკურსის პირობების თანახმად, კულტურის სამინისტრო საქართველოში საოპერო ჟანრის განვითარების მიზნით, ახალ ქართულ ოპერას დაუკვეთავს“.

კონკურსში ასევე მონაწილეობა მიუღიათ თენგიზ ნოზაძეს (ოპერა „ფიდაი“, ლიბრეტო თეონა დოლენჯაშვილის, ამავე სახელწოდების მისივე მოთხრობის მიხედვით), ლევან მიზანდარს (ოპერა “SOS”, ლიბრეტო — ავტორის).

ფაქტი, ერთი შეხედვით სასიხარულოა. ბუნებრივია, დავინტერესდი ამ „მოვლენის“ დეტალებით. რომელი ჟანრის ოპერაზე იყო გამოცხადებული კონკურსი, რომელმა „კომპოზიტორებმა“ მიიღეს მონაწილეობა, ვინ დაწერა ლიბრეტოები, ლიბრეტო ხომ ჩვენი პროფესიული მუსიკის ასწლიანი ისტორიის მანძილზე ქართული საოპერო დრამატურგიის მარადიული პრობლემა იყო.

აღმოჩნდა, რომ კონკურსი გამოუცხადებია ფონდს „საქართველოს ნაციონალური ოპერა“, რომელიც 2010 წელს დაუფუძნებია რეჟისორ დავით საყვარელიძეს, ქართული საოპერო ხელოვნების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, რაც, ნამდვილად, მისასალმებე-

კონკურსანტთა დაჯილდოება. გადრი გაგრატიონგრუგინსკი, ჟიურის წევრი გურაგ ნადარეიშვილი

ლი და სასიკეთო წამოწყებაა.

რა პირობებითა და მოთხოვნებით იყო გამოცხადებული კონკურსი და რაზე იყო გათვლილი?

კონკურსის პირობების თანახმად საოპერო ნაწარმოების ავტორი აუცილებლად 35 წლამდე ასაკისა და საქართველოს მოქალაქე უნდა ყოფილიყო. საკონკურსო ნაწარმოების ხანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდა ერთ საათს, ხოლო ორკესტრის მუსიკოს-შემსრულებლები — 14-ს. ყველა კონკურსანტი ვალდებული იყო წარმოედგინა სადირიჟორო პარტიტურა, საორკესტრო პარტიები, კლავირი მომღერლებისათვის და ლიბრეტო (ლიბრეტო უნდა დაყრდნობოდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს).

როგორც ვხედავთ, საკონკურსო პირობების მოთხოვნები მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული — არაა დაკონკრეტებული ოპერის ჟანრი, თუმცა აშკარაა, რომ წარსადგენი ოპერის პარამეტრები — ქრონომეტრაჟი, ორკესტრის შემადგენლობა (14 მუსიკოს-შემსრულებელი),

ალბათ, კამერული ოპერის ჟანრსა და მის ნაირსახეობებს გულისხმობდა. როგორც ვიცით, ამ ჟანრის უამრავი მოდიფიკაცია არსებობს და თითოეულ მათგანს აქვს თავისი მახასიათებელი, რომელიც უცნობია თუ რამდენად იყო გათვალისწინებული კონკურსში, ან ნაწარმოებთა შეფასებისას. ისიც გაუგებარია, რომელ მუსიკალურ-თეატრალურ სივრცეს გულისხმობდა დამკვეთი თუ დამჯილდოებელი გამარჯვებული ოპერის დადგმისათვის?

ის რომ, კონკურსანტთა ასაკობრივი ზღვარი იყო დადგენილი — 35 წელი, ეს ჩვეული ამბავია ყველა კონკურსისათვის, მაგრამ არ მეგონა, თუ ოპერის დაწერა ჩვილ ასაკშიც შესაძლებელი ყოფილა (ერთი ასეთი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი ვიცოდით, მაგრამ მას მამა განათლებული მუსიკოსი — ლეოპოლდ მოცარტი ჰყავდა!..); არც ის მეგონა, ოპერის შექმნა სრულფასოვანი სამუსიკო განათლების გარეშე რომ ყოფილა შესაძლებელი. აქ იმ მაგალითის მოყვანა, რომ ვერდის კონსერვატორია არ ჰქონდა დამთავრებული, უადგილოდ მეჩვენება, რამეთუ ვიმედოვნებ, მასთან გატოლების ამბიცია ჩვენ კონკურსანტებს ჯერჯერობით არ აქვთ.

იყო პერიოდი, როდესაც კომპოზიტორის დიპლომის გაცემა საკამათო საკითხი გახდა, და საფუძვლიანადაც. არგუმენტი ის იყო, რომ კომპოზიტორობის წოდებას მოპოვება სჭირდება და არა მხოლოდ დიპლომი. ჩანს, ახლა არც წოდებას სჭირდება მოპოვება, არც დიპლომია საჭირო და პირდაპირ, „ღიღინი“ თუ შეგიძლია, კომპოზიტორის წოდება გარანტირებული გაქვს... ეს სენი ჩვენ ესტრადას ხომ სჭირს და თან დიდი ხანია, ახლა აკადემიური მუსიკის ჟანრებსაც მივადექით! კონკურსი რომ გამოეცხადებინათ მოყვარულთათვის, მესმის, რადგანაც, კონკურსანტებიდან ორი სტუდენტია (ნიკა ფასური და თენგიზ ნოზაძე), ერთი სკოლის მოსწავლე (სანდრო ნებიერიძე) ხოლო ერთი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მოყვარული მუსიკოსი (ლევან მიზანდარი). მაგრამ არა, კონკურსი სწორედ „კომპოზიტორებისთვის“ იყო გამოცხადებული. არადა, პროფესიონალ კომპოზიტორებს, არაერთი ფაკულტეტი რომ აქვთ დამთავრებული და ათწლეულებია მეტ-ნაკლები წარმატებით მოღვაწეობენ, მათ არ ღირსებიათ ასეთი ჰონორარები და პატივი. და აი, ამას აკეთებს არა მხოლოდ კერძო ფონდი, არამედ კულტურის სამინისტრო, რომელიც ქვეყანაში

ნიკა ფასური, თენგიზ ნოზაძე, დავით საყვარელიძე, სანდრო ნებიერიძე, და ლევან მიზანდარი

კულტურულ პროცესებს უნდა მართავდეს?!

არავინ იფიქროს თითქოს ახალგაზრდებს ვერჩოდე, პირიქით. მიხარია თუ აკადემიური მუსიკით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდებიან. მათ ნამდვილად სჭირდებათ წახალისება, ხელშეწყობა, მაგრამ არა მგონია ნაადრევი, დაუმსახურებელი წარმატება, ხელოვნებაში უფრო მაღალი მიღწევების ინდიკატორი იყოს. პირიქით, იოლად მოსული წარმატება, როგორც გამიგონია და როგორც პრაქტიკაც გვაჩვენებს, უფრო რყვნის ადამიანს, ვიდრე ჭეშმარიტი წარმატების საწინდარი ხდება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კონკურსის მოთხოვნა იყო სადირიჟორო პარტიტურის, საორკესტრო პარტიების, მომღერლებისათის კლავირის წარმოდგენა, ცოტა არ იყოს სათუოა ზოგი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პარტიტურა ან კლავირი ავტორისეული, დამოუკიდებელი ნაშრომი ყოფილიყო. ნეტავ ვინმემ თუ გადაამოწმა?

ახლა ლიბრეტო, რომელიც ჩვენი საოპერო დრამა-



ტურგიის „აქილევსის ქუსლია“. ვიცი, რომ დავით გაბუნია დრამატურგია, თეონა დოლენჯაშვილიც მწერალი, მაგრამ რამდენაც იციან საოპერო ჟანრის, ლიბრეტოს სპეციფიკა. იქნებ აღარც ამას სჭირდება ცოდნა და გამოცდილება? სამინისტროს განცხადებაში კი ნებიერიძის ოპერის ლიბრეტოს ავტორი საერთოდ არ ყოფილა მითითებული (ეტყობა ლიბრეტოს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა?!), მეოთხე ოპერის ლიბრეტო თვით ავტორს, მიზანდარს ეკუთვნის.

დაბოლოს, კულტურის სამინისტროში, საზეიმო დაჯილოებაზე, 13 წლის ნებიერიძეს ახალი ოპერა დაუკვეთეს, საოპერო ჟანრის განვითარების მიზნით. იქნებ აჯობებდა კულტურის სამინისტროს ნორჩი, ალბათ ნიჭიერი მუსიკოსის განათლების სრულყოფის მიზნით მიეღო სათანადო ზომები — გაეღო თანხა, ოპერა კი უკვე შემდეგ, „ჟანრის განვითარების“ მიზნით დაეკვეთათ?! თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ ავადსახსენებელი საბჭოთა პერიოდის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კულტურის სამინისტრო „კომპოზიტორს“ (როგორც თვითონ უწოდებენ) რაიმეს უკვეთავს და თან უნაზღაურებს კიდეც, ეს მაშინ, როდესაც პროფესიონალი კომპოზიტორები ჩივიან, რომ მათი პროფესია ჰობი გახდა და არა პროფესია, რადგანაც ამ პროფესიით თავს ვერ ირჩენ და მათი ქმნილებები არავის სჭირდება...

და კიდევ. ნეტავ რას ვუპირებთ ამ ოთხ ქართულ ახალ ოპერას? იმ ოპერებს ხომ მოვუარეთ, რაც დღემდე შეუქმნიათ ქართველ კლასიკოს კომპოზიტორებს (მშველიძეს, თაქთაქიშვილს, ლაღიძეს, კვერნაძეს, ღლონტს, ყანჩელს თუ სხვ. ქართველ კომპოზიტორებს), და ახლა ახალ ოპერებს ვეძებთ?

შესანიშნავი ქართველი მოღვაწე, მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა დაეყოლიებინა ისეთი დიდი კომპოზიტორი, როგორიც იოსებ კეჭაყმაძე ბრძანდებოდა, რომ ოპერა დაეწერა. ასეთმა გენიალურმა კომპოზიტორმაც კი არ მოკიდა ხელი ამ ურთულეს ჟანრს, რაც ძალზედ დასანანია, რადგან ეჭვი არ მეპარება, რომ მისი ოპერა ისეთივე დიდი მონაპოვარი იქნებოდა ქართული საოპერო ხელოვნებისათვის, როგორც მისი საგუნდო ქმნილებები. ახლა კი უმწიფარ კომპოზიტორს „ჟანრის განვითარების მიზნით“ უკვეთავენ ოპერას! მართლაც რომ უსაზღვროა უვიცობის სითამამე!

ვფიქრობ, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი რამ. ეს არის არა მხოლოდ კომპოზიტორის პროფესიისა თუ წოდების, ოპერის ჟანრის დევალვაცია, გაუფასურების მცდელობა, არამედ ისედაც უმძიმეს ვითარებაში მყოფი სამუსიკო განათლების სრული გაბიაბრუება. ეს კონკურსი კარგი მაგალითია იოლი წარმატებისა ისეთ ურთულეს ჟანრში, როგორიც ოპერაა. ცხადია, ახალგაზრდებში გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი — რაღად გვინდა განათლება, 18 წელი სწავლა, იმის ცოდნა თუ საიდან მოვდივართ და საით მივდივართ, მაშინ, როცა მოყვარულებსაც, სტუდენტებსაც, სკოლის მოსწავლეებსაც კი შეუძლიათ ოპერის წერა და თან წარმატებითაც. როგორც ერთხელ ბიძინა კვერნაძემ ჩვეული სარკაზმითა და იუმორით ბრძანა: „ახლა არ სჭირდებათ მთელი „ოტელოს“ წაკითხვა, საკმარისია ვიცოდეთ, რომ დეზდემონა ოტელომ დაახრჩოო“. თუ ასე ვაპირებთ ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინებას და ევროპაში ინტეგრაციას, ვეჭვობ შორს წავიდეთ.

საითკენაა მიმართული ასეთი კულტურული პოლიტიკა? ვის სჭირდება და რისთვის?..

კონკურსში წარმოდგენილი იყო ოპერა “SOS”; არ ვიცი ეს ოპერა რა შინაარსისაა და რა თემას ეხება, მაგრამ ჩვენი დღევანდელი სამუსიკო ხელოვნებისა და განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა ისეთია, რომ ნამდვილად — “SOS”!

ბრმა დირიჟორი და უცნობი ქართული სამხედრო მუსიკა

ლევან მიზანდარი

წლეულს, 120 წელი შესრულდა ერთ-ერთი პირველი ქართველი დირიჟორის, საქართველოს სახალხო გვარდიის ორკესტრის დამაარსებლის, ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის (1894-1926) დაბადებიდან.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) სახალხო გვარდიის სასულე ორკესტრის რეპერტუარის გადარჩენილი ნაწილი, რომელიც 2010 წელს თბილისის სახ. კონსერვატორიის საცავში აღმოჩნდა. ეს არის ქართული პროფესიული მუსიკისა და კერძოდ, ქართული სამხედრო მუსიკის მდიდარი და შეუსწავლელი სანოტო მასალა (1915-1917).

სამწუხაროდ, ისტორიამ ცოტა რამ შემოგვინახა ორკეტრისა და მისი დამაარსებლის შესახებ. ამ მხრივ, ფასდაუდებელია გიორგი თაქთაქიშვილის მონოგრაფია „ევგენი მიქელაძე“, თბილისი 1959; და ვ. მიზანდარის მეგობრების მოგონებები ნიკოლოზ გიორგაძის წიგნიდან „ალოიზ მიზანდარი“, თბილისი, 1969.

ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი დაიბადა 1894 წელს ქ. ქუთაისში. ვალერიანის მამა ფელიქსი, ორგანისტი და პიანისტი, ალოიზ მიზანდარის უმცროსი ძმა, 1896 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ივი იყო ივანე და ზაქარია ფალიაშვილების მუსიკის პირველი მასწავლებელი.

განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი ვალერიანს ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა. ზაქარია ფალიაშვილის რჩევით მან სწავლა განაგრძო თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც ჰარმონიას თავად ზ. ფალიაშვილი ასწავლიდა. პარალელურად სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. სწორედ აქ, სრულიად მოულოდნელად დაიწყო მისი სადირიჟორო მოღვაწეობა:

1912 წელს, ნეკრასოვისადმი მიძღვნილ საღამოზე გიმნაზიის ორკეტრის ლოთი დირიჟორი არ გამოცხადდა,

„ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი, დივიზიონის ორკეტრის კაპელმაისტერი, ნიჭიერი ლოტბარი და სამხედრო მუსიკის უაღრესი მცოდნე“. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. 1920, №24

დირექტორმა ვალიკოს სთხოვა ეხელმძღვანელა ორკეტრისთვის. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა და იმ დღიდან მიზანდარი გიმნაზიის ორკესტრის უცვლელი დირიჟორი გახდა.

1917 წელს ვალერიანმა დაიწყო მუშაობა კაპელმაისტერად კადეტთა კორპუსის პირველ ცხენოსანთა პოლკში, ხოლო მეორე პოლკში ივი მუსიკალური ინსტრუქტორის მოვალეობას ასრულებდა. აქ მან შეკრიბა 65 მუსიკოსი და შექმნა დიდი სამხედრო სასულე ორკესტრი, რომლის მსგავსიც თბილისში არ ყოფილა.

1918 წლიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მას **სახალხო გვარდიის ორკესტრი ეწოდა.**

მუსიკოსებს ტანსაცმელი და საკვები უფასოდ ეძლეოდათ. კონცერტებს სისტემატურად მართავდნენ კლუბებში, თეატრებში, საზაფხულო ესტრადებზე, ბორჯომშიც ჩადიოდნენ საგასტროლოდ. შავ ჩოხებსა და ყავისფერ ფაფახებში ჩაცმულ ორკესტრანტებს ყველგან ცნობდნენ

სახალხო გვარდიის ორკესტრი, 1921 წ., ქვემოდან მესამე რიგში, მარჯვნივ – ვალერიან მიზანდარი. ქვევით, მარჯვნივ პირველ რიგში – ევგენი მიქელაძე

და დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ.

ერთხელ, ზაქარია ფალიაშვილი დაესწრო აღლუმს და დირიჟორს საჯაროდ ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჩემო ვალერიან, ასეთი დახვეწილი და მაღალი გემოვნებით დამუშავებული, იშვიათი ჟღერადობის ორკესტრისთვის მე ჯერ არ მომისმენიაო“.

გიორგი თაქთაქიშვილი (ვიოლონჩელისტი): „დაუცხრომელი ენერგია, სიყვარული და თაოსნობა გამოიჩინა მან სამხედრო ორკესტრის ჩამოყალიბების საქმეში და სულ მალე ამ ორკესტრმა, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა, საოცარი პოპულარობაც მოიპოვა (...)

მისი განსაკუთრებული მეცადინეობის წყალობით, ორკესტრმა საოცარ ჟღერადობას მიაღწია – რბილს, ინტონაციურად ძალიან სუფთას და მრავალფეროვანს. მე პირადად გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ იშვიათად შევხვედრივარ ასეთ სამხედრო-სასულე ორკესტრს; იგი გამოირჩეოდა შესრულების ხარისხითაც და მდიდარი რეპერტუარითაც. მიზანდარი მართლაც რომ ნამდვილი ოსტატი იყო თავისი საქმისა. ეს ორკესტრი გამოდიოდა აგრეთვე ყველა ოპერაში, სადაც კი ბანდა (ორკესტრი სცენაზე) სჭირდებოდათ“.

ვასილ გეჯაძე (დირიჟორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე): „ეს იყო 1921 წლის მაისის თვეში. მე და ჩემი სიყრმის მეგობარი **ევგენი მიქელაძე** მივედით საბა-ორბელიანის ქუჩაზე (ყოფილი ფრეილინის ქუჩა), სადაც იმყოფებოდა ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარის ორკესტრი. იმ დღეს ახალი მუსიკოსების გასინჯვა იყო დანიშნული ორკესტრში ჩასარიცხად. მსურველების საკმაოდ დიდ რიცხვს, 25-30 ახალგაზრდას მოეყარა თავი. ვალერიან მიზანდარის ორკესტრის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მეც გახლდით და დიდი სურვილი მქონდა, მოვხვედრილიყავი ამ ორკესტრში. ცოტა არ იყოს ვღელავდი, რადგან გამოცდის ფორმა ჩემთვის უჩვეულო იყო: შუა დარბაზში იდგა პიუპიტრი ნოტებით, ორკესტრში მოხვედრის მსურველს უნდა შეესრულებინა უცნობი მუსიკალური ნაწარმოები, ეს იყო ფურცლიდან კითხვა და შემდეგ მუსიკალურ-თეორიული კითხვები.

როცა გამოცდის ხასიათს შევხედე, ცოტა არ იყოს შევშინდი და გაპარვა დავაპირე. ის იყო დარბაზიდან უნდა გავსულიყავი, რომ მიზანდარის ხმა მომესმა: „ახალგაზრდავ, სად მიდიხარ?“ უკან დავბრუნდი, მიზანდარი მომიახლოვდა, ხელი გადამხვია, პიუპიტრისკენ წამიყვანა, ნოტები გადაფურცლა და მითხრა: „აბა, ერთი ეს ნაწარმოები დაუკარით“.

მე ვალტორნაზე ვუკრავდი და, ცხადია, ნაწარმოებიც ვალტორნისათვის იყო განკუთვნილი. მიზანდარის თბილმა მოპყრობამ გული გამიმაგრა, საკუთარი ძალის რწმენა ჩამინერგა და მეც გაბედულად დავიწყე მუსიკალური ნაწარმოების შესრულება. ნაწარმოების დაკვრა დამთავრებული არ მქონდა, რომ მიზანდარმა შემაჩერა, შემდეგ იქვე მაგიდასთან მსხდომ მუსიკოსებს მიუბრუნდა და რუსულად უთხრა: “Тон мне очень нравится“.

გამოცდა ჩააბარა მხოლოდ სამმა მუსიკოსმა და მათ შორის მეც. ასე ამისრულდა ნატვრა მოვხვედრილიყავი მიზანდარის ორკესტრში.

ბეჯითი მეცადინეობის წყალობით ჩვენმა ორკესტრმა ინტონაციურად ძალიან სუფთა და მაღალმხატვრულ შესრულებას მიაღწია. მახსოვს, ერთხელ მეცადინეობას ვატარებდით ყოფილი ქართული კლუბის ბაღში (ახლანდელი გრიბოედოვის თეატრის ზევითა ეზო). ვასრულებდით სამხედრო მარშს. სიარულის დროს ვალიკომ გაგვაჩერა და გვითხრა: დაუკარით ისე რბილად, რომ თქვენი ფეხის ხმაური გესმოდეთო, და მართლაც, განსაკუთრებული მეცადინეობის წყალობით, მივაღწიეთ მიზანს.

მიზანდარის ორკესტრი შედგებოდა 65 მუსიკოსისგან, თვით მიზანდარი ყოველთვის ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დირიჟორობდა. მას ჰქონდა მუსიკალური ნაწარმოების ათვისების არაჩვეულებრივი უნარი, მეხსიერება – განსაცვიფრებელი. საკმარისი იყო, ერთხელ ჩაეკითხა პარტიტურა და ნაწარმოებს უკვე ზეპირად დირიჟორობდა.

ვ.მიზანდარი ორკესტრის თითოეული წევრისათვის არა მარტო მასწავლებელი, არამედ ახლობელი მეგობარიც იყო.

მახსოვს, ერთხელ ვალიკომ დამავალა თავისი სამხედრო ერთი თვის ულუფა მიმეტანა ორკესტრის წევრის, ა.ვასილევის ოჯახში. ა.ვასილევი იყო მაღალკვალიფიციური კლარნეტისტი. მისი ოჯახი 8 სულისაგან შედგებოდა და გაჭირვებით ცხოვრობდა. არასდროს არ დამავიწყდება ის სიხარული, რაც იმ ოჯახმა განიცადა, როცა ვალიკოს ნაფეშქაშარი მივუტანე, ვასილევის თვალცრემლიანმა მეუღლემ მთხოვა ვალიკოსთვის სიტყვასიტყვით გადამეცა, რომ იგი არის არამარტო დიდი მუსიკოსი, არამედ შესანიშნავი ადამიანი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვალერიან მიზანდარმა დიდი როლი შეასრულა გამოჩენილი ქართველი დირიჟორის, **ევგენი მიქელაძის** მომავალში. პრაქტიკულად მიქელაძემ პირველი ნაბიჯები, როგორც დირიჟორმა, ვალიკოს ხელმძღვანელობით გადადგა. ვალიკო ხშირად, თავისი თანდასწრებით მიქელაძეს აძლევდა საშუალებას, რომ ედირიჟორა ორკესტრისთვის. შემდეგ, როცა ვალიკო მის მუსიკალურ ტალანტში დარწმუნდა, ე. მიქელაძეს დამოუკიდებელი დირიჟორობის საშუალებასაც აძლევდა.

და განა მარტო ევგენი? ვალერიან მიზანდარის ორკესტრში აღიზარდნენ შემდეგში ცნობილი დირიჟორები: ს. ცხომელიძე, კ. ივანოვი, ლენინგრადის სამხედრო ოლქის სასულე ორკესტრის ინსპექტორი ჟ. ტარიანი, ბერლინის სამხედრო გარნიზონის ორკესტრის ინსპექტორი ნ. ამირანაშვილი, კაპელმაისტერი ნ. მახათაძე, პედაგოგი დ. ჯიჯავაძე და მათ შორის მეც, როგორც დირიჟორი და პედაგოგი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ჩვენი ორკესტრის რეპერტუარი ჩვეულებრივი სასულე ორკესტრის მარშებით და პოპურებით კი არ იყო შეზღუდული, არამედ, ჩვენ ვასრულებდით დიდი ფორმის ნაწარმოებებს: სიმფონიებს, საფორტეპიანო და ინსტრუმენტულ კონცერტებს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნაწარმოებები განკუთვნილი იყო სიმფონიური ორკესტრისათვის, მაგრამ ვალერიანის დაუღალავი შრომის წყალობით გადატანილ იქნა მის მიერ სასულე ორკესტრისათვის. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვალერიანი უსაზღვრო პატრიოტი იყო თავისი სამშობლოსი. ამაში იქიდანაც ვრწმუნდებით, რომ ვალერიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მან სასულე ორკესტრისათვის გადაიტანა **მელ. ბალანჩივაძის** ოპერა „დარეჯან ცბიერის“ უვერტიურა, **კ.**

მარჯვნივ ვალერიან მიზანდარი


ს ა ე რ ო ა ფ ი შ ე ბ ი ს ა დ მ ი ც ე მ ი

ვ ფ მიზანდარისა

ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზეს.

კარმენი

ალექსანდრე ბაბაევის ბაბაევის ბაბაევის,

ა ქ ტ ი I.

ა ქ ტ ი II.

ფოცხვერაშვილის „მგზავრული“ და „მხედრული“.

ვალიკო ოცნებობდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისაგან შემდგარ საკონცერტო პროგრამაზე. სურდა, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მათი პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაეტანა, მაგრამ ეს ოცნება ავადმყოფობის გამო ვერ განახორციელა“.

გიორგი თაქთაქიშვილი (ვიოლონჩელისტი): „ჟენიას (ევგენი მიქელაძის) მუსიკალობა, შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა მაშინდელი კაპელმაისტერის ვალერიან მიზანდარის ყურადღებას იქცევს და მალე აწინაურებს კიდეც უფროს მუსიკოსად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 17—18 წლის ყმაწვილმა კაცმა დროდადრო რეპეტიციები უნდა ჩაატარებინოს ორკესტრს, ხოლო ზოგჯერ, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან კონცერტებზე იდირიჟოროს კიდეც.

ორკესტრის ყველაზე უფრო ნიჭიერ მუსიკოსებს პოლკის კაპელმაისტერი მიზანდარი სამუშაოსგან მოუწყვეტლად, კონსერვატორიაში გზავნიდა. ასევე მიავლინა მან კონსერვატორიაში ევგენი მიქელაძეც.

მიზანდარის მოღვაწეობა მარტო კაპელმაისტერობით როდი განისაზღვრებოდა. 1920 — 1922 წლებში იგი თბილისის ოპერის თეატრშიც დირიჟორობდა. სწორედ ამ წლებში უკრავდა სასულე ორკესტრში ევგენი მიქელაძე და მალე იგი მიზანდარის უახლოესი თანაშემწე გახდა.

ოპერის თეატრში მიზანდარი დირიჟორობდა **„ევგენი ონეგინს“**, **„პიკის ქალს“**, **„რიგოლეტოს“**, **„აიდას“**, **„კარმენსა“** და სხვ. საინტერესო ისაა, რომ თავისი საოპერო მოღვაწეობაც სრულიად მოულოდნელად დაიწყო მან ბიზეს **„მარგალიტის მაძიებელების“** დირიჟორობით. მეხსიერება თუ არ მღალატობს, მაშინ მან შესცვალა დირიჟორი **პავლოვ-არბენინი,** რომელიც რატომღაც არ ჩამოსულა. მღეროდა იმ დღეს **ვანო სარაჯიშვილი;** როცა გაიგო, მიზანდარი იდირიჟორებსო, მან უარი განაცხადა სპექტაკლში გამოსვლაზე, „ტუჩებზე რძე არ შეშრობია!“ ღელავდა ვანო, რომელიც ნადირის პარტიას ასრულებდა. ძლივ-ძლივობით დაიყოლიეს. მიზანდარმა მარჯვედ ჩაატარა მთელი სპექტაკლი; ვანოს გულმა აღარ მოუთმინა, გრიმმოუშორებლად მივარდა მიზანდარს — გადაეხვია და მიულოცა. იმ დღიდან განუყრელი მეგობრები გახდნენ.

გამიძნელდება მიზანდარის, როგორც ოპერის დირიჟორის დახასიათება, რადგან მხოლოდ ერთხელ მინახავს იგი, როცა ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ვიყავი. როგორც მახსოვს, ეს იყო „პიკის ქალში“, და მავონდება, სახტად დავრჩი, როდესაც დირიჟორი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დავინახე. აღარ მახსოვს რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა დირიჟორობამ. იმ ძუნწი ცნობების მიხედვით, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, აგრეთვე მომსწრეთა გადმოცემით, ეს იყო უთუოდ ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე მუსიკოსი, რომელსაც სხვა კარგ თვისებებთან ერთად, მკაფიო ხელი ჰქონდა. ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში გაზეთი „რესპუბლიკა“ წერდა: „მიზანდარი მეტად ნიჭიერი დირიჟორია, დიდი მომავალი აქვს“.

დაგმარა (ელეონორა) სლიანოვა-მიზანდარი (კომპოზიტორი, ვალერიანის დის შვილი): „ვალერიანი ჩვენთან რომ მოვიდოდა, მე მთხოვდა, რომ დამეკრა, თავად კი დიდის გულისყურით მისმენდა, შემდეგ დედაჩემთან მივიდოდა, ხელს გადახვევდა და ეტყოდა: სოფიკო, როგორც კი ამ საზაფხულო კონცერტებს მოვრჩები, აუცილებლად წავალ ლენინგრადის კონსერვატორიაში, ჩვენი ელეონორაც თან უნდა წავიყვანო და, თუ და ხარ, ნუ დამიშლი, მასში ჩვენი გვარის სისხლი ჩქეფს და მე მინდა მას ის სამსახური გავუწიო, რაც შენ მიგიძღვის ჩემ წინაშე“-ო.

ცუდ დროს უმტყუნა მუხთალმა ბედმა ვალერიანს, არ აცალა მიზანი განეხორციელებინა, 1921 წელს მან შეამჩ-

ნია, რომ მხედველობა გაუფუჭდა. მალე კი სულ დაკარგა იგი“.

დავით ჯიჯავაძე (პედაგოგი, ორკესტრის წევრი)**:** „1922 წლის ზაფხულის ერთ მზიან დღეს ვალიკო, ვასო გეჯაძე, მიშა კვერნაძე და მე მივდიოდით ნაწილში. სიონთან, ერთ ვიწრო ქუჩაზე გავედით თუ არა, ვალიკო უცებ შეტორტმანდა. მისმა საზარელმა, სრულიად მოულოდნელმა შეყვირებამ: — ვაიმე, დედაო! ყველანი ადგილზე გავგახევა. ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბევრი საშინელების მოწმე გავმხდარვარ, მაგრამ არც მანამ და არც ამის შემდეგ ადამიანის ასეთი სასოწარკვეთილი ხმა არ გამიგონია. ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ვალიკოს ეს შემაძრწუნებელი შეყვირება ორივე თვალში სინათლის დაკარგვით გამოწვეული ყვირილი იყო. ვალიკო თავში მძლავრად იცემდა ხელებს და ყველას გვევედრებოდა: „ბიჭებო, მე ვეღარაფერს ვხედავ, ჩემი მეგობრები ხართ, მომკალით, სულ ერთია, თქვენ თუ არ გეყოფათ ამისთვის ძალა, ჩემს თავს მევე მოვუვლიო“.

ამ ამბით თავზარდაცემულებმა, როგორც იქნა, მოვისაზრეთ ეტლი მოგვეყვანა მისთვის. ჩავსვით ეტლში, შინ წავიყვანეთ. გზაში ვამშვიდებდით და ვანუგეშებდით, მაგრამ ჩანდა, რომ ვალიკო გამოთიშული იყო. სხივწართმეულ თვალებს უაზროდ ატრიალებდა და ციებიანივით მთელი სხეული უკანკალებდა.

იმ ხანად ვალიკოს დედაც ჩავარდნილი იყო ლოგინად. ვალიკო რომ ამ დღეში დაინახა, საწოლიდან, რომ იტყვიან, რაღაც სასწაულით წამოდგა, შვილს გადაეხვია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და შვილთან ერთად ჩაიკეცა. ერთმანეთს ჩახვეული დედაშვილი დიდხანს შესტიროდნენ თავიანთ უბედურებას“.

ნიკოლოზ გიორგაძე (მკვლევარი)**: „**მართალია, ვალიკო დაბრმავდა, მაგრამ იგი 3 წლის განმავლობაში მაინც განაგრძობდა დირიჟორობას ზეპირად, უპარტიტუროდ. 1922 წელს მთელი ორკესტრი გადავიდა ქართველ სამხედრო მეთაურთა სკოლაში. ამჯერად კი, ორკესტრის მეცადინეობისას და კონცერტების დროს დირიჟორის პულტთან მხიარული, სიცოცხლით სავსე ვალიკოს ნაცვლად ბრმა დირიჟორი იდგა“.

ვასილ გეჯაძე (დირიჟორი): „საკმარისი იყო, მხოლოდ მიმეყვანა სადირიჟორო პულტთან და იგი საოცრად იცვლებოდა. მსმენელი ვერ ამჩნევდა, რომ დირიჟორი უსინათლო იყო. ორკესტრი დირიჟორის ხელის მოძრაობას ზედმიწევნით ზუსტად გრძნობდა და ჩვენ, შემსრულებლებს, ასეთი მგრძნობიარე შემოქმედის ტრაგიკული ხვედრის გამო, თვალები ცრემლით გვევსებოდა“.



მასკანი – ინტერმეცო ოპერიდან “სოფლის ღირსება” სასულე ორკესტრისთვის გადატანილი ვ. მიგანდარის მიერ. 1917

გიორგი თაქთაქიშვილი: „1921 წლიდან მიზანდარმა დაბრმავება იწყო, ხოლო 1922 წელს სავსებით დაჰკარგა სინათლე. მაგრამ მაინც განაგრძობდა ოპერების დირიჟორობას ზეპირად. მძიმე სნეულებამ თანდათანობით შეურყია ჯანმრთელობა, იძულებული გახდა მიეტოვებინა ჯერ თეატრი, ხოლო შემდეგ სასულე ორკესტრიც, სადაც სულ უფრო და უფრო ხშირად ცვლიდა მას ევგენი მიქელაძე. ავადმყოფობის დროს ჟენია მალიმალ ნახულობდა ხოლმე საავადმყოფოში თავის უფროს მეგობარს; ის იყო ერთ–ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანი, რომელსაც მიზანდარი სცნობდა და ხალისით ესაუბრებოდა. მუდამ დიდი სიყვარულით მოიგონებდა ხოლმე მას ჟენია“.

ნიკოლოზ გიორგაძე (მკვლევარი): „ბრმა დირიჟორის გამოსვლებმა სენსაცია მოახდინა. მთელ საქართველოში ყველას პირზე ეს ამბავი ეკერა. ოპერის თეატრის სალაროსთან კვლავ გაჩნდა გრძელი რიგები. ბრმა დირიჟორის დანახვა ყველას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ამ პერიოდში უდირიჟორა მან **„მარგალიტის მაძიებლებს“, „კარმენს“**, **„ტრავიატას“, „ტრუბადურს“, „პიკის ქალს“** და

სხვა ოპერებს.

სინათლის დაკარგვამ საშინლად იმოქმედა ნერვიულ სისტემაზე. ვალერიანი სულ გაღიზიანებული იყო. მცირე მიზეზიც კმაროდა მის ასაფეთქებლად. წვრილმანი შეცდომის გამო უხეშ შენიშვნებს აძლევდა ორკესტრის წევრებს.

მხედველობადაკარგულს, ისედაც მახვილი სმენა კიდევ უფრო გაუმახვილდა. გაძნელდა მასთან მუშაობა.

ვინც ვალიკოს ადრე იცნობდა, მის უხეშ შენიშვნებზე გული არ მოსდიოდა, პირიქით, საშინლად ეცოდებოდათ დიდი ხელოვანი და სიტყვის შეუბრუნებლად ცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ მისი მოთხოვნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ვერ ითმენდა. ყველა ვერ ხვდებოდა, რომ მათ ხელიდან ეცლებოდათ დიდი ადამიანი. ოპერის მუსიკოსთა ერთი ნაწილი შეგნებულად არ უთმენდა ვალერიანს მკაცრ მომთხოვნელობას, — მათ არ უნდოდათ ივი დირიჟორად და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ თავიდან მოეცილებინათ. „პიკის ქალის“ დირიჟორობის დროს მას ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს“.

გიორგი თაქთაქიშვილი: „ორკესტრის ზოგიერთი ჯგუფი განგებ ერთი–ორი ტაქტით ჩამორჩებოდა ხოლმე. წარმოუდგენელი ქაოსი შეიქმნა. ახალგაზრდა დირიჟორის ყოველი ცდა, წესრიგი აღედგინა, ამაო გამოდგა.

ასე გაგრძელდა მთელი პირველი მოქმედება. როცა, მოქმედების დამთავრების შემდეგ, ჯოხი პულტზე დადო, მიზანდარი ცუდად შეიქმნა. მთელი საათი გავიდა, მანამ გონს მოიყვანდნენ. ამან ცუდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა დირიჟორის მორალურ მდგომარეობაზე და ხელი შეუწყო ავადმყოფობის კიდევ უფრო გართულებას“.

ნიკოლოზ გიორგაძე: „ამ ამბავმა მთლიანად გატეხა ვალერიანის ჯანმრთელობა. მძიმე სნეულებამ ივი საბოლოოდ მიაჯაჭვა სარეცელს და სამუდამოდ დაატოვებინა თავისის საყვარელი საქმე — მუსიკა.

1924 წელს ვალერიან მიზანდარი ლოგინად ჩავარდა. პირველ ხანებში მას მნახველიც ბევრი ჰყავდა და გულშემატკივარიც. გადიოდა დრო და ნელ–ნელა მიატოვეს ივი ამხანაგებმა. ახლა სულ ორიოდ კაცს თუ გაახსენებდებოდა ბრმა დირიჟორი. გარკვეული დროის შემდეგ კი სულ აღარავინ აკითხავდა, არავინ ზრუნავდა მუდმივ სიბნელეში მარტოდმარტოდ დარჩენილზე“.

გაზეთი “ახალი გზა”: „ვის არ ახსოვს მიზანდარის თავგანწირული მუშაობა მუსიკალურ ასპარეზზე. ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ახალგაზრდა ნიჭიერ ლოტბარს მიზანდარს. საზოგადოება ბევრჯერ დაუტკბია მას მოხდენილი ლოტბაროობით. სამწუხაროდ, ასეთი მოღვაწეების ბედი ისეა მოწყობილი, რომ ისინი ახსოვთ მაშინ, როცა მას ხედავენ სცენაზე, მხოლოდ მაშინ აფასებს მათ საზოგადოება, მოშორდებიან თუ არა სცენას, ისინი დავიწყებას მიეცემიან, მათ ამბავს არავინ კითხულობს. სულხანიშვილი ნივთიერ გაჭირვებაში დაიღუპა. სამწუხაროდ, ქართულმა საზოგადოებამ მას ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია. ყველა ქართველი სინანულით ივონებს დღეს მისადმი ასეთ უყურადღებობას, ამ ადამიანის ასეთ მდგომარეობაში დაკარგვას. ახლა სხვებს მაინც ვუშველოთ, გავუწიოთ საჭირო დახმარება, ვაგრძნობინოთ ჩვენი ნამდვილი თანაგრძნობა.

სწორედ ასეთ მდგომარეობაშია დღეს ახალგაზრდა ნიჭიერი ლოტბარი მიზანდარი. ის დაავადმყოფებული, დაავადებული, ლოგინად არის ჩავარდნილი. ავადმყოფობამ ჩამოაშორა ივი ლოტბაროობას, საყვარელ სცენას. საზოგადოების მოვალეობაა, გაუწიოს მას თანაგრძნობა, ძმურად დაეხმაროს ნივთიერად და გადაარჩინოს ნიჭიერი ახალგაზრდა უდროვო დაღუპვას“.

1925.I.25;

გაზეთი “ზარია ვასტოკა”: „გუშინ გარდაიცვალა სახელმწიფო ოპერის თეატრის ყოფილი დირიჟორი მიზანდარი. ივი იყო ერთ–ერთი ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი, რომელმაც დიდი სამხედრო ორკესტრი ჩამოაყალიბა.

4 წლის წინათ ივი მიწვეული იყო ავრეთვე ოპერის თეატრში მეორე დირიჟორად“.

1926. VI.8;

ვალერიანი უცოლშვილოდ, 1926 წელს 32 წლის ასაკში გარდაიცვალა, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე — მაშინდელ პანთეონში.

გიორგი თაქთაქიშვილი: „ვალერიან მიზანდარმა დიდი როლი შეასრულა ევგენი მიქელაძის ცხოვრებაში; კაცმა რომ თქვას, პრაქტიკულად, სწორედ მან უბიძგა მიქელაძეს დირიჟორობისაკენ. მიზანდარი ერთ–ერთი წინამორბედია მიქელაძისა ოპერის თეატრში და, საერთოდ, ივი ერთ–ერთ პირველ ქართველ დირიჟორად გვევლინება“...

მედეა ფანიაშვილი — ქართული მუსიკის დედოფალი

თინათინ მღვდლიაშვილი

„მე კი არ მოვიქეცი კარგად, უბრალოდ,
სხვები იქცეოდნენ ცუდად“

პაბლო პიკასო

2014 წლის 23 მაისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა კამერული მუსიკის საღამო, რომელიც მიეძღვნა მე-20 საუკუნის განუმეორებელი ქართველი მუსიკოსის, ბრწყინვალე პიანისტის, პედაგოგის, პროფესორის, საზოგადო მოღვაწისა და დიდი ქართველი მამულიშვილის, მედეა ფანიაშვილის ხსოვნას.

საღამოზე შესრულდა ბეთჰოვენის „სიმებიანი კვარტეტი №12“, თხზ. 98 f-moll, II-III ნაწილი (ს. ცინცაძის სახ. სახელმწიფო კვარტეტი: კონსტანტინე ვარდელი (I ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილი (II ვიოლინო), ნოდარ ჟვანია (ალტი), ოთარ ჩუბინიშვილი (ჩელო); ვაჟა აზარაშვილის „ესპანური სიუიტა“ (ვიდეო-ჩანაწერი), პიანისტები: მედეა ფანიაშვილი და მედეა ალთუნაშვილი (ვიდეო-ჩანაწერი); მაშკოვსკის „რომანსი“ (რუსუდან კიკნაძე, ეკა საფარიშვილი, მედეა ალთუნაშვილი); მინდიას არია თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“ (მომღერალი თემურ გუგუშვილი. კონცერტმაისტერი — ლელა უსეინაშვილი); ბრამსის „ორი უნგრული ცეკვა“ (ეთერ ბუხრაშვილი, მედეა ალთუნაშვილი); რახმანინოვის „ვოკალიზი“ (ნუგზარ კიკნაძე, მედეა ალთუნაშვილი); იმპროვიზაცია (ნანა დიმიტრიადი).

საღამოზე წარმოდგენილი იყო ფოტო-ექსპოზიცია და ვიდეოკოლაჟი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, მედეა ფანიაშვილის, ამ უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალბატონის თაყვანისმცემლებით სავსე დარბაზზე.

განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია მედეა ფანიაშვილის დეიდაშვილისა და სულიერი მეგობრის, ფორტეპიანოს პედაგოგის, ქალბატონ ჯილდა მამალაძის გამოსვლამ, რომელმაც თამამად ისაუბრა მედეას რთული, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების შესახებ.

საღამოს უძღვებოდა მუსიკისმცოდნე, ქალბატონი რუსუდან ქუთათელაძე.

საღამოს დამთავრების შემდეგ სტუმრები დასაჩუქრდნენ მედეა ფანიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნით „ქართული მუსიკის კარიატიდა“.

მედეა ფანიაშვილი იყო უაღრესად გაბედული, თვითმყოფადი, ენერგიული, სამართლიანი, ლაღი, ცეცხლოვანი ტემპერამენტით აღსავსე შემოქმედი. მის რეპერტუარს საზღვრები არ ჰქონდა. იგი ვირტუოზულად ასრულებდა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, შუბერტის, შუმანის, მუსორგსკის, ლაღიძის, ნასიძის, კვერნაძის, ბალანჩივაძის, მაჭავარიანის, რახმანინოვის, ლისტის, სენ-სანსის, დებიუსის, ბრამსის, სტრავინსკისა და სხვა გენიალურ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ცნობილი კლასიკოსების ნაწარმოებების პარალელურად, იგი ბრწყინვალედ ასრულებდა ჯაზის კლასიკოსების — პიტერსონის, ბრუბეკის, ჯოპლინის ნაწარმოებებს.

ქალბატონ მედეას, როგორც ორგანიზატორს, ბადალი არ ჰყავდა მუსიკალურ სამყაროში. მან ჩამოაყალიბა ფანტასტიკური საფორტეპიანო დუეტი, პიანისტ მედეა ალთუნაშვილთან ერთად, პოპულარიზაცია გაუწია საქართველოში საკლავესინო მუსიკას, ხოლო მოგვიანებით თბილისში დააარსა ხელოვნების აკადემია, სადაც სასწავლო პროცესის პარალელურად მართავდა კლასიკური მუსიკისა და ლიტერატურის საღამოებს.

მედეა ფანიაშვილი სრულიად უანგაროდ, განსაცვიფრებელი ენთუზიაზმით ემსახურებოდა მუსიკალურ სამყაროს, თავის კოლეგებს, კონსერვატორიას...

მედეა ფანიაშვილი მზეს ჰგავდა, თავისუფალი საქართველოს ცის კაბადონზე ამობრწყინებულ მცხუნვარე მზეს, რომელიც უხვად აფრქვევდა სხივებს თავის უსაყვარლეს სამშობლოს. დიახ, ქალბატონ მედეას თავდავიწყებით უყვარდა უფალი, საქართველო და მუსიკა. ამ სიყვარულისთვის მას თვით სიცოცხლის დათმობაც შეეძლო... აკი დათმო კიდეც!..

90-იან წლებში ხელოვნების აკადემიაში მზადდებოდა კონცერტი, სადაც მედეას საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ერთად, ოთხ ხელში უნდა დაეკრა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოს პრეზიდენტიც შეიწირა და ფანიაშვილის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილ აკადემიასაც დარია თავისი მსახვრალი ხელი. ქალბატონი მედეა, თავისი 1400 სტუდენტითა და პედაგოგებით, გაძევებულ იქნა „ხელოვნების მუშაკთა სახლიდან“, რომელშიც ფუნქციონირებდა ხელოვნების აკადემია.

ეს უკვე მეტისმეტი იყო! ამდენ დარტყმას ეს ულამაზესი, სიფრიფანა მუსიკოსი კი არა, თვით რკინაც ვერ გაუძლებდა!..

„მე-20 საუკუნის დამდეგს რეპრესიების ავორებული ტალღით განადგურებულ ფანიაშვილთა საგვარეულოს, ამავე საუკუნის მიწურულში, 90-იან წლებში, ქართული ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, მედეა ფანიაშვილს, კვლავ დაატყდა ხელისუფლების რისხვა, თუმცა სხვაგვარი, ახლებური. ტყვიით აღარ დაუცხრილავთ, მართალია, მამამისივით ცოცხლად არ დაუმარხავთ, მაგრამ დაუმსხვრიეს ცხოვრებისეული ოცნება, „ხელოვნების მუშაკთა სახლიდან“ გამოაძევეს აკადემია. უსამართლობა შემოქმედი ადამიანის მგრძნობიარე სულს ტყვიაზე უფრო ღრმად კოდავს. მედეას, ცხადია, თანამდებობა არ დანანებია, მაგრამ ცხოვრებამ ელფერი დაკარგა, სიცოცხლის სისხლხორცეული ნაწილი ჩამოსცილდა, უთანასწორო ბრძოლას ვერ შეეგუა და მოძალებულ სენთანაც გამკლავება, აქამდე ვაჟკაცურად რომ არ ეპუებოდა, გაუჭირდა. ქართული მუსიკალური კულტურის ჩანგს ჩამოწყდა ძალუმად გაჭიმული, მძლავრად აჟღერებული სიმი.

...უკანასკნელად უკვე სარეცელს მიჯაჭვულს შევხვდი. ფერმკრთალ, ცვილისფერ სახეზე მწვანე, ზურმუხტისებრ ელვარე თვალები კიდევ უფრო მეტყველი მეჩვენა. ახლაც მის ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებდა. მარტონი რომ დავრჩით, ბალიშქვეშ შეაცურა ჩამომდნარი ხელი და ამაყი, ამასთან სათუთი გამომეტყველებით გამომიწოდა ბარათი. მედეასთვის ძვირფასი ამ ნაწერის შინაარსს სიტყვასიტყვით მოვიტან: „ძვირფასო ქ-ნო მედეა! მივესალმები თქვენს მოღვაწეობას ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ჩვენი საზოგადოება აღტაცებულია თქვენი პრინციპულობით და შეუპოვრობით. მიგულეთ თქვენს მოკავშირედ ყველა კეთილ საქმეში. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1993 წ. 14 ივნისი“. — ასე აღგვიწერს მედეა ფანიაშვილის ცხოვრების უმძიმეს პერიოდს მუსიკისმცოდნე რუსუდან ქუთათელაძე.

„ქართული მუსიკის კარიატიდა“, — ასე შეარქვა მედეა ფანიაშვილს ჩვენმა საერთო მეგობარმა, კომპოზიტორმა სულხან ნასიძემ, რადგან იგი თავისი მხრებით, უფრო სწორედ, პიანისტური ხელებით, ეწეოდა ქართული მუსიკის შემსრულებლის ტვირთს, უფრო ხშირად მისი პირველი შემსრულებელიც იყო.

მეტად დასანანია, რომ ეს სიცოცხლით, იუმორით სავსე, მშვენიერი ქალბატონი ასე ადრე წავიდა, თავისი უნარის, პროფესიულ შესაძლებლობათა გაფურჩქვნის პერიოდში. ჩვენ ყველას დაგვაკლდა საუცხოო არტისტი,

მოღვაწე და მეგობარი“. — ამ სიტყვებით გამოეხმაურა მედეას უდროო გარდაცვალებას კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე.

მედეა ფანიაშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 15 აპრილს, ორმოცდარვა წლის ასაკში. მისი დაკრძალვა ოკეანესავით აზვირთებულ, იმავდროულად, მდუმარე, საპროტესტო მსვლელობად გადაიქცა. მსოფლიო მასშტაბის მუსიკოსი, რომელსაც, ჩვენი აზრით, დიდების პანთეონში დაკრძალვა ეკუთვნოდა, კუკიის სასაფლაოს მიწამ მიიბარა...

დაეშვა ამქვეყნიური, მიწიერი ფარდა და პიანისტის წინაშე გაიხსნა ზეციური, უმაღლესი განზომილების ფარდა...

მედეა ფანიაშვილი ანგელოზს ჰგავდა. ანგელოზებმა წაიყვანეს იგი მაღლა ზეცაში, შემოქმედთან, რომელმაც უხვად დააბერტყა ტალანტი, მშვენიერი სხეული, ნატიფი გემოვნება, კოსმიური მუსიკისა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის განუზომელი სიყვარული.



მედეა ფანიაშვილი
— “Allegro con fuoco”

გარდაცვალებამდე პიანისტმა
მედეა ფანიაშვილმა ინატრა:
„ნეტავ, ჩემი ხელების ვინმესთვის
გადანერგვა შეიძლებოდეს“

მცირე დარბაზი. კულისებში ქარი ორპირი...
თვალები, სველი მინდვრებივით დანამულები...
ავანსცენაზე თავადური შენი პროფილი.
მოცარტის „ღამის სერენადის“ სამაჯურები.
მედეა, როგორც ფერწერული ბგერა შუბერტის,
(ძველი ეპოქის მუსიკოსთა მუსიცირება...)
და გულის გულში არტისტული ფეთქვა აორტის
და საქართველოს სატკივარი, როგორც დილემა!
და კონტრასტები... ფლეიტები, კლავესინები...
რახმანინოვი, ტელემანი, ვივალდი, რამო...
და დებიუსის გამჭვირვალე ბალერინები
და კლასიკური ჯაზის ცეცხლი, როგორც ირაო!..
ო, ეს მუსიკა! ეს ნატიფი ფოლიანტები...
და ბეთჰოვენის კოსმიური, ზესთა სიმაღლე,
შტრაუსის, ლისტის და სენ-სანსის კორიანტელი
და ბახის მიერ აგებული ციხე-სიმაგრე!
და მტრედებივით დაფენილი უცხო ვარდები,
ნელი ვალსები, რომანსები, როგორც ზმანება,
ვარსკვლავეთიდან დაშვებული რიხარდ ვაგნერი,
დედამიწაზე მოვარდნილი ზღვად და ზვავებად!
და საშობაო კანტატები, როგორც საშველი,
როგორც სამზერი სამყაროში, — ხსნად და იმედად...
მძიმე დრო-ჟამში გამოჭრილი მცირე სარკმელი
და პიანისტის მაჟორული განწყობილება.
და მერე, მაღლა, ლაჟვარდებში, ისევ ირაო!
შოპენის ღამის სტიქიები, როგორც მზეები...
მთავარის სხივებში გახვეული ფორტეპიანო,
პრელუდიები, პიესები, პოლონეზები...
ქალი — **Allegro!**.. კულისებში ქარი ორპირი...
როიალები, მწარე ცრემლით დანამულები...
ავანსცენაზე აღარა ჩანს შენი პროფილი
და კამერული ორკესტრების სამაჯურები.

P.S. *თინათინ მღვდლიაშვილის ეს ლექსი — „მედეა ფანიაშვილი — “Allegro con fuoco”, პოეტმა კონსერვატორიაში გამართულ მედეა ფანიაშვილის ხსოვნის საღამოზე წაიკითხა.*

სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „კანდელში“
№14, 2014

კლავიატურაზე დაცემული ჩრდილი

ნესტან მესხი

„ბედნიერია ის, ვინც ემსახურება საყვარელ საქმეს, ხოლო ორმაგად ბედნიერია, ვინც ემსახურება მშვენიერებას“

და ამ დროს სრული გაუგებრობაა, როდესაც კონცერმაისტერის ფუნქცია განიხილება სოლისტის ჩრდილის ქვეშ, მხოლოდ თანმხლები ფონის ფუნქციით. მსმენელები შეიძლება ვერ ერკვეოდნენ ამ მუსიკალურ ინფრასტრუქტურაში, მაგრამ ხშირად თვით კონცერტმაისტერებიც თვითონ ზღუდავენ თავის როლს მხოლოდ სოლისტის დაქვემდებარებით, უკეთეს შემთხვევაში, პროფესიული კორექტულობით.

და ეს მაშინ, როცა მუსიკა ოკეანესავით, მხოლოდ წყალი კი არა, არამედ სიცოცხლის მთელი პალიტრაა, თავისი ბუნების ფანტაზიით, ფლორა-ფაუნით, არნახული ფერებით, მარჯნის რიფებით... კონცერმაისტერის მუშაობა კი ჰგავს ნავიგაციას ამ სამყაროს სიღრმეებში, მის შეთავსებას გარემოსთან.

ნამდვილად მაღალი კლასის კონცერტმაისტერი იშვიათობაა. ამისათვის საჭიროა სტერეოფონული სმენა, სრულყოფილი ტექნიკა, გემოვნება, სტილის და დრამატურგიის გრძნობა... ვოკალის შემთხვევაში – ტექსტის სრული წვდომა... წარმოიდგინეთ, საკმარისი არც ეს არის. ამასთან ერთად ყველაფერი უნდა ხდებოდეს თითოეულ ინდივიდუალურ სოლისტთან სრულ თანაფარდობაში, მისი მონაცემების გათვალისწინებით.

კონცერტმაისტერს უნდა ესმოდეს მთლიან კონტექსტში ყველა ბგერის, მელოდიური ხაზის და ჰარმონიის ბალანსი, გამტარი მოტივები, საჭირო აქცენტები...

წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ესეც ფუჭია, თუ მას არ ახლავს მუსიკის აზრობრივი გაგება, წრფელი ემოცია.

შესაძლოა მეც ბევრი ფუნქცია დავაკელი კონცერტმაისტერის არსს.

ამ სირთულეების ექსპერტად, ალბათ, შეიძლება ჯერალდ მური ჩაითვალოს – ყველა დროის უდიდესი კონცერტმაისტერი, ვისაც დიდ დირიჟორებს ადარებდნენ, მაგრამ დირიჟორებს ყველა იცნობს, ხოლოდ მურის სახელი ბევრი მუსიკოსისთვისაც კი არაა ცნობილი.

ვიქტორია ჩაპლინსკაია

სამწუხაროდ, ეს არის კონცერტმაისტერის საქმის სპეციფიკა. მხოლოდ დიდ ნიჭს, საქმის სიყვარულს და პროფესიონალიზმს შეუძლია გაწვდეს ამ უმნიშვნელოვანეს მზიდი ბოძის როლს.

კონცერტმაისტერმა უნდა აღზარდოს მომღერალი, შეიყვანოს იგი მუსიკის მთლიან ქსოვილში, მის პალიტრაში, მასშტაბთან სრულ თანაფარდობაში.

აქ ძალიან განსხვავდება კამერული და საოპერო მუსიცირება. ოპერის დიდ ორგანიზმში, პარტნიორებთან, გუნდთან თუ ორკესტრთან, სოლისტის პიეტეტი აუცილებელია.

თბილისის ოპერას ჰყავდა ასეთი დიდი გაჭანების კონცერტმაისტერი, არაჩვეულებრივი პედაგოგი და

არტისტი ქ-ნი ტატიანა დუნენკო. სწორედ მისი საქმის გამგრძელებელია შესანიშნავი მუსიკოსი, კონცერტმაისტერი და პედაგოგი ქ-ნი ვიქტორია ჩაპლინსკაია, რომელიც მის მაესტროს ძალიან უყვარდა.

ვიკამ შესანიშნავი სკოლა გაიარა თბილისში ბ-ნ თენგიზ ამირეჯიბთან და საკონცერტმაისტერო დახელოვნებაში ტატიანა დუნენკოსთან, ხოლო პეტერბურგის კონსერვატორიაში ცნობილ მუსიკოსებთან — სოფია ვაკმანთან და სოფია ხენტოვასთან. იქ მას სიყვარულით „ნაშა გრუზინოჩკას“ ეძახდნენ. პედაგოგების წინადადებით სამუშაოდ დარჩენა პეტერბურგშიაც შეეძლო, მაგრამ პოლონურ-რუსული გენეტიკის ქალიშვილმა, ვისაც წვეთი სისხლი არ ურევია ქართული, საქართველოს საკვირველი სიყვარული გამოავლინა და მას თავის ნამდვილ სამშობლოდ მიიჩნევს.

ეს დასტურდება იმ დიდი ამაგით, რომელიც მან დასდო თბილისის ოპერის თეატრს და ახლგაზრდა მუსიკოსების აღზრდის საქმეს.

ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრში, მკაცრ შესარჩევ კონკურსში იგი გამოარჩია ბ-მა ჯანსუღ კახიძემ — მიუკერძოებელმა და დიდად მომთხოვნმა მაესტრომ. ეს იყო ურთულესი პერიოდი, როცა ოპერის თეატრი მოსკოვის დიდ თეატრში გასტროლებისათვის ემზადებოდა. სხვა სპექტაკლებთან ერთად, რეპერტუარში შედიოდა რიხარდ შტრაუსის ურთულესი ოპერა „სალომე“, რომლის დადგმა ბევრი თეატრის შესაძლებლობებს სცდება. ავრეთვე ორი ახალი ქართული ოპერა: გია ყანჩელის „და არს მუსიკა“ და ბიძინა კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“.

ეს იყო კოლოსალური სამუშაო, რომელიც მიანდეს ჩაპლინსკაიას.

მას უხდებოდა მუშაობა ამ ქართველ კომპოზიტორებთან, დიდ და საინტერესო რეჟისორებთან — რობერტ სტურუასთან, გურამ მელივასთან, გიზო ჟორდანიასთან.

ავრეთვე თანამშრომლობდა ოთარ თაქთაქიშვილთან, სულხან ნასიძესთან, მერი დავითაშვილთან, დღემდე თანამშრომლობს კახა ცაბაძესთან.

ვიკა ჩაპლინსკაიამ ბათუმის საოპერო თეატრის გახსნაშიც შეიტანა თავისი შემოქმედებითი წვლილი.

მის რეპერტუარში შედის 30-ზე მეტი ქართული, რუსული თუ დასავლეთევროპული ოპერა.

ვიკა თანამშრომლობდა მაღალი რანგის დიდოსტატებთან: ლეგენდარულ ზურაბ ანჯაფარიძესთან, პაატა ბურჭულაძესთან, ცისანა ტატიშვილთან, მედეა ამირანაშვილთან, თემურ გუგუშვილთან, ალეკო ხომერიკთან მარიცა მაღლაფერიძესთან, გია გაგნიძესა

ვიქტორია ჩაპლინსკაია, ბიძინა კვერნაძე

და ნანა ქავთარაშვილთან, მზია ნიორაძესთან...

თავისთავად ეს სახელები ვიკას რეპუტაციაზე მეტყველებენ.

..და კიდევ, წარმოიდგინეთ, ვიკამ მოამზადა რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას შესანიშნავი სპექტაკლი „მარია კალასის გაკვეთილები“. ჩაპლინსკაია გახლავთ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების „აღდგომიდან ამაღლებამდე“ და „ბრავოს“ მუდმივი მონაწილე.

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც.

მე დავსწრებივარ მისი კლასის კონცერტებს, რომელთაც ყოველთვის ეტყობა ნიჭიერი, გამოცდილი და თავის საქმეში უზომოდ შეყვარებული მასწავლებ-

ლის ხელი.

ეს კონცერტები სცდებოდა სასწავლო დარბაზებს და ტარდებოდა გოეთეს ინსტიტუტსა თუ პარლამენტის ბიბლიოთეკაში.

მან აღზარდა ცნობილი მუსიკოსების ახალი თაობა: პიანისტი თამარ ლიჩელი, მომღერლები: ირინა რამიშვილი, ნანა ქავთარაშვილი, გია გაგნიძე და მიხეილ

ვიქტორია ჩაპლინსკაია მოწაფეებთან ერთად

კოლელიშვილი.

პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი ჩაპლინსკაიას შესახებ წერს:„ბუნებრივი მუსიკალური ნიჭით, სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვით, შრომისმოყვარეობით და საქმისადმი თავდაუზოგავი ერთგულებით ჩაპლინსკაიამ დაიმსახურა ქართული მუსიკალური საზოგადოების აღიარება და მაღალი ავტორიტეტი. პიანისტი აუდიტორიას იზიდავს შინაარსიანი და ემოციური შესრულებით, ხმოვანების მაღალი კულტურით და ბუნებრივი მუსიცირების უშუალო მანერით“.

„ეს სერიოზული, თავის საქმისადმი თავდადებული მუსიკოსი, ქართული საოპერო და საკონცერტმაისტერო ხელოვნების ჭეშმარიტი პატრიოტია. იგი გატაცებით მუშაობს თავის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან. მას დიდად ემადლიერებიან ვოკალისტები. მათი წარმატებები ვიკას მიზანი და ყველაზე დიდი სიხარულია. მახსენდება თავისი დიდი კოლეგის, ვაჟა ჩაჩავასადმი მიძღვნილი კონცერტი — მრავალმხრივი მნიშვნელობის ფაქტი. კარგად მომზადებული ვოკალისტებით და შერჩეული რეპერტუარით“ — მანანა ახმეტელი.

ვიკა ეხმარება მომღერლებს პარტიის შინაგან გააზრებაში და მსმენელამდე მიყვანაში. ის მათი განმანათლებელი, დირიჟორიც და რეჟისორიცაა. დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებდა მის თავდადებულ მუშაობას „შუშანიკის“ კლავირზე ბიძინა კვერნაძე. მას ვიკას პროფესიონალიზმის დიდი ნდობა ჰქონდა, ვიკა ზოგჯერ ურჩევდა კიდეც, როგორც ვოკალის კარგი მცოდნე, სიტყვასთან დაკავშირებულ ნიუანსებს. ბიძინას უკვირდა: „ამ ჩაპლინსკაიამ პავლე ინგოროყვას დონეზე იცის ქართული“-ო და ეს ვიკასათვის ყველაზე დიდი ქათინაური აღმოჩნდა.

ვიკას ოცნებებსაც ქართული ტენდენცია ამოძრავებს, მიიჩნევს, რომ ქართული კლასიკური მუსიკა იმსახურებს, რომ მას უფრო ფართოდ იცნობდნენ მსოფლიოში და ამიტომ ამ საქმის მხურვალე მომხრე და პროპაგანდისტია. ოცნებობს, რომ ჩვენ არ მივისწრაფოდეთ უცხოეთში ცოდნის მისაღებად, არამედ პირიქით, რომ სხვები ჩამოვიდნენ საამისოდ. ამ სფეროში საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს. დღეს ქართველი საოპერო მომღერლების მთელი კოჰორტა წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ. მაგალითად, გია გაგნიძე მღერის მილანის ლა სკალასა და ნიუიორკის მეტროპოლიტენ ოპერაში.

მე მგონი, ჩვენ ყველანი ამ აზრისა ვართ. სხვათა შორის, ეს ქვეყნის ღირსების საკითხია — შეუქმნა მათ ისეთი პირობები, რომ აქედან იწვევდნენ საგასტროლოდ სხვადასხვა ქვეყნებში. ეს არ იქნება მათი ფუფუნება. ეს განსაზღვრავს საქართველოს ადგილს მსოფლიო კულტურულ რუკაზე და ამ კულტურას ყოველთვის ქმნიდნენ ასეთი თავდადებული მოღვაწეები.

ვიქტორია ჩაპლინსკაია ამბობს, რომ პრეტენზია არა აქვს არაფერზე, ერთის გარდა, ემსახუროს თავის ქვეყანას, უყვარდეს იგი არა სიტყვებით, არამედ კონკრეტული საქმით, რომ ძლიერმა ხემ, საუკეთესო ნაყოფი გამოისხას. „ეს არის ჩემი გულისტკივილი, სიამაყე და სიხარული“. მაღალფარდოვანი გამოთქმა გეგონებათ, თუ კარგად არ იცნობთ ვიკას.

კონსტანტინე პევზნერი

თენგიზ ჯაიანი

„საღამო მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! ვიწყებთ კონცერტს. სცენაზეა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“. სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი — კომპოზიტორი კონსტანტინე პევზნერი“ — თითქმის 30 წლის მანძილზე ასე აცხადებდა სცენიდან ჩვენი მომხიბვლელი კონფერენსიე გია ჭირაქაძე. სწრაფი ნაბიჯებით სცენაზე გამოდიოდა უზადოდ შეკერილ კოსტიუმში, ეშხიანი და ბრწყინვალე კონსტანტინე პევზნერი, ორკესტრისათვის გაითვლიდა Auftakt-ს — „ერთი, ორი, სამი, ოთხი“... და იწყებოდა ფეერიული ჯადოსნობა! ამას სხვაგვარად ვერაფერს უწოდებ! გამაოგნებელი ქართული სიმღერები: გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, ოთარ თევდორაძის, ბიძინა კვერნაძის, სულხან ცინცაძის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის და სხვა მრავალი კომპოზიტორის, დაბოლოს — თვით კოტიკას სიმღერები; ცეცხლოვანი ქართული და მსოფლიოს ხალხთა ცეკვები, საორკესტრო პიესები, მათ შორის, ამერიკული ჯაზური, და ყველაფერი ეს შეზავებული მშვენიერ, ინტელიგენტურ იუმორთან. უბრალოდ ფანტასტიკა!.. და ეს ყველაფერი 60-იან წლებში! რა თქმა უნდა, ასეთის შექმნა შეეძლო მხოლოდ ძალიან, ძალიან ნიჭიერ ადამიანს და ასეთი ადამიანი იყო კონსტანტინე-კოტიკა პევზნერი. სხვათა შორის, კონსტანტინეს და თანაც გრიგორის-ძეს (გრიგორევიჩს), მას მხოლოდ ოფიციალურ ინსტანციებში მიმართავდნენ, ცხოვრებაში კი — თავისი ულამაზესი ცოლით, მერციათი დაწყებული, ახალგაზრდა, დამწყები მუსიკოსით დამთავრებული — ის იყო უბრალოდ კოტიკა.

მე „რეროში“ მუშაობა ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტმა დავიწყე. რთული არაა წარმოვიდგინოთ,



კონსტანტინე პევზნერი

თუ როგორი სათაყვანებელი კერპი იყო ჩემთვის კოტიკა პევზნერი. ეს ხომ ის დრო იყო, როდესაც ჩვენ მალულად ვუსმენდით გადაცემებს ჯაზზე, ვნადირობდით რენტგენის სურათებზე, რომლის „ნეკნებზე“ იწერებოდა აკრძალული მელოდიები. მეც ვუკრავდი ჯაზს, ჯაზური ანსამბლებისთვის ვაკეთებდი არანჟირებებს, რომლებიც იმ წლებში ინსტიტუტებში ყალიბდებოდა ხოლმე, ზოგი მათგანის ხელმძღვანელიც კი ვიყავი. მაგრამ ეს ყველაფერი იყო მოყვარულის დონეზე. აქ კი — ნამდვილი პროფესიული ორკესტრი! სხვათა შორის, „რერო“ გია ყანჩელმა „გამირიგა“. პევზნერი ეძებდა პიანისტს, რომელსაც ეცოდინებოდა ორკესტრი, არანჟირება და უანგაროდ ეყვარებოდა ჯაზი. მე და გია მაშინ ვმეგობრობდით, ხოლო გია ძალიან ახლოს იცნობდა კოტიკას და მოუყვა ჩემს შესახებ. მიმიწვიეს, გამესაუბრნენ, მომისმინეს და მიმიღეს. კონსტანტინე პევზნერი მაშინ ნამდვილად ლეგენდა იყო. ბაქოში ის ხელმძღვანელობდა კასპიის ფლოტილიის ორკესტრს.

მის ისეთ პოპულარულ სიმღერებს, როგორებიცაა „ფარიდა“, „კატა და ფლავი“ და სხვ., თვით რაშიდ ბეიბუთოვი მღეროდა! კოტიკა უკვე ცნობილი იყო, როგორც მაღალი კლასის პროფესიონალი და ხელმძღვანელი.

იმ ხანებში, თბილისში, დიდი პოპულარობითა და

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ГПИ) ორკესტრი

წარმატებით სარგებლობდა ე.წ. „ГПИ“-ს (თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ორკესტრი და სწორედ იქ მიიწვიეს კოტიკა სამხატვრო ხელმძღვანელად.

ორკესტრი სამოყვარულო დონიდან მალევე იქცა თითქმის პროფესიულად — საინტერესო, მხიარული პროგრამით, შესანიშნავი სოლისტებით. კოლექტივი დადიოდა გასტროლებზე, გახდა მოსკოვის ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, თუმცაღა, ეს მაინც თვითმოქმედება იყო. ნათელი იყო, რომ საქართველოს უცილობლად ესაჭიროებოდა სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი და ასეთი ორკესტრი შეიქმნა — ის შექმნა კოტიკამ. ორკესტრს ეწოდა „რერო“, ასევე კოტიკას იდეით.

ვეცდები გავიხსენო ორკესტრის სოლისტები და მკითხველმა თვითონ განსაჯოს მისი კოლექტივის დონე და ოსტატობა. კონფერანსიეები: ბაჯული გელოვანი, ქართლოს კასრაძე, გია ჭირაქაძე, თენგიზ ჩანტლაძე, ოთარ მჭედლიშვილი, ხერხეულიძე და ჟივიძე, ბიძინა მახარაძე. მომღერლები: ლილი გეგელია, ნანი ბრეგვაძე, ნაზი დუმბაძე, სულიკო კოროშინაძე, ვახტანგ კიკაბიძე, ნანული აბესაძე, ეთერ ჭელიძე, ეთერ კაკულია, ნიკო ჯადუგიშვილი, ზურაბ რცხილაძე, ზურაბ ცისკარიძე, მანანა მენაბდე, დიდიმ ლოგუა, გენო ონაშვილი, დემურ ცქიტიშვილი, თემურ ცაგურია, ლოლა ხომიანცი, ირმა სოხაძე, ნანა ნაღებაშვილი, სერგო ნონიაშვილი, სოსო და ამირან ებრალიძეები, მედეა ძიძიგური, ინგა ფერაძე, მედეა კალანდაძე, ჯულიეტა მურადელი. ვოკალური კვარტეტი: გურამ ბზვანელი, შოთა ხარაბაძე, თამაზ ცინცაძე, გურამ ბაკურაძე. მკითხველთაგან მრავალს გაუკვირდება, მაგრამ გარკვეული ხანი ორკესტრში მუშაობდა ლუდმილა გურჩენკო — მისი გამაოგნებელი წარმატების შემდეგ ფილმში „საკარნავალო ღამე“.

თავბრუდამხვევია ამ სახელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი — თითოეულმა მათგანმა, სხვადასხვა დროს, სახელი გაუთქვა ქართულ საესტრადო ხელოვნებას და ყველა ამ ვარსკვლავმა (სხვათა შორის, მაშინ არ იყო ტერმინი „ვარსკვლავი“, მათ ყველას უბრალოდ ეწოდებოდა — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი) კოტიკას საოცარი უნარის — მოეძებნა საერთო ენა ყველასთან და თითოეულ მათგანთან, მისი მომხიბლაობის, და რაც მთავარია, მისი ტალანტის წყალობით, თავი მოიყარა მის გარშემო.

კოტიკა სოლისტებისათვის სიმღერების ძებნაში მოსვენებას არ აძლევდა (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) კომპოზიტორებსა და პოეტებს, ამასთან, თითოეული ნაწარმოები მკაცრ კრიტიკასა და საგულდაგულო დამუშავებას გადიოდა. მისი ფრთიანი ფრაზა — „სიმღერა ძალიან კარგია, მაგრამ... ის უნდა გადაკეთდეს“, დღემდე ტრიალებს თბილისელ კომპოზიტორთა შორის. სიმღერას გადააკეთებდნენ, შეავსებდნენ, არანჟირებას გაუკეთებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგენდნენ მსმენელს განსასჯელად. ცხადია, საქმისადმი ასეთ მომთხოვნ, პროფესიულ დამოკიდებულებას სათანადო შედეგები მოჰქონდა. „რეროს“ ყოველ ახალ პროგრამას მსმენელი სულმოუთქმელად ელოდა, ამასთან, ელოდ-

ნენ არა მხოლოდ საქართველოში. საკმარისია ვთქვათ, რომ ორკესტრი რამდენიმე წლის მანძილზე ხსნიდა და ხურავდა მოსკოვის საზაფხულო თეატრ „ერმიტაჟის“ საკონცერტო სეზონებს, თვეების მანძილზე გამოდიოდა ლენინგრადში და კონცერტებით რამდენჯერმე მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი — კლაიპედადან პეტროპავლოვსკ-კამჩატსკიმდე. „რერო“ იყო გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კენიაში, ტუნისში, ალჟირში. ცნობილი იმპრესარიო, პარიზის „ოლიმპიის“ საკონცერტო დარბაზის მფლობელი ბრუნო კოკატრიკსი არჩევდა რა სოლისტებს “Grand Music-Hall de L’USSR”-ისათვის, ყურადღება „რეროზე“ შეაჩერა და ჩვენ ერთი თვე პარიზში გამოვდიოდით. ეს იყო 1966 წელი, დრო, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მხოლოდ დიპლომატებსა და ჯაშუშებს უშვებდნენ!

აქ უნდა აღინიშნოს კოტიკას უნარი მოემზადებინა მხოლოდ ქართული საკონცერტო პროგრამა. მართალია, შეიძლება ყოფილიყო ორი ან სამი ძალიან პოპულარული ჰიტი, მაგრამ მთელი აქცენტი გადატანილი ჰქონდა ეროვნულ, ქართულ ჟღერადობაზე, მათ შორის, კონფერანსიეს იუმორისტულ ნომრებშიც კი. და რაც მთავარია, კოტიკა თვითონ ასწორებდა, შეჰქონდა კორექტივები თვით ლიტერატურულ მასალაშიც კი. თითქოსდა უმნიშვნელო ერთი-ორი შტრიხი — და ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

მინდა მოვიხმო კონსტანტინე პევზნერის სიტყვები იმჟამად პოპულარულ ჟურნალ „ესტრადა და ცირკისათვის“ მიცემული ინტერვიუდან, რადგანაც მგონია, რომ ეს იყო მისი შემოქმედებითი კრედო: „ჩვენ გვაქვს ერთი უცვლელი პოზიცია — „რეროს“ არასდროს ჰქონია ორიენტირი შლაგერებზე, რომლებიც, როგორც იტყვიან, ესტრადაზე „ამინდს ქმნიან“. ასეთი პოზიცია ჩვენ ცხოვრებას სიმსუბუქეს არ მატებს, თუმცა ჩვენ მისკენ არც ვილტვით. მსუბუქი ცხოვრება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ მაყურებლებს“. აბა, რაღა შეიძლება აქ დავამატოთ?

როგორც ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ, კოტიკა ესტრადის პარალელურად „სერიოზულ“ მუსიკასაც წერდა. მას დაწერილი აქვს რამოდენიმე პრელუდია და სონატა ფორტეპიანოსათვის, სიმებიანი კვარტეტი, პიესები ვიოლინოსათვის, მუსიკა კინოფილმებისათვის, თეატრალური დადგმებისათვის და ოთხი ოპერეტა, რომლებიც ოდესისა და მოსკოვის თეატრებში იდგმებოდა.

კოტიკა ჩვენგან 1990 წელს წავიდა... თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ მისი მუსიკა ჟღერს დღესაც. ჩვენ, მისი მეგობრები და კოლეგები,

სხედან მარცხნიდან: დემურ ცქიტიშვილი, უცნობი, სულიკო პოროშინაძე, უცნობი, კონსტანტინე ქიშმიშევი; უკანა რიგში მარცხნიდან: კონსტანტინე პევზნერი, კაკი ჭავჭანიძე, თენგიზ ჯაიანი. სოხუმი. 1963.

უდიდესი სიყვარულით ვიგონებთ მასაც და მერციასაც, რომელიც ფურცელ-ფურცელ აგროვებს და აქვეყნებს ყველაფერს, რაც კი ოდესმე დაუწერია და დაუდევრად „ყუთში“ ჩაუყრია კოტიკას... ჩვენ კი, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ვეხმარებით მას ამაში. პატივი და დიდება ამ შესანიშნავ ქალბატონს!

ჩემი წერილი მინდა დავასრულო გამოჩენილი რეჟისორის, გიგა ლორთქიფანიძის მიერ კოტიკას იუბილეზე თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში თქმული სიტყვებით:„მე მოვითხოვ, რომ დღეიდან საქართველოში ითქვას: შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორი და მუსიკოსი კოტიკა (კონსტანტინე) პევზნერი!“, და რა თქმა უნდა, ის ასეთად დარჩება ჩვენთვის მარად.

იტალიის ქალაქ პადოვაში XII საერთაშორისო კონკურსში "Premio Citta di Padova" გაიმარჯვა ქართველმა კლარნეტისტმა დიმიტრი ბოქოლიშვილმა. ეს მით უფრო აღსანიშნია, რომ კონკურსის ფინალში ყველა ინსტრუმენტალისტის (ფორტეპიანო, სიმებიანები, კამერული ანსამბლი, საფორტეპიანო დუეტი) შეფასება ხდება ერთად. ბოქოლიშვილმა მონაწილეობა მიიღო უმაღლეს ასაკობრივ კატეგორიაში და პირველი პრემია "Citta di Padova" პოლონელ ფლეიტისტთან გაიანაწილა. ბოქოლიშვილს თანხლებას უწევდა ქართველი პიანისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქ-ნი ნუნუ ჭელიძე, რომლის შესრულების მაღალი პროფესიული დონე ჟიურის ყველა წევრმა აღნიშნა.

დიმიტრი ბოქოლიშვილის პედაგოგები დავით ჯიშკარიანი და რომის აკადემიის პროფესორი ალესანდრო კარბონარე, ცხადია, კმაყოფილნი და გახარებულნი არიან. კარბონარე ძალიან დაინტერესდა საქართველოთი. მან სურვილი გამოთქვა კონცერტი გამართოს თბილისში.

ჟურნალმა "Newsweek" გამოაქვეყნა სტატია „გნებავთ ოპერაში სიმღერა, ისწავლეთ გერმანული", რომელშიც მოცემულია საინტერესო სტატისტიკა. გერმანიაში ფუნქციონირებს სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი 83 საოპერო თეატრი, 200 დრამატული თეატრი, 130 ორკესტრი და 70 მუსიკალური ფესტივალი. ავსტრიაში 67 თეატრი, შვეიცარიაში — 30, მაშინ, როცა დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ 12 საოპერო თეატრს. მარტო შარშან გერმანიაში დაიდგა 7 230 საოპერო სპექტაკლი, მსოფლიო რაოდენობის დაახლოებით მესამედი. მეორე ადგილზეა ამერიკა — 1 730 სპექტაკლი. მესამეზე — რუსეთი, 1441 სპექტაკლი, მეოთხეზე — საფრანგეთი, 1288 სპექტაკლი.

გერმანიის საოპერო თეატრებში დასწრება კვლავ მაღალ დონეზეა. ბოლო 4 წლის მანძილზე ზოგან შემცირდა დასწრება, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა ადგილებში პირიქით, გაიზარდა. ავსტრიაში 2011-2012 წწ. დასწრება გაიზარდა 3,8%-ით, შვეიცარიაში არ ჩატარებულა სტატისტიკური კვლევა, მაგრამ სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ მოსახლეობის 66,1% რეგულარულად დადის დრამატულ თეატრში, ოპერაში ან მუზეუმში.

2014-15წწ. სეზონში, ლოს-ანჯელესის ოპერა წარმოადგენს „ფიგაროს ტრილოგიას" — როსინის „სევილიელ დალაქს", მოცარტის „ფიგაროს ქორწინებას" და ჯონ კორილიანოს „ვერსალის აჩრდილებს", რომელიც მან 1991 წელს დაწერა. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ბომარშეს ტრილოგიის მესამე ნაწილი „დამნაშავე დედა", რომელიც იშვიათად იდგმება.

სეზონი გაიხსნება ვერდის „ტრავიატათი", სადაც ბარიტონის, ჟერმონის პარტიას შეასრულებს თეატრის გენერალური დირექტორი პლასიდო დომინგო. პერსელის „დიდონას და ენეოსს" და ბარტოკის „ლურჯწვერას" დადგმებს განახორციელებს ბერი კოსკი.

სანქტ-პეტერბურგში გაიხსნა მოყვარულ პიანისტთა IV საერთაშორისო ფესტივალი „საფორტეპიანო ხიდები". მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის მოყვარული პიანისტები 17 წლის ასაკიდან. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვთ პროფესიონალებს — მუსიკალური სკოლების, სასწავლებლების, კონსერვატორიის საფორტეპიანო კლასის პედაგოგებსა და სტუდენტებს.

კონკურსი იმართება ორ ნომინაციაში: საფორტეპიანო დუეტი (ოთხ ხელში) I ტურში, და II ტურში სოლო. ორივე კატეგორიაში შეირჩევა 15 კონკურსანტი. პირველ კატეგორიაში შევლენ ის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო მუსიკალური განათლების დიპლომი, მაგრამ 3 წელზე მეტი ხანია არ უმუშავიათ სპეციალობის მიხედვით. მეორე კატეგორიაში კი შევლენ მოყვარული პიანისტები, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური მუსიკალური განათლება.

I, II, III პრემიების გარდა, წელს ვალერია გავრილინას დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაწესებულია პრემია მისი ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისათვის. ჟიურის

თავმჯდომარეობს სანქტ-პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორი, პიანისტი და კომპოზიტორი გრიგორი კორჩმარი.

ბოსტონში, ბავშვთა კლინიკაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ბავშვების ტვინის ფუნქციების მუშაობა მნიშვნელოვნად უკეთესია, რომლებიც ადრეული ასაკიდან ეუფლებიან მუსიკას. რეზულტატები, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში "PLOS ONE", მიუთითებს იმაზე, რომ ტვინის ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია ისეთ შემეცნებით პროცესებზე, როგორებიცაა ამოცანების გადაწყვეტა, ქცევის რეგულირება, ინფორმაციის დამუშავება და შენახვა, უფრო აქტიურია იმ ადამიანებში, რომლებიც მუსიკას სწავლობდნენ. კვლევის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის დოქტორი, ნადინ ჰაადი ამბობს: „იმდენად, რამდენადაც ტვინის შემსრულებლობითი ფუნქციონირება სასწავლო მიღწევებისთვის ინტელექტის კოეფიციენტზე (IQ) მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შედეგების სავანმანათლებლო მნიშვნელობა ძალიან დიდია. მაშინ, როდესაც უმეტეს სკოლებში მუსიკალურ პროგრამებს ამცირებენ, ჩვენი კვლევები აჩვენებს, რომ მუსიკალური განათლება, ფაქტობრივად, აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას. ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ 9-12 წლამდე ასაკის მუსიკალური განათლების მქონე 15 ბავშვი ამავე ასაკის მუსიკალური განათლების არმქონე 12 ბავშვს. აგრეთვე, უფროსი თაობის ორი ჯგუფი — პროფესიონალების და არამუსიკოსების. ჩვენი კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღების დეფიციტის მქონე და ჰიპერაქტიული ბავშვებისათვის (ADHD-ს სინდრომი) და მოხუცებისათვის. მომავალმა კვლევებმა უნდა გვიჩვენონ, შესაძლებელია თუ არა მუსიკა გამოყენებული იქნეს როგორც თერაპიული ინტერვენციული ინსტრუმენტი ამ ტიპის ბავშვებისა და უფროსების მკურნალობის პროცესში".

მალე ამერიკაში გადაიღებენ ფილმს ვან კლაიბერნზე. მას საფუძვლად დაედება ჰოვარდ რეიხის წიგნი მუსიკოსის ცხოვრებაზე, პირველ ყოვლისა, ჩაიკოვსკის სახელობის I საერთაშორისო კონკურსზე მის გამაოგნებელ გამარჯვებაზე. იმაზე, თუ ცივი ომის პირობებში, 1958 წელს, ერთი, ყველასათვის უცნობი 23 წლის პიანისტი როგორ ჩავიდა მოსკოვში და როგორ დაიპყრო მუსიკის მოყვარულთა გულები, თვით ჟიურის წევრებისაც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას პირველი პრემია მხოლოდ ცკ კპსს-ის პირველი მდივნის, ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის შესაბამისი განკარგულების გაცემის შემდეგ მისცეს. კლაიბერნის როლს ფილმში შეასრულებს 20 წლის ანსელ ენგორტი. მას ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლა არ დასჭირდება — მან დაამთავრა „ლა გარდიანის" საშემსრულებლო სკოლა ნიუ იორკში.

სტატისტიკური ვებ-გვერდის "Operabase" მონაცემების მიხედვით, გასულ სეზონში, თითქმის ორმოცმა საოპერო კომპოზიტორმა, რომელთა ნაწარმოებები განსაკუთრებით ხშირად სრულდებოდა, ამოწურა თავისი თავი. თანამედროვე კომპოზიტორთა შორის ყველაზე ხშირად სრულდება კომპოზიტორ, ფილიპ გლასის ოპერები, 66-ჯერ დაიდგა. ყველაზე პოპულარული ვერდი კი — 2 586-ჯერ. ამასთან, თანამედროვე დრამატულ თეატრში სხვა მდგომარეობაა. ტომ კეინსი, რომლის დადგმა — „ტრავიატა" 17-23 აგვისტოს ჩათვლით მიდის გლაინდბორნის საოპერო მუსიკის ფესტივალზე, ამის მიზეზებს იმაში ხედავს, რომ თანამედროვე ლექსიკა დიდად არ განსხვავდება 1850 წლის მეტყველებისაგან, მაშინ, როდესაც თანამედროვე კლასიკური მუსიკა, ნაკლებად ჰგავს XIX საუკუნის შუა წლების მუსიკას. და მაინც, მანჩესტერის „ჰალეს" ორკესტრის დირექტორი, დირიჟორი სერ მარკ ელდერი, იმედს არ კარგავს. ის დარწმუნებულია, რომ „ყოველ ახალ თაობაში ყოველთვის არის სეგმენტი, რომელსაც ახალი იზიდავს. ამ სეგმენტის არსებობა კი დავგეხმარება გავაცნოთ ახალ თაობას ახალი საოპერო მუსიკა მაშინ, როდესაც მისი ენა არ იქნება ესოდენ უცხო".

გასულ სეზონში, ყველაზე ხშირად დადგმულ ოპერებში, ბერგის „ვოცეკმა" 68-ე ადგილი დაიკავა. მას წინ უსწრებდა უფრო ადვილად აღქმადი ჰენდელის ოპერა „იულიუს კეისარი ეგვიპტეში".

THE FESTIVAL

Mzia Japaridze

From Easter to Asention Day

In the article is reviewed the musical festival "From Easter to Asention Day" held this year already for the 9th time. The festival was founded by the sanctification of the Patriarch, by the initiative and support of Akaki Ramishvili's international fund "Innovation and Tradition". (the inspirer and the leader of the organization group – Mariam Davitashvili). All festivals had various art directors, the Georgian authoritative musicians. For the last three years the festival has had the constant art director, the world-known pianist- Alexander (Sasha) Korsantia.

As the author says three factors distinguished the festival `From Easter to Asention Day" : the special attention is paid to the professional music. The remembrance evenings of the workers of the Georgian musical culture are held. The concerts are held not only in Tbilisi but in the regions too. This year such festive evenings were held in Kvareli, Vani, Batumi. The author from the festival of this year singles out chamber music evenings where the duet of the famous musicians Isabel Faust (the violin) and Alexander Melnikov (the piano) performed ten sonatas for the violin by Beethoven. The author also expresses her impressions about A. Korsania's trio – "Sempre", the chamber orchestra ` The Georgian Symphonietta" (the conductor Gogi Chichinadze), about the musical works by Irakli Tsintsadze and other performers.

THE EPOCHAL PORTRAITS

Temur Gugushvili, Revaz Takidze, Shavleg Shilakadze, Svetlana Ketsba

Otar Taktakishvili

The article is dedicated to the 90th anniversary of the famous composer of the 20th century – Otar Taktakishvili.

According to the words of the well-known singer Temur Gugushvili (it has been for decades that Taktakishvili's musical works occupy the special place in his repertoire), up today Taktakishvili's music excites

not only the Georgian musicians, but the listeners of different nationalities outside Georgia, who don't know much about the Georgian music and Georgia in general.

The articles represent Otar Taktakishvili as the portrait of an inimitable person: the well-educated musician, intellectual, the brilliant orator, full of the personal charm. He was the Rector of the Tbilisi Conservatoire for a short time, but managed to leave the significant trace. Otar Taktakishvili was the Minister of Culture of Georgia for a long time. It was the epoch when the Georgian art was in full flourish paving the way beyond the limits of the country. Otar Taktakishvili had a great authority everywhere.

The authors of the article recall the festive atmosphere at the first nights of Otar Taktakishvili's musical works after which the youth sang the arias from one of the operas.

Until the Georgian nation, culture, music exist, Otar Taktakishvili's creative work and his name will live.

GEORGIA AND THE WORLD

Nargiza Gardapkhadze

Georgian – Israeli 26 Century Jubilee of Friendship

The Georgian government declared 2014 year as the Georgian – Israeli 26 century jubilee of friendship. The publication depicts the concerts dedicated to this date held in Batumi, Kutaisi and Tbilisi. The world –known orchestra from Israeli "Camerata from Jerusalem" appeared before the listeners directed by the unchangeable founder of it – Avner Biron. His biography is distinguished as the music is not his profession. First he got Master's degree in biology and microbiology and after it he began his musical career. As he says he inculcated the scientific thought in music. The pianist Sergey Babayan also took part in the concerts. In the second part of the concerts the musical works by Joseph Bardanashvili (born and grown up in Georgia and now working in Israeli) were performed.

All these became possible by the untiring efforts of the world – known Georgian pianist Alexander Korsantia and the Patriarch's charity fund.

CREATIVE TRANSFORMATIONS

Manana Kordzaia

Vakhtang Machavariani in a New Role

The article responds to the concert held at the Grand Hall of the Tbilisi State Conservatoire where the Georgian conductor Vakhtang Machavariani who works actively on the international field appeared before the listeners in a new role. The premiere of his First Symphony was held at the concert. As the author says V. Machavariani has been getting ready for it for a long time. In the article we read that the initiator of it was his father – a great Georgian composer Aleksi Machavariani. Some years ago while preparing for the concert version the conductor had to add the main scene to the opera "Medea" by Aleksi Machavariani. According to the author's words the orchestral coloration, the intensity of sonority and energy is the result of that experience which V. Machavariani got as a conductor of Georgian and the European best symphony and opera orchestras.

THE POINT OF VIEW

Anzor Shomakhia

"The Voice of the Herald in the Desert"



The author – the opera singer Anzor Shomakhia with the extreme bitterness talks about the problems of the Georgian culture, the Georgian musical art. It is said in the article that the Georgian musical art and education has been destroying for more than twenty years.

In the authors opinion the state doctrine culture, art and educational system connected with it should be elaborated and on its ground after the public discussion the thorough reform must be carried out.

THE DIALOGUE WITH THE ARTIST

Tea Kipiani

Sempre

The publication represents the dialogue with the Georgian pianist, the laureate of many international competitions – Tamar Licheli. Since the early age she has made an impression and always constantly attracts the attention. She founded the festival of her maestro,

the passed pianist Tengiz Amirejibi , has published the book about him. Recently she has formed the piano trio "Sempre" with her like –minded persons- Lela Mchedlidze (the violin) and Hayk Babayan (cello). In her creative work the special place is occupied by the Georgian music. About this and other questions Tea Kipiani talked with Tamar Licheli.

THE EPOCHAL PORTRAITS

Manana Kordzaia

" From Here and up to you"

Dedicated to the 75th Anniversary since Joseph Kechakmadze's Birth

The article is written under the impressions got from the concert dedicated to the 75th anniversary since the birth of the great Georgian composer Joseph Kechakmadze.

Joseph Kechakmadze limited his creative work with one sphere – the choir a cappella music. He was interested whether in the epoch of instrumental music raise he would be able to unite the components unusual by a cappella choir sonority into one harmonious composition, to make such modern emotional field, rich in sonority which we find in choir compositions accompanied by the orchestra. Kechakmadze ran the risk and the experiment justified. The interest towards his music grew from day to day and it reached the acme in the seventieth when his choir cycle ` The Songs of Old Tbilisi" where first performed by the Georgian State Cappella. The success was triumphal.

The 70 year and recently 75 year of his jubilee where marked by the brilliant concerts in the Jansugh Kakhidze Musical –Cultural Centre (the conductor Vakhtang Kakhidze). The society was once again impressed by his music.

Many famous Georgian artists and foreign guests discovered this great composer then.

THE FOLKLORE

Ketevan Baiashvili

The Ensemble "Dziriani" on a Visit with the Ilia University Ethnomusicologists

At the Ilia University it has become the tradition the students' meeting with the groups of the Georgian folk song performers held by the ethno-musicological research direction of the university.

The article represents the folk, namely Rachuli (Racha is one of the regions of Georgia) songs' best performed ensemble "Dziriani" (the director Tornike Skhiereli).

As the author says, "Dziriani" is not only the ensemble, it is a kind of laboratory. The aim of the ensemble is not only the performance of the song, "corrective amendments" in it but the preserving and protection the manner and traditions.

It is remarkable that the director Tornike Skhiereli selects the repertoire with a great care. He himself searches and writes down the songs.

As the author says together with the high profes-

sionalism, it is the authenticity or naturallity which distinguishes the ensemble. This, certainly, is explained by the Rachuli origin and the continous connection of the ensemble members with the native region.

The ensemble attracts the attention with its sincreticity – the ensemble perfectly performs Saperkhulo and Satsekvao songs.

The characteristic features of "Dziriani" are also improvisation and polyvariantation. All these make the ensemble very impressive.

FROM THE VIEW OF THE YEARS

Rodam Jandieri

The Pages of my Life

The author, the famous violinist Rodam Jandieri recalls those who played the significant role in her formation as a musician. As it is shown in the article, the

number of such people is great, though she singles out two people with whom she studied in the violin class- the violinists – Shota Shanidze and Leo Shiukashvili. The author tells us about Shota Shanidze's professional education and a great number of students left by him. The author also notes that during the years Shota Shanidze had various concertmasters and he honored each of them. She recalls her relations with the violinist D. Oistrach and his assistant prof. B. Bondarenko in Moscow. The author mentions with love the headmasters of the 10 Year School of the Gifted- Givi Svanidze and Givi Khatiashvili, the Rector of the Conservatoire, the composer Iona Tuskia and the other teachers. She remarks that the activity of these people represents the significant pages in the chronicle of the Georgian musical culture.

THE SCIENCE

Shio Abrakhamia

Pshauri Singing Folklore in the Professional Choir Music

The folklore of one the Georgian region Pshavi has played a great role in the development of the Georgian professional musical culture. Many innovatory tendencies are connected with its creative use.

The composer Shalva Mshvelidze is the founder of the Pshavian laying. Later Joseph Kechakmadze concerns these themes in the choir cycle "The Pshavian Idyll". The author singles out the works of that professional music which are significant: "Pshauri" by Shalva Mshvelidze where for the first time we find the use of Pshavian folklore and the Pshavian " Idyllies" by Joseph Kechakmadze as the consideration of the style in a new manner. Besides they are the best patterns in the choir musical genre by their artistic significance nowadays.

REMEMBRANCE

Nodar Mamishashvili

Sounded Kindness

The composer Nodar Mamisashvili recalls the

episodes of his relations with his senior colleague Vladimir Kurtidi, which he calls the pages of missing.

Vladimir Kurtidi's name is known for those Georgians who have had the reference with the musical art as he has cre-

ated many remarkable piano works also he dedicated chamber – instrumental musical work to children. His musical works sounded at the concert stage, they were staged at the Tbilisi Musical Comedy Theatre. Everybody who knew Vladimir Kurtidi (he would be 105 now) recalls him with great love as the person full of both outer and inner charm. They express especial honor to him because being the Greek by origin, living in Tbilisi he did his significant bit in the treatment of the Georgian folk musical works and in the enriching of the professional music with the Georgian folk pearls.

RETORT

Mzia Japaridze

SOS! – Four New Operas

There is expressed indignation in the article concerning the competition – "Four Revealing the Best Opera Musical Work" held by the Ministry of Culture and Protection of Monuments. The author



considers that the competition conditions and its results ignore professionalism. Four of the winner authors of the opera are the students. One is the pupil- 13 year old, another is a lover of music. According to the author the competitors' performance of the represented score and clavier are doubtful.

The owner of the first prize was given 10 000 Laris. The second price owner is ordered the new opera by the Ministry of Culture as it was noted "For the Development of the Genre in Georgia" and it happens in the period when the professional composers need stimulation and help. The author remarks that the title of one of the operas was "SOS". As she says it is just the word that suits the existing situation.

THE CHRONICLE

Levan Mizandari

The Blind Conductor and the Unknown Military Music

The article is dedicated to the first Georgian conductor, the founder of the folk guards orchestra Valerian Mizandari who has become 120 since his birth. The author by means of the contemporary memoirs informs the reader about Valerian Mizandari as the person, his desert and traffic fate.

Valerian Mizandari was the representative of the musical family. At the early age one could see his revealed musical gift. Unfortunately the successful motion towards the high aims was interrupted.

At the early age being 28 years old, he lost the eyesight. There was the period when he conducted the operas in such situation which attracted the listener-spectators but it did not continue for a long time. In spite of his short activity he managed to leave the considerable trace.

THE TRACE

Tinatin Mgvdliashvili

Medea Panishvili – The Queen of the Georgian Music

The publication represents the article and the poem dedicated to the remembrance of the irreplaceable Georgian musician, the brilliant pianist, the teacher and the public figure- Medea Paniashvili. She lived only 48 years but acted amazingly prolifically. She has created the

chamber ensemble "Camerata", has formed the piano duet together with Medea Altunashvili, has popularized the clavecine music in Georgia, later she founded the Academy of Art in Georgia where she held the evenings of the classic music and literature for some years. She propagandized the classical music in the regions of Georgia.

Medea Paniashvili was distinguished by the rare ability for the reading the musical text of any difficulty from the page (among them is the score too). The Georgian composers addressed in most cases to her for the representation of their musical works. That's why she was called the support of the Georgian music.

THE PORTRAIT

Nestan Meskhi

The Shade on the Keyboard

The article is dedicated to the pianist, the famous concertmaster Viktoria Chaplinskaya who did her great bit in the Opera Theatre and the upbringing of the young musicians. She collaborated with the Georgian composers: Gia Kancheli, Bidzina Kvernadze, Otar Taktakishvili, Sulkhan Nasidze, Meri Davitashvili, Kakha Tsabadze, also with the great and interesting producers: Robert Sturua, Guram Meliva, Gizo Zhordania, with the great singers of the high rank: the legendary Zurab Anjaparidze, Tsisana Tatishvili, Medea Amiranashvili, Temur Gugushvili, Marika Maglaperidze, Gia Gagnidze, Nana Kavtarashvili, Aleko Khomeriki and Mzia Nioradze. She brought up the new generation of the famous musicians: the pianist Tamar Licheli, the singers Irina Ramishvili, Nana Kavtarashvili, Gia Gagnidze and Mikheil Kolelishvili.

Viktoria Chaplinskaya's repertoire consists of more than 30 Georgian, Russian and West European operas. She is the constant participant of the international music festivals: "From the Easter to Asention Day" and "Bravo".

THE JAZZ

Tengiz Jaiani

Konstantin Pevzner



The article is devoted to Konstantin Pevzner, the person who created The State Variety Orchestra of the 60th in Tbilisi by the name "Rero" (the author himself took part in it as a Jazz-pianist, the master of arrangement). "Rero" wonderfully performed the musical works by the Georgian composers – the Georgian and the world people dances, orchestral plays, among them are the American Jazz and songs by Pevzner performed by the brilliant representatives of the Georgian variety gathered in "Rero" thanks to Konstantin Pevzner.

K. Pevzner did not give a rest (with the exact meaning of the word) to the composers and poets in search for the songs for the soloists. At the same time, each musical work underwent the strict criticism and careful treatment.

According to the author's words each concert of "Rero" was a fairy show, each program was very much expected by the listener and not only in Georgia. The orchestra travelled round the Soviet Union. "Rero" was in some foreign countries as well. The famous impresario Bruno Kokatriks, the owner of the Parisian Concert Hall "Olympia", while selecting the soloists for the "Grand Music-Hall de L USSR", dwelt attention on "Rero" and the ensemble was in Paris for a year in 1966, the time when only diplomats and spies could visit the Capitalist countries.

Later it became known that parallely with the variety, K. Pevzner wrote the "serious" music too.

K. Pevzner has left the name of the irreplaceable creator who will never be forgotten.

A CD enclosed with the magazine contains a soundtrack for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:

1. Mary Davitashvili. "Khorumi". Performed by Tamar Licheli (feature: "From Easter to Asention Day", p. 2);
2. Mary Davitashvili. Orchestral Suite from the ballet "Solar Wedding". Performed by The Georgian State Symphony Orchestra. Conductor Revaz Javakhishvili (feature: "From Easter to Asention Day", p. 2);
3. Otar Taktakishvili. Opera "Mindia". Mindia's aria. Performed by Teimuraz Gugushvili. (feature: "Otar Taktakishvili", p. 12);
4. Joseph Bardanashvili. String quartet processed for a chamber orchestra. Performed by "The Israel Camerata Jerusalem". The conductor Avner Biron. (feature: "Georgian – Israeli 26 Century Jubilee of Friendship", p. 20);
5. Felix Mendelssohn. Piano trio #1 in d minor, op 49, Finale, allegro assai appassionato. Performed by the Piano trio "Sempre" _ Tamar Licheli (piano), Lela Mchedlidze (violin), Hayk Babayan (cello) (feature: "Sempre", p. 35);
6. Joseph Kechakmadze "From Here and Up to You". Performed by Batumi women's Chamber Choir. Art Director Zaira Vadachkoria, the soloist: Natalia Vadachkoria (soprano), Nona Vartanian (mezzo-soprano). (feature: "From Here and Up to You", p. 40);
7. The folklore song "Tamariki". Performed by the ensemble "Dziriani" (feature: "The Ensemble "Dziriani" on a visit with The Ilia University Ethnomusicologists", p. 44);
8. Grigoraş Dinicu. "The Lark". Performed by Rodam Jandieri (violin), Alla Avetisova (piano); (feature: "The Pages of My Life", p. 47);
9. Shalva Mshvelidze. "Pshauri". The Conductor: Givi Munjishvili. The Soloist: Temur Janelidze. (feature: "Pshauri Singing Folklore in the Professional Choir Music", p. 53);
10. Joseph Kechakmadze. "On the Road to Lashari". Performed by the festival group under the leadership of Lia Chonishvili (feature: "Pshauri Singing Folklore in the Professional Choir Music", p. 53);
11. Davit Toradze. Romance and Waltz. Performed by Medea Paniashvili, Medea Altunashvili (feature "Medea Panishvili – The Queen of the Georgian Music", p. 71);
12. Konstantin Pevzner. "O Rero, Rero". Performed by the trio Nanuli Abesadze, Suliko Koroshinadze, Gia Chirakadze and The Georgian State Variety Orchestra (1966). The Conductor Konstantin Pevzner (feature "Konstantin Pevzner", p. 77)

The editional board

Editor-in-Chief: MIKAHEL ODZELI
Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE
Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE
Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:
123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
Tel: (+995 32) 295 41 64
Fax: (+995 32) 296 86 78

1. M.Davitashvili "Khorumi". T.Licheli (piano) 2. M.Davitashvili Orchestral Suite.Georgian State Symphony Orchestra. Conductor R.Javakhishvili 3. O.Taktakishvili Opera "Mindia". Mindia's aria. T.Gugushvili 4. J.Bardanashvili String quartet processed for a chamber orchestra. "The Israel Camerata Jerusalem". Conductor A.Biron 5. F.Mendelssohn Piano trio op. 49, Finale. Piano trio "Sempre" 6. I. Kechakmadze "From Here and up to you". Batumi Women's Chamber Choir. Art Director Z.Vadachkoria. N.Vadachkoria (soprano), N.Vartanian (mezzo-soprano)

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

მუსიკა 3 (21) 2014

7. Folklore song "Tamariki" Ensemble "Dziriani" 8. G.Dinicu "The Lark". R.Jandieri (violin), A.Avetisova (piano) 9. Sh.Mshvelidze "Pshauri". Conductor G.Munjashvili. Soloist: T.Janelidze 10. I.Kechakmadze "On the Road to Lashari". A festival group under the leadership of L.Chonishvili 11. D.Toradze Romance and Vals. Piano M.Phaniashvili, M.Altunashvili 12. Konstantin Pevzner "O, Rero, Rero". N. Abesadze, S. Koroshinadze, G.Chirakadze and the Georgian state variety orchestra (1966). Conductor K.Pevzner

All rights of the producer and the owner of the recorded work reserved. Public performance, broadcasting, hiring or rental of this recording prohibited



ლადო გუდიაშვილი. ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი. 1971